

K 43.583  
3

ခုခံခေါင်းလွှဲပြု

စာမျက်နှာ  
ပြုသည့်နေ့

# မန္တရား ဘဏ္ဍာဒေသဗုဒ္ဓဘာသာ တော်သာ ဘုရားရောင်းဝန်ဆောင်

စာရွေ့ခွဲစွဲ ဘဏ္ဍာဒေသဗုဒ္ဓဘာသာ  
ပုဂ္ဂနိုင်း—1956



შამშე მეგრეღიძე

K 14/3. 583  
3

აჭარის განთავისუფლება  
თურქთა ბატონობისაგან

F 14/3  
3



სახელმწიფო გამოცემალობა  
ბათუმი—1956

9(0.922), 18" + 9(0.922.3) + 9(c)

1) Խաղող օրդի-իշտ մը 1877 - 1878 2) Համականություն

Ց 0 6 Ա Ա Ր Տ 0

Հեղային թուրքական

Մասաւալո

Ցհմոլա պարու զանդացուս սուբլեմինատուս

Հայսեռ-տարյետուս 1877—1878 թղթեա ռմո և պարու զանդացուս սուբլեմինա

23

3

5

17

49

3) Խաղող վարժավայր ուղարկու 3-19 թ.

Հեղային թուրքական Օ. Հայեան

Ծայն հեղային թուրքական Օ. Հայեան  
Կորպուս Պ. Հարիսա

\* \* \*

Ցանկացած թարմութեան 1956 թղթեա 20 օցնուս, եղանակագիրունա գումակագումա 12  
սյէմբերկ, յաղալուս նոմա  $60 \times 84 \frac{1}{32}$ , 4,77 սաւթուր, 4,95 սալուսէցու-  
սագամութեամլու և 6,25, սակագումա գումա, գայզետա № 3430, յթ 01418,  
բուրաց 2.000.

\* \* \*

Սայարութեալուս և սայարութեալուս սամոնուս սամոնուս  
Ցանկարեալութեալուս սամոնուս սամոնուս սամոնուս  
(յ. ծառութեա, լույս սամոնուս, 22).



## რ ე დ ა ძ თ ი რ ი ს ა ბ ა ნ

ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთობა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთთან საქართველოს შეერთებით დაგვირგვინდა. ამ დროიდან ქართველმა ხალხმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა დიდ რუს ხალხს.

რუსეთთან საქართველოს შეერთება, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, იყო ერთადერთი გზა, რომელმაც ქართველი ერი იხსნა ფიზიკური მოსპონბისაგან, ჩააბა კაპიტალისტური განვითარების ფერხულში და ხელი შეუწყო მის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატიულმა კულტურამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ცხოვრებაზე. შეიქმნა თვითმშპრობელობასთან, ორივე ქვეყნის ფეოდალებთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის წინამდვრები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალური და ეროვნული ჩაგრისაგან ქართველი ხალხის საბოლოოდ განთავისუფლებისათვის.

რუსეთთან საქართველოს შეერთებით შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შენარჩუნება. ბათუმი და მთელი აჭარა განთავისუფლდა თურქი დამპრობლების ბატონობის მმიერ უღლისაგან და დაუბრუნდა თავის დედა-სამშობლოს—საქართველოს.

აჭარა სამი საუკუნის განმავლობაში გმინავდა დამპრობთა უღელქვეშ. ურიცხვ მტრებთან ბრძოლებში დაუძლურებულ ქართველ ხალხს ძალა არ შესწევდა ჩაგრული ძმები დაეხსნა. სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ უშედეგოდ მთავრდებოდა.

თურქეთის სამხედრო სისუსტე რუსეთ-თურქეთის ომებში გამოვლინდა. რუსეთ-თურქეთის რვა ომიდან ოთხი რუსეთთან

საქართველოს შეერთების შემდეგ მოხდა. უკანასკნელ პერიოდში რუსეთს ბრძოლის ასპარეზი აზიაშიც გადმოაქცი. ამ ომებში თავისებურად გამოვლინდა აჭარას განთავისუფლების საკითხიც. მიზანი საბოლოოდ მიღწეულ იქნა მხოლოდ 1877-1878 წლების აუსეთ-თურქეთის ომის შედეგად. 1878 წლის 25 აგვისტოს ჩუხურის არმიამ და ქართველმა მხედრობამ გაათავისუფლეს საქართველოს განუყრელი ნაწილი—აჭარა ქალაქი ბათუმით.

ყველა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემდგომი განვითარებისათვის. აჭარა საქართველოს იმ დროს დაუბრუნდა, როდესაც ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესა მიმდინარეობდა და იგი რუსეთის მოწინავე კულტურას ეწაფებოდა.

თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების საჭითხი დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. სამხედრო ისტორიკოსები აგვისტერენ მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ომების ცალკეულ სამხედრო ეპიზოდებს. საბჭოთა ისტორიკოსები კი ამ საკითხს მოკლედ ეხებიან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის საერთო ასპექტში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის შ. მეგრელიძის ნაშრომი მოკლედ აცნობს მკითხველს აჭარის განთავისუფლებასთან დაკავშირებულ სოციალურ, პოლიტიკურ, სამხედრო და დიპლომატიურ საკითხებს.

ნაშრომი რომ ქართველი მკითხველისათვის უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო, ავტორს მთელი რიგი დოკუმენტები რუსულიდან ქართულად უთარგმნია.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი არა თავისუფალი ზოგიერთი ნაკლოვანებისაგან, მკითხველს იგი მაინც მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს.

ი. რუსაია



## შ მ ს ა გ ა ლ ი

აჭარა ძველთაგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილია და  
მისი წარსული ორგანულად არის დაკავშირებული ქართველი  
ერის ისტორიასთან.

აჭარის ტერიტორიზე აღმოჩენილი ქვის, ბრინჯაოს, რკინისა  
და სხვა ნივთები, ისე როგორც მატერიალური კულტურის სხვა შე-  
მორჩენილი ძეგლები, ავსებენ არა მარტო აჭარის, არამედ მთელი  
ქართველი ერის სახელოვან ისტორიულ წარსულს.

მე-9 საუკუნიდან აჭარა შედის ტაო-კლარჯეთის შემადგენ-  
ლობაში. ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელიც აშოტ ბაგრატიონმა  
დაარსა, ძირითადად ჭოროხის ხეობის ირგვლივ მდებარეობდა. იმ  
დროს ტაო-კლარჯეთში აღმოცენდა კულტურის ცენტრები: ტბეთი,  
ობიზა, იშხანი, ოშკი, ბანა და სხვები. ისინი აჭარასთან ტერიტორი-  
ულად ისე ახლოს არიან, რომ აჭარის ეკონომიკური და კულტურუ-  
ლი მდგომარეობის განხილვა შეუძლებელია ტაო-კლარჯეთის სა-  
ერთო განვითარებისაგან მოწყვეტით.

მე-10 — მე-12 საუკუნეში აჭარა გაერთიანებული საქართ-  
ველოს ნაწილს წარმოადგენდა. იმ პერიოდში, როდესაც საქართვე-  
ლო ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო იყო წინა აზიაში, აჭარაც  
აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ  
ცხოვრებაში. აჭარის ამ პერიოდის კულტურისა და ეკონომიკური  
განვითარების თვალსაჩინო მაგალითებია სხალთის ეკლესია, ხიხა-  
ნის ციხე და სხვა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები,  
რომელიც აჭარის სხვადასხვა კუთხეებში გვხვდება.

მე-13 საუკუნის ორმოციანი წლებიდან საქართველოს — ძლიერ-  
ი ფეოდალური სახელმწიფო დასუსტებასა და დაუუცმაცებას გა-  
ნიცდის, რაც დააჩქარა გარეშე მტერთა — მონლოლთა და თურქთა  
შემოსევამ. მონლოლთა შემოსევამ ეკონომიკურად დააქვეითა და

დაასუსტა საქართველო. იშყება დიდგვაროვანი აზნაურების გაძლიერება და მეფის ხელისუფლების დასუსტება. სამცხის სპასალარი სარგის ჭაყელი დამოუკიდებლად აცხადებს თავს, საქართველოს გამოეყო აფახაზეთი, გურია და სამეგრელო, თუმცა ისინი ჯერ კიდევ ფორმალურად საერთო მეფეს ემორჩილებოდნენ, განსაუკრავებით ცუდი მდგომარეობა შეექმნა საქართველოს იმ პერიოდში, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ახალი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა თურქ-ოსმალთა გამოჩენასთან დაკავშირებით.

თურქ-ოსმალები მე-13 საუკუნეში მოვიდნენ შუა აზიიდან მცირე აზიაში. მათი აგრესის პირველი მსხვერპლი ბიზანტია გახდა. მრავალი წლის ბრძოლების შემდეგ, 1453 წელს, თურქ-ოსმალებმა ქალაქი კონსტანტინოპოლი იიღეს და ძლიერი ბიზანტიის სახელმწიფო დასცეს.

ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი სახელმწიფო — ოსმალეთი, რომელმაც სახელშოდება მაშინდელ თურქ დამპყრობთა მხედართმთავარ ისმანისაგან მიიღო.

ქალაქ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ რვა წელიც ან გასულა და თურქებმა საქართველოს მოწყვიტეს ტრაპიზონის სამეფო. მე-15 საუკუნის ბოლომდე თურქებმა რამდენჯერმე გაილაშქრეს საქართველოზე, მაგრამ ქართველი ხალხის გაერთიანებული ძალები მედგრად იცავლნენ თავს მიწა-წყალს. თურქებმა შეძლეს გამაგრებულიყვნენ მხოლოდ კოროხის მარცხენა ნაპირებზე. უძველესი ციხე-სიმაგრე აბსარუსი (გონია) თურქებმა დაიკავეს, ისინი აქ გამაგრდნენ და აქედან იღაშქრებდნენ შემდეგ დასავლეთ საქართველოზე.

ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკა განსაკუთრებით ძლიერდება მე-16 საუკუნის დასაწყისიდან. ამ დროს იგი დასავლეთ საქართველოს სამი მიმართულებით უტევს: შავი ზღვის სანაპიროთი აჭარას მიმართულებით, აფხაზეთიდან და მესხეთის მხრიდან. 1500 წელს ბათუმთან დირი ბრძოლა მომხდარა თურქების წინააღმდეგ. ბრძოლაში მონაწილეობდა აჭარის, ლივანისა და გურიის მოსახლეობა. ქართველებს ამ ბრძოლაში ქაიხოსრო ათავაგა მეთაურობდა. ცხარე ბრძოლებში ათაბაგა მოკლეს, მაგრამ თურქებმა ბათუმი მაინც ვერ აიღეს. 1504 წელს ბათუმზე კლარჯეოიდან ოსმალეთის დიდი ჭარი წამოვიდა. მან გაიარა სამცხე-საათაბაგო,

აიღო ბათუმი და აქედან გურიასა და იმერეთშე გაილაშქრა. თურ-  
ქებმა გაძარცვეს და დაწვეს ცნობილი გელათისა და ბაგრატის ტაძ-  
რები. ბრძოლების დროს თურქები დამარცხდნენ იმერეთში და  
გურიაში გადავიდნენ. აქ მათ შეიარაღებული ხალხი დახვდა და  
თურქები იძულებული გახდნენ ჩაქვისაკენ დაძრულიყვნენ. ჩაქვ-  
ში კი მათ გორგაძეების, ცეცხლაძეების და ბოლქვემების ხელ-  
მძღვანელობით მოსახლეობამ ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ  
თურქები ახლა იძულებული შეიქნენ ბათუმიც დაეტოვებინათ. ამ  
ბრძოლების შემდეგ მხოლოდ 1515 წელს შემოიჭრნენ თურქები  
აჭარაში, მაგრამ მზე-ჭაბუკის მეთაურობით ქართველებმა კვლავ  
სძლიერ მტერს და განდევნეს იგი. სასტიკი მარცხით დამთავრდა  
თურქთა ლაშქრობა ბათუმთან 1517 წელსაც, როდესაც ქართველ  
ლაშქარს ქახაბერ გურჩელი მეთაურობდა.

1519 წელს თურქები კვლავ გამოჩნდნენ ბათუმთან. ამ  
დროს ბათუმს იცავდა ქართველთა 25 ათასიანი ჯარი. როგორც  
ზ. ჭიჭინაძე წერს ბრძოლის წინ ქახაბერ გურიელმა ჯარს მიმართა:  
„ქართველებო! იცოდეთ, რომ ეს აღვილები და ქალაქი ბათუმიც  
ჩვენი წინაპარი ქართველების იყო და არა სხვების, ქართველები  
ერთ მტკაველ მიწას არვის დაუთმობდნენ აღვილად, თითო გოჭ  
მიწაში ჩვენი წინაპრებისაგან თითო ჩაფი სისხლია ჩაღვრილი და  
ისეა იგი დაცული და შენახული“.

ამის საპასუხოდ, ქალაქის დაცველებმა შესძახეს: „ქახაბერო,  
ბატონო! დედა შეერთოს ცოლად, ვინც ოსმალებს ან სხვებს მტკა-  
ველ მიწას დაუთმობს. ჩვენ ფეხს არ მოვიცვლით, აქედან არსად წა-  
ვალთ და ჩვენს მტრებს ოსმალებს კი აქ არ შემოვუშვებთო“.

მამაცი ხელმძღვანელით აღფრთოვანებულმა ქართველმა ჯარ-  
მა მტერს შეუტია და იგი სასტიკად დაამარცხა. მარცხითვე დამ-  
თავრდა თურქთა ლაშქრობა 1520-1521 წლებშიც.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ქართველი ხალხის  
ისტორია სავსეა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლების სახელო-  
ვანი ფურცლებით. ქართველი ხალხი სისხლისაგან იცლებოდა,  
სუსტდებოდა, მაგრამ მტერს უბრძოლველად არ უთმობდა თავის  
მიწა-წყალს.

საქართველო ამ პერიოდისათვის უკვე საბოლოოდ იყო დაყო-  
ფილი ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად. მაშინ, როდესაც

საჭირო იყო ძლიერი მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული რაოდ-  
ბით ბრძოლა, ცალკეული მეფეები და მთავრები ურთიერთგანაც-  
გურებელ ფეოდალურ მმებს აწარმოებდნენ, რის გამოც მათ არ  
ჰქონდათ საშუალება ერთიანი ძალებით ებრძოლათ დამპყრობთა  
წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ თურქ დამპყრობთა გამოჩენამდე იმერეთიდან აქა-  
რაში გადმოსახლდნენ თავდგირიძეები და ხიმშიაშვილები. მათ აქ  
ხელთ იგდეს დიდიალი მიწა-წყალი და ადგილობრივი მოსახლეობის  
ხარჯზე იმდენად გაძლიერდნენ, რომ გურიის მთავრისადმი მორჩი-  
ლება აღარ ისურვეს; მეტიც, მათ დაიწყეს ბრძოლა გურიაში გა-  
ბატონებისათვისაც. ისინი ყაველ ორნეს ხმარობდნენ თავიანთი მიზ-  
ნების განხორციელებისათვის და იქამდეც კი მივიღნენ, რომ თურ-  
ქებთან საერთო ენა გამონახეს. თურქთა იარაღის, თანხებისა და  
გარების გამოყენებით ისინი ილაშქრებდნენ საქართველოს სხვა-  
დასხვა სამთავროებზე და სამეფოებზე, ე. ი. თავიანთი მიზნების  
განხორციელებისათვის სამშობლოს მოღალატეები გახდნენ.

მე-16 საუკუნის დასაწყისიდან თურქმა დამპყრობლებმა რამ-  
დენჯერმე აიღეს ბათუმი, მაგრამ ხანგრძლივი დროით მხოლოდ  
მე-17 საუკუნის სამოცდაათიან წლებში დამკვირდნენ აქ. ამ დროს  
საქართველოს უტევდა მეორე ძლიერი სახელმწიფო ირანი. საქართ-  
ველო ირანისა და ოსმალეთის ძარცვა-გლეჭის ობიექტი გახდა.  
ირანისა და თურქეთის 50-წლიანი ომი 1555 წელს საქართველოს  
მიწების მიტაცებით დამთავრდა. ქართლ-კახეთი და სამცხე-საათაბა-  
გო ირანმა იგდო ხელთ, ტაო-კლარჯეთი და შავშეთი კი—ოსმალეთ-  
მა. მაშინ მათ ვერ მოახერხეს აჭარის ხელში ჩაგდება, ადგილობრივ-  
მა მოსახლეობამ დაიცვა თავისი მხარე.

მაგრამ შემდეგ თურქებმა ისარგებლეს რა საქართველოს ცალ-  
კეულ სამეფოებად და სამთავროებად დაშლით, სახელმწიფოს სამ-  
ხედრო ძლიერების დაცემით, გაბატონებული კლასების ცალკეულ  
წარმომადგენელთა დახმარებით და მებრძოლთა რიცხობრივი უპი-  
რატესობით განავითარეს ძლიერი იერიშები დასავლეთ საქართვე-  
ლოზე.

თურქები მე-15 — მე-18 საუკუნეების მანძილზე ეწერდნენ  
ბრძოლებს სახერეთ საქართველოში დამკვიდრებისათვის. მე-18  
საუკუნის შუა წლებში თურქეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა სა-

ქართველოს ტერიტორიის ერთი მესამედი (სამხრეთ საქართველო) და შავი ზღვის ობიექტებით სანაპიროზე მდებარე ციხე-სიმაგრე-ები თურქთა ჯარებმა დაიკავეს.

თურქებმა დაპყრობილ ტერიტორიაზე სასტიკი რეზუმი და-ამყარეს. მათი პოლიტიკა იქითვენ იყო მიმართული, ომშ აღმოჩნდა-რიც მოსახლეობაში აღმოეფხერათ ქართული ზნე-ჩვეულებები, რე-ლიგია და სხვა; დაევიზუებინათ მშობლიური ქართული ენა და ყო-ველზე ქართული. თურქები ყდილობდნენ აღგილობრივი მოსახ-ლეობის — ქართველი ხალხის გადავგარებას, გათურქებას. ამ მიზ-ნის მიღწევისათვის ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ: არბევდნენ და სწვევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, ანადგურებდ-ნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს, შორეულ მხარეში ასახ-ლებდნენ და ფიზიკურად სპობდნენ ხალხს. ქართველები კი, მიუ-ხედავად თურქთა ბატონობის ამ სასტიკი რეზიმისა, ქედს არ იხ-რიდნენ და გმირულად ებრძოდნენ მტერს.

თურქებმა თავიანთი ბატონობის დამყარებისა და განმტკიცე-ბისათვის აჭარაში, ისევე როგორც სხვა დაპყრობილ ქვეყნებში, დაიწყეს მაჰმადიანური რელიგიის გავრცელება. აჭარის მოსახლეო-ბა IV-დან, ხოლო ოფიციალურად V საუკუნიდან აღიარებდა ქრის-ტიანულ რელიგიას. აჭარაში დღემდევა შემონახული უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები: საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო (ეკლესიები) ნაგებობები და სეკთა ნანგრევები,<sup>1</sup> რომლებიც თავიანთი მაღალი ხელოვნებით ახლაც აკვირებენ მნახ-ველებს, და რაღა თქმა უნდა, აჭარის მოსახლეობა ადვილად არ დათმობდა იმ კულტურას, რომელთანაც იგი საუკუნეებით იყო შეზრდილი. იგი არ თმობდა თავის ზნე-ჩვეულებებსა და ქრისტია-ნულ სარწმუნოებას, ხანგრძლივ და დიდ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. თურქი დამპყრობლები მაჰმადიანური რელიგიის გავრცელებისათვის, ხალხის ეკონომიკის მოშლისა და ფიზიკური მოსპობისათვის ცეცხლსა და მახვილს მიმართავდნენ.

1 მათ შესახებ ასებობს გამოკვლევები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: დ. ბაქრაძე, Археологические путешествия по Гурии и Адцаре, ს-პე-ტებულები, 1878 წ., გვ. 33—87 (აკტორში აჭარაში 1873 წ. იმოგზაურა); ვ. ია-შვილი, ხ. ახელედინისა და რ. მირისაშვილის „ქართული „მატერია-ლური კულტურის ძეგლები აჭარაში“, ბათუმი, 1955 წ. და სხვა. ამიტომ ამ ძეგ-ლებზე ჩვენ იღარ შევჩერდებით.

თურქები ეკონომიურადაც ჩაგრავდნენ ქრისტიანულ მოხახულეობას. ქრისტიანებს გადასახადს აწერდნენ ყოველგვარ უძრავ ქნებასა და შემოსავალზე. ქრისტიანი მოსახლეობა მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მაპმაღიანური რელიგიის მიღებით კი დიდ პრევილეგიებს და ჭილდოს დებულობდა. ქრისტიანს ხიცვლილით დასჭა ელოდა უბრალო დანაშაულისათვის და მხოლოდ მაშინ, ეპატიებოდა სასჯელი თუ იგი გამუსლიმანდებოდა.

მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო აუტანელი იყო მიწათმფლობელობის თურქული წესი. აჭარაში მიწას, ოსმალური წესის თანახმად, ის პირი ფლობდა, ვინც სამხედრო სამსახურს ეწეოდა, სამხედრო მოსამსახურე კი მხოლოდ მაპმაღიანი შეიძლებოდა ყოფილიყო, ე. ი. ან მიწა უნდა დაეკარგა გლეხს, ურომლისოდაც მისი არსებობა შეუძლებელი იყო, ან მაპმაღის რჯული მიეღო.

სხვადასხვა დროს მომხდარა აჭარის თვითეული მხარის, თვითეული სოფლის გამაპმაღიანება. განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწია მტერს სხალთის ხეობის მოსახლეობამ. ამ ხეობის ყოველ სოფელში მოქმედებდა თურქების ორ-ორი ხოჯა. ყველაზე დიდხანს ქრისტიანობა სოფელ ყინჩაურმა შეინარჩუნა. ქრისტიანული ეკლესიაც აქ ყველაზე დიდხანს შემორჩენილა. ამ ეკლესიის სიმდიდრე, დანგრევის შემდეგ, ხალხმა მიწაში ჩაფლა, რათა იგი თურქებს არ გაენადგურებინათ.

იმ სოფლების მოსახლეობა, რომელიც საკუთარ ზნე-ჩვეულებაზე ხელს არ იღებდა, XVIII საუკუნის ბოლო წლებში თურქებმა შეკრიბეს იქ, სადაც აჭარისწყალი მდინარე ჭოროხს ერთვის. ამ ადგილას ხიდი იყო, რომელზედაც თავის მოსაკვეთი იღდა. ვინც გამაპმაღიანებაზე უარს იტყოდა, მას თავს სჭრიდნენ და მდინარეში ავდებდნენ. სოფელ დანდალოს მოსახლეობა იარალით შეხვდა გამაპმაღიანებას. სასტიკი ბრძოლების შემდეგ დამარცხებულნი ისმალეთში გარეკეს. ამის გამო მთელი სოფელი დაცარიელდა.

სოფელ მარადიდში ხალხი ქართულ ქრისტიანულ წესებს დიდხანს ფარულად იცავდა. მათ მღვდელიც კი ჰყავდათ საერო ტან-საცმელში, როდესაც თურქებმა ეს გაიგეს, მოსახლეობა ჭოროხის ნაპირზე მირეკეს და განუცხადეს, ვინც თავის რჯულზე ხელს არ აიღებს, მდინარეში შევიდეს და თუ მეორე მხარეს გაცურავს, ქრისტიანად დავტოვებოთ. ამ დროს ჭოროხი აღიდებული იყო და

ყველანი დაიღუპნენ. სოფელ მარადიდში 50, კომლიდან ხუთი კომლილა გადარჩენილა. მსგავს წინააღმდეგობას უწევდნენ მაშმაღიანობის გავრცელებას აჭარის ყველა სოფელში. მაგრამ საბოლოოდ მოსახლეობა, განიცდიდა რა მორალურ, ეკონომიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას, იძულებული შეიქნა მიელო მუსლიმანური სარწმუნოება. აჭარაში მუსლიმანობის გავრცელება, რაც XVII საუკუნეში დაიწყო, მხოლოდ XIX საუკუნეში დამთავრდა.

თურქებმა, მიუხედავად იმისა, რომ შეძლეს მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელება აჭარაში, აյ ხალხის გათურქების მიზანს მანც ვერ მიაღწიეს: მათ ვერ მოახერხეს ადგილობრივი მოსახლეობის გადავარება. თურქეთის ბატონობის მთელი ხანა აჭარაში ხასიათდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებებით. ეს აჯანყებანი მიმართული იყო ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ. 1680, 1731, 1781, 1815, 1830, 1845, 1852, 1875 წლები ცნობილია როგორც მნიშვნელოვანი აჯანყების წლები აჭარაში. ამ აჯანყებებს ხელმძღვანელობდნენ თვით აჭარლები, ადგილობრივი გამოქენილი პირები, ქართველი ხალხის ისეთი თავდადებული შვილები, როგორიც იყვნენ: სელიმ ხიმშიაშვილი, სულეიმან ნიბაძე, იბრედ კიქნაძე, ილია მელაძე და მრავალი სხვა. ყველა ამ აჯანყების ჩახშობას თან სდევდა თურქ ასიმილატორთა სასტიკი რეპრესიები.

აჯანყებულთა დასჯის მიზნით აჭარიდან გაასახლეს როგორც ცალკეული ოჯახები, ისე მთელი სოფლებიც. სიკვდილით სჭიდნენ ასობრთა და ათასობით ქართველ ბატონობრებს. მცხოვრებთა დიდი ნაწილი გასახლებულ იქნა ჩაქვის ხეობიდან, ბათუმიდან და ა. შ. მარტო ზემო აჭარიდან 20 ათასამდე კაცი გაასახლეს. სოფელ მერისში 700 კომლიდან მხოლოდ 100 დარჩენილა, ხოლო რიგი სოფლები სრულიად ამოუგდიათ.

აჭარა, საქართველოს ეს ერთ-ერთი მოწინავე კუთხე, მდიდარი და ლამაზი მხარე, თურქთა ბატონობის პერიოდში ეკონომიურად და კულტურულად დაქვეითდა. განადგურდა მატერიალური კულტურის ძეგლები, მოისპო მეურნეობის მოწინავე დარგები, როგორც, მაგ., მევენახეობა. აიკრძალა ქართული ენა, ანბანი, ზე-ჩვეულებანი და სხვ. | თურქეთის პოლიტიკამ მოსახლეობა მიიყვანა „ისეთ უბედურ და ჩაგრულ მდგომარეობამდე, რომ მნიშვნელოვანი მორალური და ფიზიკური ძალები მოისპო“. XIX საუკუნის ოცდაათიან

წლებში რუსეთის ოფიციალური პირები შემდეგნაირად ახასიათებდნენ ამ მხარეს: „ადგილები, რომლებიც შავი ზღვის პირას მდებარეობს, მაგ., როგორც ბათუმი და სხვები, წინათ მეტად დასახლებული, ამჟამად მთლიანად დაცარიელდა, სახლები და დუქნები არავის არ უკავია“<sup>1</sup>. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა ტერიტორიაზეც, სადაც თურქი ბარბაროსის მატებამ ნენენის ეკონომიური და კულტურული გინვითარება თურქეთის ბატონობის პერიოდში კიდევ უფრო დაბალი იყო, ვიდრე თვით თურქეთში, ხოლო უკანასკნელი, როგორც ფ. ენგელსი ახასიათებს, იყო «на самой низкой и варварской стадии феодализма».<sup>2</sup>

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალურმა თურქეთმა გააძლიერა თავისი ძალაუფლება აჭარაში. ადგილობრივ ბეგებს ჩამოართვა ის ნომინალური უფლებები, რაც მათ წინათ გააჩნდათ. გაადიდეს გადასახადები, განსაკუთრებით ომის წინა პერიოდში. 1876 წელს გადასახადები ერთორად გაზარდეს წინა წლებთან შედარებით. გადასახადების ამკრეფნი ძალით ართმევდნენ ხალხს პირუტყვს, პროდუქტს, აჩანაგებდნენ ბალებს და სხვ. თურქთა მოხელეების თვითნებობას საზღვარი აღარ ჰქონდა.

აჭარაში თურქთა ბატონობით შექმნილმა სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა იგი რამდენადმე მაინც მოსწყვიტა დედა საქართველოს, ამან გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის კარჩაეტილი ყოფა-ცხოვრება, ცხოვრების თვისებურებამ კი მათში სპეციფიური ხასიათი და თვისებანიც გამოიმუშავა, მაგრამ, როგორც რუსეთის ერთ-ერთი სამხედრო ოფიციალური პირი, რომელიც იცნობდა ადგილობრივ მოსახლეობას, წერს, აჭარლებმა მაინც ქართველური თვისებები შეინარჩუნებს. იგი აღნიშნავს: „სტუმართმოყვარეობა, პატივისცემა უფროსისადმი, შრომის მოყვარეობა აჭარლების დამახასიათებელ ნიშნებს შეადგენს. ისტორიულმა წარსულმა გამოიმუშავა მათში სიყვარული თავისუფლებისადმი, სიმაბაცე,—ბავშვობიდან შეიარაღებული აჭარელი საუკეთესო მსროლელია. ვაჭრობისა და მრეწველობისადმი ამ ხალხს მიღრეკილება არა აქვს.“<sup>3</sup>

1 Акты собранные Кавказской Археографической комиссией, т. III, 83. 890 (Чернозем Акты).

2 К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 9, стр. 374

3 Акты, т. VIII, стр. 237.

სოციალურ-ეკონომიურად დაჩაგრული აჭარის მოსახლეობაში-ნააღმდეგობას უწევდა თურქ ასიმილატორებს, აქარლები ხნასა სამშობლოსაგან, საქართველოსაგან მოელოდნენ. ამ მდგომარეობით აიხსნება, რომ აჭარის მოსახლეობამ, მიუხედავად თურქთა სამი საუკუნის ბატონობისა, მაიც შეინარჩუნა ქართული ზნე-ჩვეულებანი და, რაც მთავარია, მშობლიური ქართული ენა. ამ მდგრადარეობას ხელს უწყობდა აჭარის მოსახლეობის განუწყვეტელი ეკონომიური ურთიერთობა საქართველოს სხვა კუთხეებთან. მრავალი აჭარელი გადადიოდა მოსაზღვრე გურიაში, სადაც მათ ნათესავებიც ჰყავდათ. აი როგორ გადმოგვცემს გურიისა და აჭარის ურთიერთობას გაზეთი „ივერია“: „კეთილი დამოკიდებულების გამო გურია-ქობულეთს ერთმანეთში დიდი მიმოსვლა აქვს. საზღვრის ახლო მდებარე სოფლები ქორწილს და ქელებს ისე არ გადაიძიან, რომ ერთმანეთი არ მიიწვიონ. ერთი სიტყვით ჭირსა და ლხინში ერთობა აქვთ“<sup>1</sup>.

ეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა უნარჩუნებდა აჭარლებს მომავალში საქართველოსთან შეერთების ღრმა რწმენას.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, აჭარაში რამდენიმე აჯანყება მომხდარა თურქთა ბატონობის წინააღმდეგ. მათ შორის, უფრო საინტერესო 1875 წლის აჯანყება ქობულეთში; იგი აჭარის განთავისუფლების წინა პერიოდში მოხდა და გარკვეული გავლენა მოახდინა მოსახლეობის განწყობილებაზე ომის პერიოდში. 1875 წლის აჯანყების მიზეზი იყო თურქების მიერ აჭარელთა კოლონიალური ჩაგრა, რამაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა ძგილობრივი მოსახლეობის ჯარში გაწვევა.

1875 წელს ახალ ეტაპში შევიდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სლავი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბოსნიასა და პერცოგოვინაში მომხდარ აჯანყებებს მოჰყვა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სლავი ხალხების ამხედრება თურქეთის ტირანის წინააღმდეგ.

სლავ ხალხთა აჯანყებას დიდ რუს ხალხთან ერთად თანაგრძნობა და დახმარება გაუწია ქართველმა ხალხმა.

1 გაზ. „ივერია“, 1877 წ., 14 ივლისი.

ქართველი ხალხი სლავების აჯანყებას შეხვდა მორალური და  
მატერიალური მხარდაჭერით. რუსეთის მოხალისე მებრძოლთა რი-  
გებში ქართველებიც იბრძოდნენ თურქთა წინააღმდეგ. აქ იყვნებ  
საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები: იმერეთიდან, ქართლ-  
დან, სამხრეთ ოსეთიდან, სამეგრელოდან და ა. შ. სერბის კი შე  
ქართველების მოხალისეებად ჩაწერის დიდი ინტერესი გამოუშვევია,  
როგორც სერბიელ მეომრებში, ისე მოსახლეობაში. მათ ეკითხე-  
ბოდნენ საქართველოს ისტორიას, სარწმუნოებრივ მდგომარეობას  
და ა. შ. მოხალისეთა შორის ყოფილა ერთი სამოცი წლის მოხუცი,  
რომელსაც ყირიმის ომში მიღებული წმიდა გიორგის ორი ჭვარი  
ჰქონია. მისთვის ფრანგ კორესპონდენტს უკითხავს, რამ გაიძულა,  
ასე შორს რომ წამოსულხარო. მან უპასუხა: ჩვენ თათრებთან საომ-  
რად მოვედით, ან რა გული მომითმენია მოძმის ამდენ წვალე-  
ბასო.<sup>1</sup>

სლავი ხალხების აჯანყებას თანაგრძნობითა და დახმარებით  
შეხვდნენ ქართველი მაკვალიანებიც, რომლებიც თურქების უღელ-  
ქვეშ გმინავდნენ. აქარაში სულთანის ფირმანი გამოაცხადეს, რომ  
15 დღის განმავლობაში არმიიდან დათხოვილი ჭარისკაცები ისევ  
შეეკრიბათ და საომრად გაეგზავნათ აჯანყებულ სლავთა დასახე-  
ლიდ. აჭარის მოსახლეობამ საპასუხოდ განაცხადა, რომ ისინი სხვა  
ქვეყნებში საომრად არ წავლენ. მაშინ სულთანმა ბრძანა,  
ხალხი ძალით გაეყვანათ ჭარში და თუ ვინმე წინააღმდეგობას გას-  
წევდა, დაეწევათ მათი სახლ-ჭარი, ხოლო ცოლ-შვილი დაეპატიბრე-  
ბინათ. ქობულეთის ბეგებმა — თავდგირიძეებმა, როდესაც მშვი-  
ლობიანი გზით მიზანს ვერ მიაღწიეს, ეანდარმები გაგზავნეს სოფ-  
ლებში. მოსახლეობა ამხელრებულა მათ წინააღმდეგ და დიდი  
მსხვერპლით განუდევნიათ ისინი.<sup>2</sup>

აჯანყება მთელ ქობულეთს მოედო, შემდეგ კი აჭარასა და ლა-  
ზეთშიც გავრცელდა. მოსახლეობა აცხადებდა, თვითონ დაჩაგრული  
ვართ და სლავი ხალხების დასახელად არ წავალთო. აჯანყების  
შედეგად სოფლებში ხელისუფლების ორგანოები არ ჩანდა, თურქე-  
თის მმართველობის სისტემა ველაზ მოქმედებდა. ტრაპიზონის ფა-  
შამ ხალხის დასწყინარებლად თურქი მოხელეები გაგზავნა ქობუ-

1 გაზ. „დროება“. 1878 წ., №-91.

2 გაზ. „დროება“ №№ 101, 106, 107, 1878 წ.

ლეთში, მათ ყოველგვარ ზომას მიმართეს მოსახლეობის დასაწყისად  
რებლად, მაგრამ ცდები უშედეგოდ დამთავრდა. 1875 წლის აჯან-  
ყებამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი, არაორგანიზებული იყო, იძღე-  
ნად ფართო ხასიათი მიიღო, რომ 1876 წლის მაისისათვეს თითქმის  
მთელ „თურქეთის საქართველოს“ მოედო.

სტამბოლიდან ჩამოსული კომისრები განდევნეს ყველა სოფელი-  
დან, გაანადგურეს თურქთა ჯარები, რომლებიც აჭარაში გამოგზავ-  
ნეს აჯანყების ჩასაქრობად. მაგრამ საბოლოოდ აჯანყება თურქებმა  
ჩააქრეს, რადგან მას ერთიანი ორგანიზაცია არ ჰქონდა. როდესაც  
თურქები ერთ სოფელში ჩაქრობდნენ აჯანყებას, მეორეში მხო-  
ლოდ მაშინ იწყებოდა მლელვარება.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება მარცხით დამთავრდა, მას  
მაინც გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ხალხში  
შექმნა ის საომარი განშყობილება, რომელიც შემდეგ რუსეთ-თურ-  
ქეთის ოშში გამოვლინდა. აჯანყებამ გააძლიერა აჭარის მოსახლეო-  
ბის ლტოლვა საქართველოსთან შესაერთებლად.

დაინახეს რა აჭარის მოსახლეობის მისწრაფება საქართველოსაკენ,  
თურქებმა ყოველგვარ საშუალებას მიმართეს, რათა მტრობა გაე-  
ჩაღებინათ აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ  
ქართველთა შორის. თურქებმა კატორლიდან გაათავისუფლეს ის  
დამნაშავეები, რომლებიც მათ ჰყავდათ შეპყრობილი. შემდეგ ამ  
პირებს დაავალეს შეიარაღებულ ჯგუფთა შექმნა და თავდასხმე-  
ბის მოწყობა აჭარის მოსაზღვრე საქართველოს სოფლებზე. განსა-  
კუთრებით, მათდამი ერთგული კატორლელები დანიშნეს აჭარის  
მოსაზღვრე სოფლების უფროსებად, რომლებსაც ყოველგვარი ზომა  
უნდა ეხმარათ რუსეთის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, ომის წინა  
პერიოდში თურქებმა ადგილობრივი მოსახლეობის ოჯახები მძევ-  
ლებად გადასახლეს ისმალეთში და გააფრთხილეს მამაკაცები,  
რომ, თუ ისინი არ იბრძოლებდნენ რუსების წინააღმდეგ, მათ  
ოჯახებს მოსპობა ელოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ომის დროს აჭარელი გლეხის  
საუბარი რუს იოზიცირთან, იგი აღნიშნავდა, რომ აჭარლებს  
რუსებთან სადავო არაფერი აქვთ, რომ მათ სურათ რუსეთთან შე-  
ერთება, რადგან „მაშინ კანონმდებლობაც იქნებოდა და ყაჩაღობაც  
მოისპობოდა, მაგრამ, ვიდრე რუსეთის ჯარი საზღვარს გადმოვიდო-

და,—შენიშნავდა ეს აჭარელი, — მთავრობამ მოახტო ჩვენთვის  
წაერთმია ცოლ-შვილი. ისინი ახლა თურქების ტყვეები არაან  
იმისათვის, რომ ჩვენ გვესროლა თქვენს წინააღმდეგ".<sup>1</sup>

თურქები ამასთანაცე ყოველგვარ ჭორებს ფრიცელებდნენ ჩუ-  
სეთის შესახებ, ხოლო რუსეთის სარდლობა, რომელსაც სწამდა თა-  
ვისი წარმატებისა, სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ამას. რიონის  
მხარის გარების უფროსი გენერალი ოკლობეიოთ თვით შენიშნავდა  
რომ „მაშინ, როდესაც ჩვენ დარწმუნებული ვიყავით წარმატებაში,  
თურქეთის მთავრობა ყოველგვარი ზომებით შეეცადა რუსეთისად-  
მი მტრობა ჩაენერგა მოსაზღვრე სოფელთა მოსახლეობისათვის".<sup>2</sup>

აჭარაში თურქთა ბატონობით გამოწვეული მდგომარეობა ხელ-  
საყრელ ნიადაგს ქმნიდა რუსეთისათვის. რუსეთის სარდლობამ  
ომის წინა პერიოდში გარკვეული ზეგავლენა მოახდინა აჭარის  
მოსახლეობაზე.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით,  
ვიღრე აჭარის გათავისუფლების საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროდ  
მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს, თუ როგორ ვითარდებოდა აჭარის  
გათავისუფლების საკითხი დღიდან მისი წარმოშობისა.

1 Газ. «Кавказ», 1878 г. 19 августа.

2 სახელმწიფო ცენტრალური სამხედრო-ისტორიული არქივი, ფონდი 485,  
საქ. 49630, ფურც. 30; (ქვეძირ შემოკლებით — სცსია).



## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე დ ი

### ბრძოლა აჭარის განთავისუფლების პირველი ცდები

#### § 1. აჭარის განთავისუფლების პირველი ცდები

საქართველო ოუსეთთან შეერთების შედეგად ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზას დაადგა, მაგრამ სამხრეთ-ველის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის უღელქვეშ დარჩა. აჭარა განთავისუფლებულ იქნა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, მაგრამ ბრძოლა ამ მიზნის განხორციელებისათვის თურქთა ბატონობის დამყარებისთანავე დაიწყო.

ოსმალეთის სახელმწიფოს დესპოტურ უღელქვეშ მყოფი სამხრეთ საქართველოს ნაწილის მოსახლეობა არასოდეს არ შერიგებია თურქთა ბატონობას და მუდამ იბრძოდა მის დასამხობად. თავის მხრივ ქართველი ხალხი ძმური დახმარების ხელს უწვდიდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას. მაგრამ რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ამ მიზნის განხორციელების საშუალება არ იყო. დასუსტებულ საქართველოს სათანადო ძალა არ შესწევდა გაენთავისუფლებინა სამხრეთი საქართველო, და თვით ადგილობრივი მოსახლეობის ცდებიც, განედევნა თურქები მშობლიური მიწა-წყლიდან, უშედეგოდ მოავრდებოდა.

სამხრეთ საქართველოს ცალკეულ ათაბაგებს და ფაშებს თავის დროზე მოლაპარაკება უწარმოებიათ საქართველოში მყოფ რუს-მოხელეებთან და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან. მოლაპარაკების მიზანი იყო სამხრეთ საქართველოს თურქეთისაგან გამოყოფა და მისი აღდგენა იმავე პირობებში, როგორც საათაბაგოს დროს იყო. ხშირად ათაბაგებსა და ფაშებს ურთიერთ ქიშიშობისა და ომების დროს რუსეთის ძლიერების გამოყენება უცდიათ ისევე, რო-

გორც ამას ცდილობდნენ თურქეთთან ბრძოლის დროს. იყო შემთხვევები, როდესაც ისინი მზად იყვნენ რუსეთის მფარველობა მიეღლოთ. ცალკეული ათაბაგების და ფაშების ბრძოლას თურქეთის წინააღმდეგ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ საჭირო მიგვაჩინია მოკლედ შევეხოთ, თუ რა ვითარებაში მამლინაზეობდა იგი.

სამხრეთ საქართველოში მე-14 საუკუნის დასაწყისიდან ჯაყელები იყვნენ ათაბაგებად. 1626 წლიდან ათაბაგობა აქ. ფაშობით შეცვალა, მაგრამ ჯაყელთა გვარი ისევ ამ მხარის გამგებელი რჩებოდა 1747 წლამდე, ვიდრე არ მოქვდა იუსუფ-ფაშა მეორე — ჯაყელების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი.

მე-17 საუკუნის ბოლოდან სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა გვარები გაძლიერდნენ. ისინი ბეგების სახელ-წოდებით თითქმის თვითონ განაგებდნენ თავიანთ მხარეს. ქობულეთში გაძლიერდნენ ძმები თავდგირიძეები, ბათუმის სანჯაყში — აბაშიძეები, ქვედა აჭარაში — ბევანიძეები, ზედა აჭარაში — ხიმშიაშვილები. ოსმალეთის მოხელეებმა ისინი ერთმანეთს გადაჭიდეს და მათი ხელით დაიწყეს თავისი პოლიტიკის განხორციელება — სამხრეთ საქართველოს ერთიანი ძალის დასუსტება, ქართველი ხალხის მოსპობა. სამხრეთ საქართველოში თურქი ფაშების მოქმედებამ აღგილობრივი მოსახლეობის სასტიკი პროტესტი გამოიწვია.

შდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ სულთანი იძულებული გახდა თურქი ფაშა შეეცვალა და მმართველად ქართველი სულეიმან-ფაშა დანიშნა. იგი ახალციხეში იჯდა და ვალი (მთავარ) ფაშად ითვლებოდა. სულეიმან ნიბაძეს სასწავლებელი სტამბოლში დაუშთავრებია და იგი ერთ დროს ეგვიპტის ფაშადაც ყოფილა. მას კარგად სცოდნია ქართული ენა, იგი კეთილი აღამიანი და სამშობლოს შოყვარული ყოფილა. ახალციხის ფაშად გახდომის დღიდან ის დაუმეგობრდა ერეკლე მეორეს, სოლომონ პირველს და ძლიერ ახლოს იყო სიმონ გურიელთან. მათთან მიწერ-მოწერა და კარგი ურთიერთობა ჰქონდა. საქართველოსთან ასეთი ურთიერთობის გამო იგი სულთანმა 1761 წელს სიკვდილით დასაჯა. მის შემდეგ ამ მხარეში ისევ თურქი ფაშები დაუნიშნავთ.

ცნობილი არ არის, თუ რა მიზანს ისახავდა სულეიმან-ფაშა ქართველ მთავრებთან და მეფეებთან თავისი ასეთი ურთიერთო-

ბით, მაგრამ ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ჩვენი აზ-  
რით, ეს იყო სამხრეთ საქართველოს ფაშების მიერ გადადგმული  
პირველი სერიოზული ნაბიჯი საქართველოსთან კეთილი ურთიერ-  
თობის დასაბყარებლად. სულეიმან ნიბაძის შემდეგ თურქმა ფა-  
შებმა ისევ ძველებურად დაიწყეს მოქმედება, რამაც სახლხს ჯან-  
ყება გამოიწვია. განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა უცხო, ფაშე-  
ბის თვითნებობას აჭარის მოსახლეობა და მათ შორის ბრძოლა  
აშკარა ხასიათს ღებულობდა.

აჭარის მოსახლეობას სათავეში ედგა აბდულ-ბეგ ხიმშიაშვი-  
ლი. ხიმშიაშვილები განთქმული იყვნენ აჭარაში, როგორც ქართ-  
ველი თავადიშვილები, ისინი გამაპმადიანდნენ და ბეგები გახდ-  
ნენ. აბდულ-ბეგი ამ საგვარეულოს პირველ წარმომადგენლად  
ჩანს აჭარაში. ამ საგვარეულოს კუთვნილება იყო სხალთის ხეობა  
და ტაძარი. აბდულ-ბეგს კარგი ურთიერთობა დაუმყარებია ქართ-  
ველ მეფეებთან. მისი ხელმძღვანელობით მოსახლეობა მოითხოვ-  
და თურქთა ფაშების შეცვლას.

მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ 1780 წელს ახალცი-  
ხის ვალი-ფაშა შეცვლილ იქნა და აჭარის გამგებლობა აბდულ-ბეგ-  
ხიმშიაშვილს შეინდო.

1783, წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, საქართვე-  
ლომ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამ მოვლენამ დიდი უკმა-  
ყოფილება გამოიწვია სულთანის სამეფო კარზე. თურქეთის სულ-  
თანმა დაინახა, რომ მის მეზობლად დასუსტებული საქართველოს  
შაგიერ ძლიერი რუსეთის იმპერია ოღმოჩნდა, რომ მან დაკარგა  
საქართველო, როგორც ძარცვისა და ჩბევის ობიექტი. სულთანი  
განსაკუთრებით დააფიქრა • იმ მდგომარეობამ, რომ საქართველო  
რუსეთის დახმარებით შეძლებდა თავისი ტერიტორიული მთლია-  
ნობის აღდგენას და სამხრეთ საქართველოს შეერთებას.

სულთანმა ჯარები გაუგზავნა ახალციხისა და არზრუმის ფა-  
შებს, რათა ომი დაეწყოთ საქართველოსთან. აბდულ-ბეგ ხიმშია-  
შვილს გურიაში შეკრი დაევალა. თავისი სურვილის წინააღმდეგ  
აბდულ-ბეგი იძულებული გახდა ლაშქრობა მოეხდინა. ლაშქრობა  
შარცხით დამთავრდა, აბდულ-ბეგი კი სოფელ აქეთში მოკლეს.

თურქებმა დაიწყეს თავისი საზღვრების გამაგრება. ბათუმ-  
ში გაგზავნილ იქნა ხუთი ათასი ჯარისკაცი და 60 ქისა ოქრო. ბა-

თუშის სანჯაყის უფროსს დაევალა ციხისძირის პოზიციების გამაგრება. აბდულ-ბეგის სიკვდილის შემდეგ აქარის შეართველი გახდა მისი შვილი სელიმი, ახალციხის ვალი ფაშობა კი 1800. წელს ათაბაგ ჭაყელების შთამომავალმა შერიფ-ფაშამ მიიღო. შერიფ-ფაშასა და სელიმ-ბეგს შორის ურთიერთობა უკმიტოფლებით დაიწყო. სელიმ-ბეგი სათავეში ჩაუდგა აქარის — მოსახლეობის ბრძოლას ახალციხის ფაშის წინააღმდეგ. 1801 წელს მათ შორის რმი გახალდა, რომელიც ორი წლის შემდეგ სელიმის გამარჯვებით დამთავრდა. სელიმ-ბეგი ახალციხის მმართველი გახდა და ფაშა ბაც მიიღო.

სელიმ-ფაშას კარგი ურთიერთობა პეტრი საქართველოში მყოფ რუს შოხელებთან. იგი თბილისშიაც ჩასულა და ციციანოვთან პეტრი საუბარი სამხრეთ საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობაზე და თურქეთისაგან გამოყოფაზე. რუსეთის შოხელებმა მას სათანადო თანხებიც მისცეს და დახმარებასაც შეკპირდნენ. სელიმ-ფაშამ შემდეგ მიწერ-მოწერა გამართა საქართველოში რუსეთის ჯარების უფროს რტიშველთან. მასაც ანალოგიურ დახმარებას სთხოვდა და სურვილს გამოთქვამდა, რომ სამხრეთი საქართველო დამუკიდებელი გამხდარიყო, ისე როგორც ათაბაგების დროს იყო. ამავე დროს ასეთი მიწერ-მოწერა პეტრი გრიგოლ ობელიანს შერიც ფაშასთან.

შერიფ-ფაშას ჭერ კიდევ 1802 წელს მიწერ-მოწერა პეტრი გენერალ ლაზარევთან. იგი მეგობრობას აღუთქვამდა მას და ერთგულების ნიშნად კარგი მერანი და 20 გირვანქა ყავაც გაუგზავნა. ისიც ათაბაგობას მოითხოვდა და მიზნის მიღწევის შემთხვევაში ფორმალურად რუსეთს ერთგულებას პპირდებოდა, სინამდვილეში კი შერიფ-ფაშა სულთანის ერთგული იყო.

შერიფ-ფაშასთან რუსი მოხელეების ურთიერთობამ სელიმ-ფაშას ეჭვი აღუძრა და მან თავი შეიკავა რუსეთთან შემდგომი ურთიერთობისაგან. შერიფ-ფაშამ კი ქრთამებითა და სხვადასხვა ფანდებით თურქეთის სულთანს სელიმ-ფაშა მოლალატედ დაუხატა და აიძულა ჭარები გაეგზავნა მის წინააღმდეგ. ამ დროს სამხრეთი საქართველო სელიმ-ფაშას მხარეზე იყო და მან იგი აამხედრა სულთანის წინააღმდეგ.

1810 წლიდან სელიმ-ფაშამ რამდენჯერმე დაამარცხა თურქეთის ჯარები. ომი მის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. განრისხებულმა სულთანმა სპეციალური ფირმანი გამოგზავნა სელიმის შესაბყრობად და სიკვდილით დასასჯელად. 1813 წელს სელიმ-ფაშა ტიბშიაშვილი იძულებული გახდა აჭარაში გადასულყო და ხიხანის ციხეში გამაგრდა. სელიმ-ფაშამ შვილები ახმელი და აბდი-ბეგი გურიაში გაგზავნა თავის ნათესავ მამია გურიელთან.

სელიმ ხიბშიაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას თვით არზრუმის ბაბა-ფაშა ჩაუდგა სათავეში. მან ხიხანის ციხე ვერ აიღო, მაგრამ 1815 წელს შეძლო სელიმის გამოტყუება ციხიდან მოლაპარაკების შიზნით და იგი შეიბყრო. სელიმ-ფაშას თავი მოჰკვეთეს და სტამბოლს გაგზავნეს. სიკვდილის წინ მან განაცხადა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსაც დავუტოვებ“<sup>1</sup>.

ასე უშედეგოდ მთავრდებოდა ცალკეული აჯანყებები, ცალკეულ პირთა ცდები ისმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუ ყველა ეს მოქმედება საქართველოსთან შეერთებას არ ისახავდა მიზნად, ერთი რამ მაინც უდავოა: ის მიმართული იყო სამხრეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებისაკენ.

საყურადღებოა, რომ ბათუმის საკითხი XIX საუკუნის პირველ წლებში დაისვა რუსეთის მმართველ წრეებში. რუსეთს ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ მოეკიდებინა ფეხი საქართველოში, როდესაც სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა შორის რუსეთთან ბათუმის შეერთება მსჯელობის საგანი გახდა. ეს საკითხი პირველად დასმულია გენერალ ციციანოვის წერილში რუსეთის საგარეო საქმეთა შინისტრ ჩირტოროცისადმი 1804 წელს.

თურქები საუკუნეების განმავლობაში იტაცებდნენ საქართველოში გოგო-ბიჭებს და მათ ყიდდნენ თურქეთის ბაზრებზე. ქუჩუკ-ჯაინარქის საზავო ხელშეკრულებით თურქებს აეკრძალათ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობა, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ ამ ბოროტმოქმედებას. ტყვეები ძირითადად ანაკლიიდან და ბათუმიდან გაპყავდათ, ე. ი. ბათუმი ამ მხრივ მათ საოპერაციო ბაზას წარმოადგენდა.

1 ბ. ჭიჭინაძე, ისტორია ისმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათუმი, 1912 წ., გვ. 186.

ამ მდგომარეობის გამო 1804 წელს გენერალმა ციციანოვმა საკითხი დაუსვა ჩორტოროცის ბათუმის ნავსაღვურის ოუსეთან შეერთების აუცილებლობის შესახებ. ბათუმი და ანაკლია, წეოდა ის, „ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გვეცენოდეს ჩვენ და იგი ჩვენს ხელში უნდა იყოს“.<sup>1</sup>

რა თქმა უნდა, ციციანოვს ესმოდა რუსეთისათვის ბათუმის სხვა მნიშვნელობაც, მაგრამ ამებად ეს ჩვენ მხოლოდ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ეს იყო ბათუმის შემოერთების საკითხის პირველი დასმა ოფიციალურ პირთა მიერ. ჩორტოროცის ციციანოვის აზრი ბათუმისა და ანაკლიის შემოერთების შესახებ შემოწონა, მაგრამ აცნობებდა, რომ დადებითი რაიმე ამ საკითხის გარშემო არ შეუძლია გააკეთოს გარკვეულ დრომდე. ამიტომ ჯერ-ჯერობით იგი სთხოვდა ციციანოვს დაწვრილებითი ცნობები მიეწოდებინა ბათუმის წარსულზე, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო იგი თურქეთან და ა. შ.<sup>2</sup>

ჩორტოროციმ, თავის მხრივ, ამ საკითხის გამო რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში იტალინსკის აცნობა, რომ ბათუმის გარშემო მოლაპარაკება ეწარმოებინა თურქეთის მთავრობასთან, დაერწმუნებინა თურქეთის სულთანი, რათა კარგი ურთიერთობის შენაჩინებისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით დაეცალათ ის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც რუსეთის ქვეშვერდომ სამთავროთა ტერიტორიაზე იმყოფებოდა, კერძოდ ბათუმი.<sup>3</sup>

ბათუმის დათმობაზე სიტყვიერ განცხადებებს არ შეიძლებოდა საფუძვლიანი შედეგი მოჰყოლოდა და ამან ურთიერთობის გამწვავებაც კი გამოიწვია. თურქეთის სატახტო ქალაქში ხმები გვარცელდა, რომ თითქოს რუსეთს ანაკლია აელოს. თურქეთმა რუსეთის მიზნად მიიჩნია, რომ მას სურს დაეუფლოს მთელი შავი ზღვის სანაპიროს და მასზე არსებულ ციხე-სიმაგრეებს, დაწყებული ანაკლიით და დამთავრებული ბათუმით. ასეთ აზრს, ციციანოვის სიტყვებით, თურქეთის სახელმწიფოს მთართველ წრეებში ცუდა ატ-მოსფერო შეუქმნია.<sup>4</sup>

1 Акты, т. II, стр. 476.

2 იქვ30.

3 იქვ30, ვ3. 477.

4 იქვ30, ვ3. 528.

რუსეთმა თურქეთთან ამეამად არ ისურვა ურთიერთობის გამ-  
წვავება, ღრმებით შეწყვიტა მოლაპარაკება და დაიწყო ბათუმის  
დაწვრილებითი შესწავლა.

რუსეთთან ბათუმის შეერთების საკითხი აღრიცხვე განხხულდა  
რუსეთის მმართველ სამხედრო წრეებში 1806 — 1812 წლებში რუ-  
სეთ-თურქეთის ომის დროს. 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის  
ომი კავკასიაში თუმცა ძლიერ ვიწრო ფარგლებით შემოისაზღვრებო-  
და, მაგრამ სხვა მოვლენების გარდა საყურადღებო იყო იმ მხრივაც,  
რომ ბათუმის საკითხსაც შეეხო. რუსეთის სარდლობა შეეცადა  
გამოეყენებინა იმ დროს ბათუმში შექმნილი შემდეგი ვითარება:  
1810 წელს გარდაიცვალა ბათუმის მმართველი ქუჩუქ-ბეი შერვა-  
შიძე.<sup>1</sup> მოსახლეობას უსურვებია მოეწვია აფხაზეთის მფლობელის  
სეფერ-ალიბეი შერგაშიძის უმცროსი ძმა სოსლან-ბეი. რუსეთის  
სარდლობა მხარს უჭერდა სოსლან-ბეის ბათუმში გაგზავნას და  
უკანასკნელს პპირდებოდა, რომ, თუ ბათუმის მოსახლეობის დიდი  
ნაწილი მისივე ერთგული იქნებოდა, რუსეთის ჯარი ბათუმს დაიკა-  
ვებდა. ბათუმის მოსახლეობას სოსლან-ბეი მიუწვევია მმართველად  
იმ პირობით, რომ შეერთო ქუჩუქ-ბეის ქვრივი. სოსლან-ბეი დათან-  
ხმებია ამაზე, მეორე მხრივ, თანხმობა განუცხადებია რუსეთის ქვე-  
შევრდომობაზე იმავე პირობით, როგორითაც აფხაზეთის მმართველი  
იყო. სოსლან-ბეი თანახმა იყო ჩაებარებინა რუსეთისათვის ბათუმი  
შაშინ, როდესაც ქალაქის ნაესადგურში რუსეთის საზღვაო ფლოტი  
შევიდოდა.<sup>2</sup>

სოსლან-ბეის ბათუმში გაგზავნა მოიწონა საქართველოში რუს-  
თა ჯარების სარდალმა ტორმოსოვმა, რომელიც გენერალ სიმონო-  
ვიჩს მიუთითებდა, რომ უკანასკნელი მზად ყოფილიყო ბათუმის  
აღებისათვის და საზღვაო ფლოტს სახმელეთო ჯარებით დახ-  
ძარებოდა.

ტორმოსოვს კი მიაჩნდა, რომ ახალციხის აღების შემდეგ ბა-  
თუმის თურქების მიერ გამავრება შეუძლებელი იქნებოდა და იგი  
თვით უნდა ჩაბარებოდა რუსეთს. რა თქმა უნდა, იგი წინააღმდე-

1 შერვაშიძეების ერთი შტო, როგორც ცნობილია, აფხაზეთს განაგებდა,  
მეორე კი ბათუმს.

2 აქტები, ტ. IV. стр. 429.

ვი არ იყო, თუკი მას შერვაშიძეები თვით ჩაბარებდნენ კალაქს.  
ამისათვის იგი არ ზოგავდა ფულად სახსრებს და მეტის სახელით  
სხვადასხვა საჩუქრებს ჰპირდებოდა სოსლან-ბეი შერვაშიძეს.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სარდლობა ამ საკითხში ძოვთ  
წინდახედულად და აუქჯარებლად მოქმედებდა და ყოველგვარი  
რისკის გაწევის ეშინოდა. ტორმოსოვი სიმონოვის აფრთხილებდა,  
რომ ემოქმედა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმატების სრული  
გარანტია იქნებოდა, თვითონ კი პასუხისმგებლობას არ კისრულობ-  
და და ამოცანის შესრულების სრულ უფლებას სიმონოვის  
აძლევდა.<sup>2</sup>

მოლაპარაკებაში დრო გავიდა, გურიასა და იმერეთში მღელვა-  
რება დაიწყო და ბათუმის აღების შესაძლებლობა კიდევ უფრო  
გართულდა. 1811 წლის აგვისტოში ბათუმში თურქთა ჯარების  
რიცხვი გაიზარდა და შეიქმნა გურიაში მათი შემოჭრის საშიშროე-  
ბა. ახლა კი ტორმოსოვი სიმონოვის ავალებდა: „გაავრცელეთ ხმე-  
ბი, რომ თქვენ საზღვაო ფლოტის მხარდაჭერით ემზადებით ბა-  
თუმშე იერიშისათვის.“<sup>3</sup>

1812 წლის დასაწყისში ტორმოსოვი მარკიზ პაულიჩა შეცვა-  
ლა. იგი საქმის კურსში იყო და სიმონოვის აცნობა, რომ „შეიძლე-  
ბა თურქეთთან დაზავება ადრე მოხდეს, ამასთან ერთად მოისპობა  
ჩვენი გეგმები ბათუმის შესახებ. ამის გამო მე საჭიროდ ვცნობ ისა-  
რგებლოთ დარჩენილი დროით და გამოვიყენოთ ის ჩვენი მიზნე-  
ბისათვის“.<sup>4</sup>

პაულიჩა შედარებით ადვილად წარმოედგინა ბათუმის აღება  
და სრულიად ვერ გაეთვალისწინებინა ის სიძნელეები, რომლებიც  
ამ მიზნების განხორციელებასთან იყო დაკავშირებული. უკანასკნე-  
ლი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ შემდეგს სწერდა სიმონოვის: „საჩუქროდ შეადგინეთ მცირე რაზმი ქვეითი ათასეულისაგან, კა-  
ზაკთა ნაწილთაგან და დაუყოვნებლივ დაიწყეთ ბათუმის დაკავება“.

ბათუმში, მისი აზრით, გამორიცხული არ იყო თურქეთის გარ-  
ნიზონის ყოფნა, მაგრამ იგი ვითომიც ძლიერ სუსტი უნდა ყოფილი-

1 იქვე, გვ. 286.

2 იქვე, გვ. 404.

3 იქვე, ტ. V, გვ. 190-191.

4 იქვე.

ყო. მოქმედების შემთხვევაში პაულიჩი, ისეკე როგორც ტორმი-სოვი, პასუხისმგებლობას არ კისრულობდა და სიმონოვიჩს სიურ-თხილეს ურჩევდა.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ 1806 — 1812 წლების რუსეთ-ფრან-გეთის ომი კავკასიაში ჭარმატებით მიმდინარეობდა (ახალქულაქი და ფოთი რუსებმა იღეს), ბათუმის საკითხის გადასაურელად გა-დამწყვეტი მოქმედების დაწყებამდე ომი დამთავრდა ბუქარესტის ზავით.

საზავო ხელშექრულებით კავკასიის საზღვრები უცვლელი დარ-ჩა. ახლა უკვე ბათუმის განთავისუფლებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან ბრძოლით აღებული ახალქალაქი და ფოთი უკანვე და-უბრუნდა თურქეთს. ბათუმის განთავისუფლების საკითხი 1806 — 1812 წლების ომის დროს სრულიად მოუმზადებელი იყო და მაშინ არც შეიძლებოდა მისი გადაწყვეტა, თუნდაც იმიტომ, რომ აჭარა გურიის მხრიდან მოწყვეტილი იყო რუსეთს. გურიის სამთავრომ თუმცა 1810 წელს ცნო რუსეთის ქვეშევრდომობა, მაგრამ გურია-ში ძველი ადმინისტრაციული მმართველობა რჩებოდა და არც რუ-სეთის ჯარი იმყოფებოდა აქ. რაც შეეხება საზღვაო ფლოტით ბა-თუმის აღებას, ჩვენი აზრით, ეს შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, ძნელი იქნებოდა მაშინ მისი შენარჩუნება.

• 1806—1812. წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბათუმის განთავისუფლება რუსეთის სარდლობის პირველი ცდა იყო. ამიე-რიდან ბრძოლა ამ მიზნის განხორციელებისათვის უფრო სერიო-ზულ ხასიათს ღებულობდა და იგი გრძელდებოდა 1878 წლამდე, ვიდრე რუსეთს აჭარა არ შეუერთდა.

1812 წლის შემდეგ რუსეთთან აჭარის შეერთების საკითხი გა-ნახლდა აჭარაში ამედ-ბეგ ხიმშიაშვილის მმართველობის პირველ-საცე წლებში. ამედ-ბეგი, როგორც ცნობილია, სელიმ-ფაშას შვი-ლი იყო. 1813 წელს მამამისს იგი მმასთან ერთად მამია გურიელ-თან გაუგზავნია.

<sup>1</sup> იქვე.

1818 წელს ახმედ-ბეგი აჭარაში დაბრუნდა და დასახლდა ხულოში ძეველი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებზე.<sup>1</sup> გურიიდან დაბრუნების შემდეგ ახმედ-ბეგი სტამბოლში მიღის და ფორმალურად სულთანს ერთგულებას უმტკიცებს. ახალციხის ფაშისათვის ბას კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რის გამოც იგი ბორჯოლად (პრისტავად) დაინიშნა, ხოლო 1826 წელს ფაშინბაც კი ეტოდა. ახმედ-ბეგმა თავისი მოღვაწეობის დღიდან მამამისის სელიმ-ფაშის საქმის განვრძობას მოჰკიდა ხელი. როგორც იჭირის მმართველმა, მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა კავკასიაში მყოფ რუს მოხელეებთან.

ახმედ-ბეგი ყოველგვარ ზომებს ხმარობდა, რათა სულთანისათვის ერთგულება დაემტკიცებინა, მაგრამ 'არ ავიწყდებოდა, რომ თურქებმა თავი მოჰკვეთეს მამამისს და დაარბიეს მისი სახლ-კარი. ახმედ-ბეგის მოღვაწეობის მთავარი მიზანი „სამუსლიმანო სამცხე-სა-ათაბაგოს“ ოსმალეთის სახელმწიფოდან გამოყოფა გახდა. ვინც ამ მიზნის გახორციელებაში დაეხმარებოდა, იგი მზად იყო მისი ქვეშევრდომობა მიელო. ახმედ-ბეგმა სწორად გაითვალისწინა, ვინ იქნებოდა მისი ყველაზე საიმედო დამხმარე ამ საქმეში და მან მიწერ-მოწერა გააბა რუსეთის სარდლობასთან. რუსეთთან ურთიერთობა ისე ნიჭიერად და სანდო პირების საშუალებით მოაწყო, რომ ოსმალეთის მთავრობამ ვერ გაუგო ეს. მიწერ-მოწერა ქართულად ჰქონდა და სანდო პირებად ახალციხელი ქართველი კათოლიკები ჰყავდა.

ახმედ-ბეგი რუსეთს სთხოვდა დახმარებოდა მას სამხრეთ საქართველოს ოსმალეთიდან გამოყოფაში და რუსეთის ქვეშევრდომობას თანხმდებოდა შემდეგი პირობებით: ხელუხლებელი დარჩენილიყო რელიგია, ხმარებაში ყოფილიყო რუსული ფული, ხოლო მართვა-გამგეობა, კანონები და სამართალი — ძეველი დარჩენილი.

<sup>1</sup> ხულოში დიდი და ხელოვნების თვალსაზრისით კარგი ექლესია ყოთილა, მსგავსი ტბეთის ეკლესიისა. ეკლესიაში მღვდლები ბოლქვაძეები წირავდნენ. ეკლესია ახმედ-ბეგის აქ დასახლების წინა წლებში დაუგრევით თურქების. ზე კი-კინაძის ცნობებით, ეკლესიიდან მხოლოდ მცირეოდენი საძირკველი დაუტოვებით და ზედ ჯამე აუშენებით. ნანგრევებით ახმედს აბანო, წყარო და ხიშიაშვილების სასაფლაო გაუკეთებია. როგორც ათვიცალურ წყაროებშია მითითებული, ამ ეკლესიის ნანგრევებზე თვით ახმედ-ბეგის სახლი უნდა იყოს დაშენებული.

ყო. სამხრეთ საქართველოს უფროსად ახალციხის ფაში იქნებოდა. მისი თანამდებობა, რუსეთის ნებართვით, მემკვიდრეობით გადაეცემოდა შთამომავლობას. ფაშის ხელფასი უნდა მიეღო.

თუ ზემოაღნიშვნული პირობები რუსეთისათვის მშრინ მცავდები იქნებოდა, ახმედ-ბეგი სამხრეთ საქართველოს ტუშეთს გადასცემდა. ახმედ-ბეგი აგრეთვე მოითხოვდა: 1) ახმედ-ფაშა დაემტკიცებინათ ახალციხის ვალად, ანუ გუბერნატორად და რომ ეს ხარისხი მის შთამომავლობას არ წართმეოდა; 2) ახმედ-ბეგს მისცემოდა გენერლობა, ლურჯი ლენტი და ფაშობა დამტკიცებოდა; 3) რუსეთი აჭარის მფარველი იქნებოდა და დაეხმარებოდა გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ასეთ მოლაპარაკებას და ურთიერთობას რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომშაც მოუსწრო.

## § 2. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და აჭარის განთავისუფლების საკითხი.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, წინა ომთან შედარებით, რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელ საშინაო და საგარეო ვათარებაში შიშდინარეობდა და მისი გამარჯვებით დამთავრდა. ომის შემდეგ რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ახლო აღმოსავლეთში. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საზღვრები კავკასიაში და გამაგრდა შავ ზღვაზე. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს პირველად იქნა გადადგმული რეალური ნაბიჯი აჭარის გასათავისუფლებლად: რუსეთმა იარაღით დაიწყო მოქმედება ამ ამოცანის გადასაწყვეტად. მაშინ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ჩვენს თემასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ საკითხს, თუ როგორ წარიმართა ბრძოლა აჭარის განთავისუფლებისათვის და რა მიზეზებმა განაპირობეს რუსეთის გარცხი ბრძოლის ამ ერთ უბანზე.

1828 წლის აპრილში ომი დაიწყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში არზრუმის მიმართულებით, ხოლო ივნისის დასაწყისში აჭარის მიმართულებით. გურიის სამთავროში, მიუხედავად იმისა, რომ მან 1810 წელს მიიღო რუსეთის ქვეშევრდო-

მობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ადმინისტრაციული  
მმართველობა და რუსეთის ჯარი ჯერ კიდევ არ იყო.

1826 წელს მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, აქ თავი  
იჩინა ძლიერმა თურქოფილურმა დაჯგუფებამ მთავრის ქვრივას. სო-  
ფიოს მეთაურობით. სოფიო მოლაპარაკებას აწარმოებრთა რუსეთ-  
თან, მაგრამ კავშირს არ ჟყვეტდა თურქეთთან. როდებაც რუსეთ  
თურქეთის ომი გაჩაღდა, რუსეთმა გადამწყვეტი პასუხი მოსთხოვა  
სოფიოს. იგი პასუხს აყოვნებდა.

რუსეთი პასუხს აღარ დაელოდა და ოქტომბერში გენერალ  
გესეს რაზმი გურიაში შევიდა. სოფიო თავისი ამალით ქობულეთში  
გაიქცა და თურქეთს მიმართა დახმარებისათვის. გესემ უბრძოლვე-  
ლად დაიკავა გურია, მდინარე ჩილოქამდე. გურიის დაკავებისთანა-  
ვე ქობულეთიდან გესესთან გამოცხადდა მეზობელი სოფლის მამა-  
სახლის ასლან-აღა და სთხოვა მცარველობა გაეწია მისი თანასოფ-  
ლელებისათვის. ასლან-აღამ განუცხადა გესეს: „არცერთი მათგა-  
ნი რუსეთის საწინააღმდეგოდ არ შეიარაღდება და ქობულეთის  
პროვინციის ყველა მცხოვრები მზადა მიიღოს მისი უდიდებულე-  
სობის ქვეშვრდომობა“.<sup>1</sup> გესე მას დახმარებას შეპირდა, მაგრამ  
შესრულება არ შეეძლო. იგი გენერალ პასუევიჩს აცნობებდა: ქობუ-  
ლეთის დაკავება სისხლის დაუღვრელად სასისხარულოა, მაგრამ სა-  
თანალო უფლება მჭირდებაო. ამავე დროს გესე მიუთითებდა ჯარის  
რჩქობრივ სიმცირესა და სურსათ-სანოვაგის უქონლობაზე.<sup>2</sup> გესე  
თავისი რაზმით ზამთარში გურიაში დარჩა, თურქებმა კი მნიშვნე-  
ლოვანი ჯარები შეკრიბეს ბათუმში ისმან ხაზანდარ-ოლლის ხელმ-  
ძოვანელობით და გურიას მიუახლოვდნენ. თურქებმა ამავე დროს  
ხმა გაავრცელეს, რომ სოფიო გურიაში ბრუნდებაო და მოსახლეო-  
ბას შოუშოდეს შეხვედროდა მას.

საპასუხოდ გურიის მოსახლეობამ 1.300 კაცისაგან შემდგარი  
მილიციის რაზმი შეკრიბა და სამშობლოს დასაცავად გესეს ჩააბარა. ხა-  
ზანდარ-ოლლი გამაგრდა გურიის საზღვრებთან და შემდეგი  
ძოშედებისათვის ჯარს ელოდა ტრაპიზონიდან. გესემ გადაწყვიტა,  
ვიდრე მოწინააღმდეგე ძირითად ძალებს მიიღებდა, გაენადგურები-  
ნა მისი ავანგარდი. 2.500 მებრძოლით, რომელთაგან 1.300 მილიცი-

1 Акты, т. VII, стр. 515.

2 იქვ. გვ. 415.

ელი იყო, გესემ თურქეთის 8-ათასიანი კორპუსის წინააღმდეგ გაილაშქრა. შილიცია მოხერხებულად შეიჭრა მტრის ზურგში და 5 შარტს (ბრძოლის შემდეგ) თურქები იძულებული იყვნენ უკან დახით. მოსპო რა თურქეთის გამაგრებული ადგილი, გესემაც უკან დაიხია უკეთეს თავდასაცავ ზღუდეებზე სოფ. შეკვეთილთან ამ პოზიციებზე იდგა გენერალი გესე თითქმის ზაფულის ბრძოლაში.

1828 წ. 5 აგვისტოს რუსეთის ჯარმა ახალციხე აიღო და იგი უშუალოდ აჭარის საზღვრებთან აღმოჩნდა. მაგრამ 1828-1829 წლების ზამთარში აქ აქტიური ბრძოლები არ ყოფილა, რის გამოც გენებებუთოვი შეეცადა აჭარის ბეგი ახმედ ხიმშიაშვილი მოკავშირედ გაეხადა. თავის მხრივ ანატოლიის სერასკირი გაკი-ფაშა ცდილობდა ახმედ-ბეგს რუსეთის საწინააღმდეგოდ ემოქმედა. გაკი-ფაშამ ახმედ-ბეგს აცნობა, როგორც კი ახალციხეს რუსებს წართმევდა, მას უფლება ჰქონდა ახალციხის ფაშად წოდებულიყო. ახმედ-ბეგი ორივე მხრიდან ღებულობდა საჩუქრებს და აშკარად არავის ეხმარებოდა.

როდესაც გაკი-ფაშა თავისი ძალებით არზრუმიდან დაიძრა, ახმედ-ბეგს აცნობა, რომ თუ იგი ლაშქრობაში მონაწილეობას არ მიიღებდა, თავის მოკვეთა ელოდა. დაშინებულმა ახმედ-ბეგმა თურქების მხარე დაიკავა და 15-ათასიანი ჯარით გაილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ.

17 თებერვალს ახმედ-ბეგი ახალციხისაკენ დაიძრა, ხოლო მის ბიძაშვილს აბდი-ბეგს ბორჯომის სეობის გამაგრება დაავალა, რათა ახალციხეს დამხმარე ძალები არ მოსულოდა.

20 თებერვალს ახმედ-ბეგი ახალციხეში შეიჭრა და მაშინვე ციხეზე მიიტანა იერიში, რაც უშედეგოდ დამთავრდა. 21 თებერვალს ახალციხე ალყაში აღმოჩნდა. ახმედ-ბეგმა მოლაპარაკება გამართა ბებუთოვთან.

1 ამ ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელა გურიის მთლიცამ, რის თვისეც მეფის მთავრობამ გურიის მისახლეობას დროშა აჩუქა წარწერით: „Хран брому Гуринскому народу за проявление мужества в ОЮЯХ под Лиманами 5 марта 1828 г.“ ეს დროშა ოზურგეთის მაზრის კანცელარიაში ინახებოდა მაგრამ ამჟამად უცნობია, თუ სად იმყოფება. ანალოგიური ბედი ხედა დროშას, რომლითაც გურიის მილიცია იქნა შემტევ დაგილდოვბული. ჩვენი აზრით, იყო წარათვა მეფის მთავრობაში 1905 წელს, როდესაც გურიაში რევოლუციურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. ასეთივე დროშები მიიღო შემდგომ იმპერერის მოსახლეობამ. ეს დროშები ამჟამად ქათაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

1 მარტს ახმედ-ბეგის პარლამენტიორმა წერილი გადასცა ბებუთოვს, სადაც წერდა: „უკვ 10 დღეა, რაც სიმაგრე უყაში მაქვს, ჩემთვის ადვილია მისი ოღება, მაგრამ ძალით შიგ შეკოილ ჯარების დაკავება შეუძლებელი იქნება. იმდენად, რამდენადაც მე თქვენდამი სიყვარულით და მეგობრობით ვარ განცყობილი, საკირდლ მიმაჩნია გაგიცხალოთ თქვენ ჩემი უკანასკნელი სიტყვა, „მე გაგიყვანთ თქვენ მშვიდობიანად და უვნებლად.“<sup>1</sup>

ბებუთოვმა ისარგებლა მოლაპარაკებით და შეეცადა. მოეგო დრო. იგი საპასუხო წერილში წერდა, რომ რუსებს ციხე-სიმაგრეების აღებაც და დაცვაც შეუძლიათო და მადლობას უხდიდა ახმედ-ბეგს თავაზიანი მოპყრობისათვის, თან სოხოვდა განემარტა, თუ რას ნიშნავდა სიტყვები „მე გაგიყვანთ თქვენ მშვიდობიანად“. ახმედ-ბეგი უნდარტავდა, რომ საშუალებას მისცემდა უიარაღოდ, უკან დაბრუნებულიყო. ბებუთოვმა მხოლოდ 3 მარტს გასცა პასუხი, რომელშიც წერდა, რომ იგი თავის თავს დაიცავს და რომ აბდი-ბეგი ახალციხის მაშველ ჯარს ვერ დააკავებს.<sup>2</sup>

4 მარტს ღამის სამ საათზე ახმედ-ბეგმა აბდი-ბეგის დამარცხება გაიგო და თავისი ჯარით აჭარაში გაიქცა. მან უკან დახევის დროს დაკარგა მისი ყველა 6 ქვემეხი. ახალციხეში ღილით რუსეთის ჯარიც მოვიდა, მაგრამ ზამთრის პირობებში ახმედ-ბეგის წინააღმდეგ გალაშერება შეჩერებულ იქნა.

აჭარის მმართველმა ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილმა მოლაპარაკება განახლა გენერალ ბებუთოვთან. ახმედ-ბეგი გარკვეული ვითარების შექმნამდე მოლაპარაკებას აგრძელებდა და რუსეთის ჯარის აჭარისაკენ მოძრაობას აყოვნებდა. იგი ძლიერ ფრთხილად მოქმედებდა. რუსეთის სარდლობას სურდა ახმედ-ბეგთან მოლაპარაკებით, უბრძოლველად შესულიყო აჭარაში. მაშინ, როდესაც ახმედ-ბეგს რუსეთის სარდლობა ახალციხეში ელოდა, მან თურქთა ჯარის სარდალს გაეი-ფაშას გაუგზავნა წერილი, რომლითაც აცნობებდა, რომ იგი მზადაა 7-ათასიანი ჯარით თავს დაესხას ახალციხეს.

ამ დროს თურქეთის ძირითადი ძალები განადგურებულ იქნენ სოლანლულზე და ახმედ-ბეგის წერილი რუსებს ჩიუვარდა

1 Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, часть 2. Тифлис, 1908 г. стр. 184 (ხემდეგში, პოტტო, მითითებული ხაზრომი).

2 იქვ. გვ. 187.

ხელში. პასკევიჩი გაეცნო ახმედ-ბეგის წერილს და საპასუხოდ აცნობა: „ახმედ-ბეგო, თქვენი წერილი გაყი-ფაშისადმი მივიღე მე, როგორც გამარჯვებულმა. თქვენი მამაცი თანამემამულე ამჟამად რუსეთის ტყვეა, ვანთავისუფლებ რა მას არასასიამოვნო მოვალეობისაგან, — მოგწეროს თავისი მდგომარეობა, ჩემს თავზე კლუბულობ შრომას გაცნობოთ თქვენ, რომ ცხრამეტში მცედლირიმოვარი დამარცხებულ იქნა ჩვენს მიერ და განდევნილი სოლანლულის მთებს იქით. ოცში კი გაყი-ფაშა თვით ვერ გადაურჩა ტყვეობას. გამარჯვებული ჩვენი ჭარები არზრუმისაკენ მიღიან, რომლის კედლებთან უნდა ეძიოს ახალი დიდება“<sup>1</sup>.

ახმედ-ბეგი თანახმა იყო რუსეთის ქვეშევრდომობაზე, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მოითხოვდა ვენერლის ჩინს, ლურჯ ლენტს და აჭარის მმართველობას ფაშის ტიტულით. ამის გადაწყვეტა მეფის უნებართვოდ არ შეიძლებოდა, ამჟამად კი ლოდინის დრო არ იყო.

ახმედ-ბეგის უარყოფითი პასუხის შემდეგ ბებუთოვმა მასთან ვაგზავნა პორუჩიკი ტურკესტანსკი კატეგორიული მოთხოვნით, რომ ბეგს მძველად გამოევზავნა მისი შვილი, ან გარკვეული პასუხი მიეცა, თორემ საქმე ცუდად დასრულდებოდა.

ბებუთოვს პასუხმა ვერ მოუსწრო, რადგან გადაყვანილი იქნა სომხეთის ოლქის უფროსად და მის მაგიერ ახალციხეში ჩავიდა მისი შემცვლელი გენერალი ბარონი ოსტენ-საკენი. ოსტენ-საკენს პასკევიჩმა დავალა დაემორჩილებინა ბეგი მოლაპარაკებით ან უკიდერეს შემთხვევაში იარაღით, მაგრამ ამავე დროს აფრთხილებდა, რომ მას ემოქმედა მეტად ფრთხილად და გენერალ გესეთან კავშირში ყოფილიყო. როდესაც ოსტენ-საკენი ახალციხეში ჩავიდა, მას ტურკესტანსკიც ახალჩამოსული დახვდა. უკანასკნელმა თოთხმეტი დღე დაჰყო ახმედ-ბეგთან და დადებითი პასუხი ვერ მიიღო.<sup>2</sup>

ამჟამად ახმედ-ბეგი სწერდა ოსტენ-საკენს, რომ ქვემო აჭარაში მოსალოდნელი იყო მღელვარება, რის გამო ახმედ-ბეგსა და მის შვილს აჭარიდან გასვლა არ შეეძლოთ.

1 პოტტო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 333.

2 Акты, т. VII, стр. 816.

ახმედ-ბეგი თანახმა გახდა მძევლად თავისი ბიძა სულეიმან-აღა გაეგზავნა, მაგრამ უკანასკნელმა ავადმყოფობა მოიგონა და ორც ის გამოცხადდა ოსტენ-საკენთან.

განჩისხებულმა ოსტენ-საკენმა მისწერა მას: „არც თქვენ, არც თქვენი შვილი, არც თქვენი ბიძა სულეიმან-აღა არ გამოცხადდით ჩემთან ქვეშევრდომობის მისალებად. იმ გამოჯვების შემდეგ, რომელიც დიდი ხელმწიფის ჯარმა მოიპოვა, რუსეთის მთავრობის დაბცირება იქნებოდა რბილად ემოქმედა და დაქმაყოფილებულიყო მხოლოდ დაპირებებით. თქვენ მწერო, რომ ქვემო აჭარა აჯანყდა თქვენს წინააღმდეგო, ამაზე ვიპასუხებთ, თუ ოთხი დღის განმავლობაში თქვენ ან თქვენი შვილი არ გამოცხადდებით ჩემთან, მაშინ მე იძულებული ვიქნები ჯარებით შემოვიდე აჭარაში, ან თქვენს დასახმარებლად, ან თქვენს დასასჯელად. თქვენი მოქმედება გადაწყვეტს თუ მე რომელი ღონისძიების განხორციელება მომიხდება“!

ამ წერილის მიღების შემდეგ ახმედ-ბეგმა დამცირებულად იგრძნო თავი და სამუდამოდ გაემიგნა ოსტენ-საკენს, უკანასკნელი კი იმხანად ავანტიურაზე წავიდა და დიპლომატიური მოლაპარაკების მაკიერ იარაღს მოჰკიდა ხელი გენერალ გესესთან დაუკავშირებლად. ოსტენ-საკენის შემდგომი მოქმედება აშკარად მოწმობს, რომ იგი ავანტიურისტი და ბოროტმოქმედი იყო. საყურადღებოა, რომ თვით გენერალ პასკევიჩს არ მოსწონდა ოსტენ-საკენის წერილი ახმედ-ბეგისადმი.

პასკევიჩი სწერდა ოსტენ-საკენს: „თქვენი წერილი აჭარის ფაშისადმი დაწერილია ისე, რომ თუ ახმედ-ბეგს ჩვენდამი რაღაც განწყობილება ჰქონდა, მან უნდა შეცვალოს იგი, რაღაც წერილი დაწერილია მბრძანებლის ტონით, როგორსაც ქვეშევრდომიდან თხოულობენ, ხოლო ისინი, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ, შეთანხმდებიან ან უარყოფენ შეთანხმებას“.2 პასკევიჩი მიუთითებდა მას, რომ მთავარი იყო აჭარაში დაცვა სიმშვიდე და იარაღი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ეხმარა. ამ წერილმა ოსტენ-საკენს ვერ შოუსტრო; იგი 12 აგვისტოს უკვე გზაში იყო, რათა

1 მითითებული ნაშრომი, გვ. 394.

2 იქვე.

ცეცხლითა და მახვილით შესულიყო აჭარაში ახმედ-ბეგის დასახურის დასახურის დასახური.

ოსტენ-საკენი რამდენიმე დღის შემდეგ აჭარაში შევიდა და სოფლები ცეცხლის ალს მისცა. რა თქმა უნდა, აჭარაში, სადაც თურქეთის ჯარი ვერ შედიოდა სურგილისამებრ, რუსეონის ჯარის მოულოდნელმა მისვლამ და ისიც ისე, როგორც ოსტენ-საკენი შოქმედებდა, მოსახლეობა მის წინააღმდეგ აამხედრა. ხალხი იარაღით გაიხიზნა მთებში და წინ აღუდგა ბოროტმოქმედს, ახმედ-ბეგი არ ელოდა ოსტენ-საკენის აჭარაში ასე სწრაფად შესვლას და ამიტომ მან მოლაპარაკების განახლება სცადა. ოსტენ-საკენი კი მხოლოდ იარაღში ხედავდა ძალას. იგი განაგრძობდა წინსვლსა და სოფლების დაწვას.

ოსტენ-საკენთან აჭარლების დელეგაცია გამოცხადდა ახმედ-ბეგის შსახურ მამია-ალას მეთაურობით, ახმედ-ბეგი კი ქვემო აჭარაში იყო.

დელეგაციამ განუცხადა ოსტენ-საკენს, რომ ახმედ-ბეგის დაბრუნებამდე აჭარლები წინააღმდეგობას არ გაუწევენ მას და, რომ ისინი მისი მოქმედებით გაკვირვებული არიან, — მისი ჯარები აჭარლთა სოფლებს სპობენ მაშინ, როცა აჭარის მმართველი მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის მხედართმთავართან!<sup>1</sup> ოსტენ-საკენმა საპასუხოდ ქვემეხებით გაანადგურა სოფელი. ამის შემდეგ ახმედ-ბეგის შვილები შეეცადნენ იარაღით შეეჩერებინათ ოსტენ-საკენი, მაგრამ ძალა სიმცირის გამო ცდა ამათ აღმოჩნდა.

ახლა ოსტენ-საკენს წერილით მიმართა ახმედ-ბეგის ცოლმა ესმამ, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ამ მხარეში. ეს ქალი ოსტენ-საკენს სოხოვდა მოლაპარაკების განახლებას და ჯარის შოქმედების შეჩერებას. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ბეგის ცოლმა სასახლის გასაღები გაუგზავნა ოსტენ-საკენს და სწრაფად, რომ ქმრის სახლში არ ყოფნის გამო მას არ შეუძლია დახვდეს სტუმარს და გენერალი საკადრისად მიიღოს.

ახმედ-ბეგის ცოლმა დატოვა სახლ-კარი და მოსახლეობასთან ერთად გაიხიზნა მთებში. 1829 წლის 16 აგვისტოს ოსტენ-საკენმა უბრძოლველად დაიკავა აჭარის ბეგების რეზიდენცია — ხულო

1 იქვ. გვ. 398.

3 შ. მეგრელიძე

და ახმედ-ბეგს მისწერა მას დამორჩილებოდა, თორემ სამფლობელოს გაუნადგურებდა.

ახმედ-ბეგმა უპასუხა, რომ მან შეგნებულად დატოვა ლიად ახალციხის გზა, რადგან რუსეთის ქვეშევრდომობაზე, ფიქტობდა, მაგრამ, რადგან იგი ჯარით შემოვიდა მის მიწა-წყალზე, მზადაა დაიცვას თავი. ბეგი აცნობებდა, რომ იგი შუახევში იმყოფებოდა და გენერალს იქ ელოდა! ოსტენ-საკენი მიხვდა, რომ მას წინ ედგა სერიოზული მტერი. გარდა თვით ახმედ-ბეგის რაზმისა, მას ზურგში ჰყავდა შეიარაღებული მოსახლეობა, რომელიც მზად იყო შერი ეძა სოფლების გადაწყვისათვის. ასეთ მდგომარეობაში მყოფ-მა ოსტენ-საკენმა სცადა პირველი იერიში თვით ახმედ-ბეგზე მიეტანა. 18 აგვისტოს იგი დაიძრა შუახევისაკენ. შვიდი კილომეტრის შემდეგ წინ ისეთი მთები დაუხვდა, რომ უკან დაბრუნება არჩია. ახლა იგი ფიქრობდა არა გამარჯვებაზე, არამედ რაზმისა და თავის გადარჩენაზე. იმ გზით, რომლითაც იგი აჭარაში შემოვიდა, უკან ველარ დაიხევდა, რადგან ზურგში შეიარაღებული მოსახლეობა ხვდებოდა.

ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილ რუს გენერალს დახმარება ხულოს ერთმა მცხოვრებმა აღუთქვა და შეპირდა რაზმითურთ ფარულად გურიაში გადაყვანა.

მაგრამ, შემდეგ მარშრუტი შეიცვალა და 19 აგვისტოს ღამით, რუსეთის ჯარი დაიძრა უკან. მათ ააფეთქეს სამხედრო საწყობები და დაწვეს ახმედ-ბეგის სასახლე მთელი ქინებითურთ. ბარონს გაუგეს მისი მოძრაობის მარშრუტი და სოფელ დიდაჭარას-თან გზა გადაუჭრეს. აქ მას ახმედ-ბეგიც დაეწია. დიდაჭარა ბრძოლებით აიღო რუსეთის ჯარმა და გზა გაიკავა. რაზმი განუწყვეტელი ბრძოლით გადავიდა აჭარა-ახალციხის ქედზე და 28 აგვისტოს ახალციხში დაბრუნდა.

ოსტენ-საკენის პროკაციულმა მოქმედებამ სერიოზული გავლენა მოახდინა აჭარის მიმართულებით ომის შემდგომ მსვლელობაზე. მოსახლეობა, რომელიც ომის დაწყებამდე რუსეთის ჯარის სიხარულით მოელოდა, ოსტენ-საკენის მოქმედებამ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ამხედრა.

1 იქვე, გვ. 399.

საყურადღებოა, რომ ოსტენ-საკენის მოქმედება თვით მეფის  
მოხელეებსაც არ მოეწონათ. მეფისნაცვალი პასკევიჩი სწორდა  
მას: „თქვენ ყოვლად უსაბაბოდ და უმიზეზოდ დაარღვიეთ ჩემი  
ბრძანება, გენერალ გესესაგან პასუხის მიუღებლად თქვენ არ უნდა  
შესულიყავით აჭარაში“.<sup>1</sup>

ოსტენ-საკენმა კი პასუხი გენერალ გესესაგან მაშინ მიიღო,  
როდესაც იგი გაძევებულ იქნა აჭარიდან. გენერალი გესე მოით-  
ხოვდა, რომ ოსტენ-საკენს ახმედ-ბეგთან ურთიერთობით მოეწყ-  
ვიტა უკანასკნელი ბათუმში მყოფი თურქთა ჯარებისაგან. ოსტენ-  
საკენმა გაიმეორა თავისი პირველი შეცდომა და ისევ ცეცხლსა  
და იარაღს მიმართა. 23 სექტემბერს დაიკავა ფოცხოვის ხეობა და  
გადაწვა მის ახლოს მდებარე სოფლები. ოსტენ-საკენის მოქმედება  
ნაგვიანევი იყო, რადგან გენერალი გესე ჯერ კიდევ 17 სექტემბერს  
დაძარცხდა ციხისძირთან.

1829 წლის 5 მარტს მდინარე ჩოლოქის ნაპირებთან გესეს  
გამარჯვების შემდეგ ისევ ძველი საზღვარი რჩებოდა. აგვისტოში  
შორინააღმდეგის ჯარი აქ 17-ათასამდე გაიზარდა. თურქეთის ძი-  
რითადი ძალები მდინარე კინტრიშის მიდამოებში იყო განლა-  
გებული, საიდანაც ერთი რაზმი მუხაესტატეს გზით დაიძრა ოზურ-  
გეთისაკენ, მეორე კი შავი ზღვისპირით სოფელ შეკვეთილისაკენ.  
ქობულეთში ამ დროს ელოდნენ გურიის ყოფილ დედოფალს სო-  
ფიოს და ტრაპიზონის გუბერნატორს ოსმან-ფაშას. თურქებს მაშინ  
გათვალისწინებული ჰქონდათ ძლიერი ლაშქრობა გურიასა და  
იმერეთზე.

გესეს მცირერიცხოვანი რაზმი დახმარებას არც ერთი მხარი-  
დან არ ელოდა, ივი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ, ვი-  
დრე თურქები დაიწყებდნენ აქ გადამშუცებ მოქმედებას, რუსეთის  
ჯარმა აიღო ყარსი, არტაანი (არდაგანი), არზრუმი და თურქეთის  
შენდართმთავარი იძულებული იყო ხელი აეღო ლაშქრობაზე.  
თურქებმა ძალები არზრუმისაკენ გადაისროლეს და გესეს წინააღმ-  
დებ მხოლოდ უმნიშვნელო რაზმი დარჩა კინტრიშის ველზე.

გენერალმა გესემ მაშინ, როდესაც საჭირო იყო თურქების  
შინააღმდეგ დაუყოვნებლივი მოქმედება, ქობულეთის ბეგებთან  
ხანგრძლივი მოლაპარაკება დაიწყო. ქობულეთის ბეგები კი გარ-

1 იქვ.

ქვეულ ვითარებას უცდიდნენ, კერძოდ, საკითხის გარევას —  
სამუდამოდ დარჩებოდა თუ არა რუსეთის ჯარი აქ. ისინი ოვთ  
მოელოდნენ თურქების წინააღმდევე გესეს გადამწყვეტ მოქმედებას  
და თავის მხრივ თურქების სასჯელის ეშინოდათ. თურქებმა კი,  
როდესაც შენიშვნეს, ქობულეთის ბეგები რუსეთს ემხრობოდნენ,  
8-ათასიანი ჯარი გამოვზავნეს აქ ტუსჩი-ორობის შეფაუტობით.  
უკანასკნელმა დაარწმუნა ქობულეთლები, რომ მთელი ევროპა  
დახმარებას ჰპირდებოდა თურქეთს, ომი სხვა ხასიათს მიიღებს  
და ურჩევდა გაეთვალისწინებინათ მათი მომავალი სასჯელი.

როდესაც რუსეთის ჯარმა აზრული აიღო, გესემ ბასკევიჩის  
ბრძანება მიიღო მხარი დაუჭირა საერთო იერიშისათვის და აელო  
ბათუმი, მაგრამ ქობულეთის რაზმის მოქმედება დამოკიდებული  
იყო აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობის მხარდაჭერაზე, მათ  
განწყობილებაზე. წინსვლა გესეს არ შეეძლო, ვიდრე ტუსჩი-ოლღა  
მუხაესტატეს სიმაღლეებზე იდგა. გესემ გადაწყვიტა ჭერ ტუსჩი-  
ოლღის რაზმის განადგურება და შემდეგ ბათუმის აღება. 1829  
წლის 4 აგვისტოს რუსეთის ჯარი ორი მიმართულებით დაიძრა  
ბათუმისაკენ. ერთი სოფელ შეკვეთილიდან ქობულეთისაკენ და  
მეორე ოზურგეთიდან მუხაესტატესაკენ. გესემ გვერდი აუარა  
მუხაესტატეს სიმაღლეებზე გამაგრებულ ტუსჩი-ოლღის, ზურგში  
შეუზაკნა მილიციის ნაწილები და საერთო იერიშით მტერი გა-  
ანადგურა. დამარცხებული თურქები მთებში გაიხიზნენ, მათი  
სამხედრო ბანაკი რუსებს დარჩათ, მთელი დიდება ამ გამარჯვებისა  
ქართულმა მილიციამ დაიმსახურა.<sup>1</sup> რუსების გამარჯვებამ და-  
აფრთხო ქობულეთში გამაგრებული თურქები და მათ უბრძოლვე-  
ლიდ უკან დაიხიეს.

ზღვისპირით მოძრავმა რუსეთის რაზმმა პოლკოვნიკ პაცოვსკის  
ხელმძღვანელობით მთელი თურქეთის სამხედრო საჭურველი ხელთ  
იგდო. სოფიომ თავისი ამაღლით ძლიერდა გაასწრო ზღვით. პანიკით  
მოცულმა თურქებმა მიატოვეს ციხისძირის პოზიციები, — ბათუმი-  
საკენ გზა თავისუფალი იყო. გესემ ვერ გამოიყენა შექმნილი მდგრ-  
მარეობა და წინსვლის მაგიერ კინტრიშზე გამაგრდა. მან ისევ მო-  
ლაპარაკება დაიწყო ბეგებთან. ამ პერიოდს ემთხვევა ოსტენ-საკე-  
ნის ექსპედიციის მარცხი. გესეს უმოქმედობით ისარგებლეს თურ-

ქებმა და ცინისძირი კიდევ უფრო გაამაგრეს. მხოლოდ 17 სექტემბერს დაიწყო გესემ იერიში ცინისძირზე. ორი დღის ბრძოლის შემდეგ, როდესაც მან დაკარგა რაზმის ერთი მესამედი, იძულებული შეიქნა თავი დამარცხებულად ეცნო. ეს იყო მთელს მცირე აზამძიობის მსვლელობის მანძილზე რუსეთის ჭარის ყველაზე დიდი დამარცხება.

გესეს უკან დასახევი გზაც აღარ ჰქონდა, მაგრამ ამ დროს მიღლო ცნობა საზავო მოლაპარაკების შესახებ, რის შემდეგ თურქებმა ბათუმში დაიხიეს, ხოლო რუსებმა ოზურგეთში.

საყურადღებოა, რომ ბრძოლა ბათუმის მიმართულებით ძირითადად ოქტომბერში მიმდინარეობდა და იგი წარმატებითაც რომ დამთავრებულიყო, საბოლოოდ მაინც უშედევო იქნებოდა, რადგან საზავო ხელშეკრულება ადრიანოპოლში დაიდო ჯერ კიდევ 2 სექტემბერს.

ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა ამიერკავკასიაში მიიღო ანაპა, ფოთი, ახალციხე და იხალქალაქი. თურქეთს დაუბრუნდა ყარსი, არტაანი, ბაიაზეთი, ბათუმი კი არც ხელშეკრულებაში და არც მოლაპარაკებაში ხსენებული არ იყო. კავკასიის კორპუსის უფროსი პასკევიჩი კი საგარეო საქმეთა მინისტრ ნესელროდეს ჯერ კიდევ 1828 წლის 26 ივნისს სწერდა, რომ საზავო ხელშეკრულების დადგინდისას ყურადღება მიექციათ კავკასიის მხარისათვის. „იხმარეთ თქვენი გავლენა, — სწერდა იგი, — რომ თუნდაც ახალციხის ერთი საფაშო თავის საზღვრებში და თურქეთის საქართველოს ნაწილი ქალაქ ბათუმით შემოუერთდეს რუსეთს. მაშინ უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მყუდროება. ამით ჩეენ მივიღებთ ძველთაგან საქართველოს სამეფოს კუთვნილ მხარეს.“<sup>1</sup>

საზავო მოლაპარაკების დროს ბათუმის საკითხისადმი ასეთი უყურადღებობა მით უფრო საკვირველია, რომ ჯერ კიდევ აღრენიერობაზე პირველსაც გამოუთქვამს აზრი, რათა თურქების მიერ გადასახადი კონტრიბუციის ნაწილი შეეცვალათ ტერიტორიული დათმობით აზიაში. „ბათუმი და ყარსი, — წერდა მეფე, — ღირს იმად, რომ მათვის გავწიროთ რამდენიმე მილიონი“. 2 მიუხედავად

1 პოტტო, მითითებული ნაშრომი, გვ. 443.

2 იქვე.

ამისა ბათუმის საკითხი საზავო მოლაპარაკების დროს ყურადღების  
გარეშე დარჩა. ზ. ჭიჭინაძისა და სხვათა ცნობებით, საზავო მოლა-  
პარაკების დროს საქართველოს უნდა დაბრუნებოდა აჭარა. ახლო  
საზღვარი მდ. ჭოროხის გასწვრივ უნდა გასულყო, მაგრამ  
მოლაპარაკების დროს, ვინაიდან რუსულ ალფავიტში სხვ „ა“ არ  
არის და მის მაგიერ „ჩ“-ს ხმარობენ, ჭოროხის ნაცვლად ვითომც ჩო-  
ლოქი დაწერეს. ჩევნ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ახეთი დებულება.  
იგი ძირითადად ზეპირ გადმოცემებზეა დამყარებული, ხოლო ოჯი-  
ციალურ პირთა ცნობებში ამის შესახებ არაფერია თქმული. წყა-  
როები, რომლებსაც ჩევნ შევძელით გავცნობოდით, მოწმობს, რომ  
საზავო მოლაპარაკების დროს ბათუმის საკითხი არ წამოჭრილა. ეს  
აზრი მისაღებია იმიტომაც, რომ ომის შემდეგ რუსეთს არ შეეძლო  
რაიმე პრეტენზია განეცხადებინა აჭარაზე, რადგანაც საომარი მოქ-  
მედების დამთავრების შემდეგ აჭარაში და ბათუმში რუსეთის  
ჯარი არ ყოფილა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საზავო ხელშეკრულება  
2 სექტემბერს დაიდო, მაშინ გასაგებია, რომ რუსეთის ჯარის ნა-  
წილები სრულიადაც არ იყვნენ ნამყოფი ამ მხარეში. ოსტენ-საკე-  
ნისა და გესეს მოქმედება სექტემბრის შუა რიცხვებს ეკუთვნის.

ამგვარად, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რუსე-  
თის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ აჭარის განთავისუფლების  
საკითხი არ გადაუწყვეტია.

ომის შემდეგ ახმედ-ფაშა აზრიუმში გადაიყვანეს ანატოლიის  
ჯარების უფროსად და იქ გარდაიცვალა 1836 წელს.

ახმედ-ფაშას აზრიუმში გადაყვანის შემდეგ ახლო სანებში  
რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების შესახებ რაიმე ცნობები არ მო-  
გვეპოვება. ახმედ-ბეგს დარჩა შვილი შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი —  
აჭარის განთავისუფლებისათვის სახელოვანი მებრძოლი. უკანასკ-  
ნელი სხვა ძმებთან ერთად აჭარაში დაბრუნდა.

ვიდრე შერიფ-ბეგი სამოლვაწეო ასპარჩზე გამოვიდოდა და აჭა-  
რა რუსეთს შეუერთდებოდა, რუსეთსა და თურქეთს შორის კიდევ,  
ურთი ომი მოხდა 1853—1856 წლებში.

§ 3. აჭარის განთავისუფლების საკითხი 1853—1856 წლების  
ყირიმის ომის დროს

1853—1856 წლების აღმოსავლეთის, ანუ ყირიმის, ომის დროს რუსეთი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კავკასიაში საბრძოლო მოქმედება ძლიერ რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. რუსეთის არმის გამარჯვებაში ღვაწლი მიუძღვის აღგილობრივ მოსახლეობასაც. ქართველი, სომები, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხები ამ ომში თავდადებით იბრძოდნენ რუსეთის ჯართან ერთად. კავკასიაში მოქმედ რუსთა ჯარების წარმატებას საქართველოსათვის მაშინ არაფერი მოუცია, მაგრამ რუსეთის სარდლობა ბრძოლის ამ ასპარეზზე ფართო გეგმებს ისახავდა, კერძოდ, აჭარის შემოერთებასაც. ამიტომ საჭიროა მოკლედ შევეხოთ, თუ რა ვითარება შეიქმნა აქ.

რუსეთი ჯერ კიდევ საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე სწავლობდა თურქეთის მდგომარეობას მცირე აზიაში. იგი ფარულად კრეფდა ცნობებს ბათუმის შესახებ. კავკასიის სარდლობა არა-ერთხელ მიუთითებდა სიფრთხილეზე, რათა თურქებს ეჭვი არ აღლოთ. დაწვრილებითი ცნობები კი აუცილებელი იყო მომავალ ომში სათანადო სამოქმედო გეგმების შესაღენად.

ითვალისწინებდა რა ბათუმის გეოგრაფიულ მდებარეობას, მეფისნაცვალს კავკასიაში კორონცოვს მიაჩნდა, რომ ბათუმის ასალებად საჭირო იყო ერთდროული შეტევა ზღვიდან და ხმელეთიდან. კორონცოვი ასკენიდა, რომ ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროული მოქმედებისას რუსეთის ჯარს სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა, თუ შავი ზღვის ფლოტი ამ დროს დაკავებული არ იქნებოდა სხვა რამით. „მხოლოდ სახმელეთო ძალებით, — წერდა კორონცოვი, — და განსაკუთრებით იმ ძალებით, რომლებიც მე გამაჩნია, ბათუმის აღებაზე ფიქრიც არ შეიძლება. ფლოტის დაუხმარებლად კი შესაძლებელია ბათუმი ისე აღვილად დაკავკავით, როგორც აგველო იგი.“<sup>1</sup> აღგილობრივი მოსახლეობის შესახებ კორონცოვი აღნიშნავდა, რომ „აჭარლები და უმეტესი ნაწილი

ჭლვისბირის მოსახლე მცხოვრებლებისა ომის შემთხვევაში ჩვენ  
გვეყოლება წინამძღვანებად და გვთავაზობენ ჩვენს ავანგარდში  
სამსახურს“<sup>1</sup>

1853 წლის აგვისტოში ვორონცოვი ბათუმის შესახებ შემოეგ  
ცნობას აწვდიდა თავად დოლგორუქს: „ბათუმი სამშენებლად 29  
კილომეტრზე იმყოფება. ქალაქში რამდენიმე სახლია; ერთი ხის  
მეჩეთი, მრავალი საცხოვრებელი სახლი და დუქნები. პატარა ბა-  
თუმი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ნავსადგურად  
ანატოლიის სანაპიროზე.“<sup>2</sup>

იმუამად ვორონცოვს ბათუმის აღებისათვის შემდეგი გეგმა შე-  
უდგენია: ბათუმი აეღოთ საზღვაო დესანტით და ამავე დროს სახ-  
მელეთო ჯარების სპეციალური რაზმით ქობულეთი დაეკავები-  
ნათ. „ბათუმის ზღვით და ქობულეთის სახმელეთო გზით აღებით, —  
დასძენდა იგი, — შეიძლება ვაიძულოთ წინააღმდეგობის გაუწივ-  
ლად მოახდინოს კაპიტულაცია მეტად ძლიერმა ციხისძირის სიმძგ-  
რემ, რომელიც თითქმის შუა მანძილზე იმყოფება წმინდა ნიკოლო-  
ზის საგუშავოსა და ბათუმს შორის.“<sup>3</sup>

რუსეთ-თურქეთის ომი 1853 წლის 14 ივლისს დაიწყო ბალ-  
კანეთის ნახევარუნძულზე. კავკასიაში საომარი მოქმედება შე-  
დარებით გვიან დაიწყო, მაგრამ პირველი შეტაკება მტერთან ამ  
ასპარეზზე მოხდა.

1853 წელს ომი კავკასიაში თავისებურად წარიმართა. იგი აქ  
სრულიად მოულოდნელად დაიწყო. ჭერ კიდევ რუსეთის ჯარი სა-  
თანადოდ არ იყო განლაგებული საბრძოლო მოქმედებისათვის,  
რომ 16 ნოემბერს, ღამით, თურქებმა სოფელ შეკვეთილთან 5-ათა-  
სიანი ჯარი გაღმოსხეს.

კაპიტან შჩერბაკოვის მეთაურობით აქ რუსეთის ჯარის არა-  
სრული ორი ასეული იდგა ორი ქვემეხით. მიუხედავად გმირული  
ბრძოლისა, მცირერიცხვანი ნაწილი თითქმის სრულიად განად-  
გურებულ იქნა. სოფელში თურქებმა საზრელი მხეცობა ჩაიდინეს.  
იქ მყოფი ჩინოვნიკი მუცელზე გაჭრეს და მიზანში სროლა დაუწ-  
ყეს. აღილობრივ მღვდელს თავი გადახერხეს, დახოცეს სოფლის

1 იქვე, ხაზგასმა ჩვენია — უ. 8.

2 იქვე, გვ. 756-757.

3 იქვე.

მოსახლეობა, ერთი ფეხმიმე ქალი მუცელზე გაჭრეს, ბავშვი ამო-  
უდეს და ჯერ კიდევ ცოცხალი დედის თვალშინ ნაკუშებად კუ-  
ციეს.<sup>1</sup> გათენებისას ოზურგეთიდან ახალი ნაწილი მოვიდა პოლკოვ-  
ნიკ კორგანოვის მეთაურობით. თურქები სოფლიდან განდევნებ,  
მაგრამ აյ გაჩერება შეუძლებელი იყო. თურქების რიცხოვრივი  
უპირატესობამ აიძულა რუსეთის ჯარი ოზურგეთი დაეტოვებინა და  
აკეთის სიმაღლეებზე გამაგრებულიყო.

1853 წლის 14 ნოემბერს გენერალმა ანდრონიკოვმა თურქების  
ჯარის ძირითადი ნაწილი გაანადგურა ახალციხესთან. დამარცხებუ-  
ლი მოწინააღმდეგ ისეთმა პანიკამ მოიცვა, რომ მთელი თავისი  
აღალი დაკარგა. რუსეთის ჯარმა ამ გამარჯვების შემდეგ ფოცხო-  
ვის სანჯაყი დაიკავა და აჭარის საზღვრებთან აღმოჩნდა ახალციხის  
მხრიდან. ხუთი დღის შემდეგ თურქებთან ბრძოლა ისევ რუსეთის  
იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა.

1853 წლის 19 ნოემბერს ბებუთოვმა თურქების 35-ათასიანი  
კორპუსი გაანადგურა ბაშკიდიკლართან. გამარჯვებანი 14 და 19  
ნოემბერს თურქეთის დიდ შენაერთებზე კავკასიის ჯარებმა შედა-  
რებით მცირე ძალებით მოიპოვეს. რუსების იერიში იმდენად მოუ-  
ლოდნელი და მამაცური იყო, რომ განცვიფრებულმა თურქეთის  
მხედართმთავარმა ახმედ-ფაშამ განაცხადა: „რუსები ან გასუ-  
ლელდნენ, ან დაითვრნენ მათი საზიზღარი არაყით“.

გამარჯვება ბაშკიდიკლართან ნახიმოვის მიერ თურქეთის ფლო-  
ტის სინოპთან განადვირების 24 საათის შემდეგ მოხდა. რუსეთის  
გამარჯვება შავი ზღვის სანაპიროზე და კავკასიაში ელვის სისწრა-  
ფით მოედო ევროპის სახელმწიფოებს და გარკვეული ატმოსფერო  
შექმნა მათ მმართველ წრეებს შორის.

ნიკოლოზ პირველმა დროულად სცნო შემდგომ იერიშზე გა-  
დასცლა კავკასიაში, რათა 1853 წლის კამპანიაში რუსეთის ჯარს  
აეღო ბათუმი, ყარსი და არტაანი. მაგრამ მეფისნაცვალს კავკასია-  
ში გენერალ კორონცოვს საკმარისი ჯარი არ ჰყავდა, განსაკუთრე-  
ბით ოფიცირობა, არ ჰქონდა საკმარისი სამხედრო საჭურველი და ზამთ-  
რის მოახლოების გამო საბრძოლო მოქმედების ზაფხულში გადა-  
ტანას მოითხოვდა.

1 ცნობები ამჟარეფილია ე. გ. ტარლეს ნაშრომიდან „ყირიმის ომი“,  
ტომი 2 (რუსულად)

ბათუმის შესახებ კი ვორონცოვი მეფეს სწერდა: „არ იქნებოდა ძნელი უკანვე წაგვერთმა თურქებისათვის სოფელი წმინდა ნაკოლოზი და ოც ბათუმის აღება, მაგრამ ამ პუნქტების გამაგრება სპეციალური გარნიზონებით ძალა დაქსაქსვას და ტყუილდე მათ დაკარგვას გამოიწვევდა.“<sup>1</sup>

რუსეთის მხედართმთავრებს 1853 წლის ნოემბრის შემდეგ ახალი ოპერაციები აღარ ჩაუტარებიათ და კავკასიის ჯარები საზამთროდ განლაგდნენ.

1853 წელი, მიუხედავად ჩოლოქთან მცირე შარცხისა, კავკასიის არმიის გამარჯვებით აღინიშნა. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები დარწმუნდნენ რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის შეიარაღებული ძალებას სისუსტეში და გადაწყვიტეს შეიარაღებული ძალებით დახმარებოლნენ მას. 1853-1854 წლების ზამთარში კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე ფართო ხასიათის ოპერაციები არ ყოფილა, მაგრამ მთელი ამ პერიოდის მანძილზე თურქთა შეიარაღებული ნაწილები ცალკეული თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდნენ გურიასა და სამეგრელოს.

1854 წელს, ზაფხულში, პირველი ბრძოლები გურიაში დაიწყო. ზამთრის პერიოდში ოზურგეთში ქობულეთელი ჰასან-ფაშას გარები იდგა. ხოლო ბათუმში კი თურქეთის ძირითადი კორპუსი რყო განლაგებული. ჰასან-ფაშა თურქ მხედართმთავარს სამოქმედოდ აქეზებდა და იოლ გამარჯვებაში არწმუნებდა. მას სურდა გურიის ჭაბურობა და უკანასკნელზე გავლით შემდგომი გამარჯვების მოპოვება. მისი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა თურქების ძირითადი ძალების ნიგოითზე გავლით, გვერდი აევლო ჩოხატაურისათვის, „კოფე დაელია სოფელ მარანში და კარგად ევახშა ქუთაისში“. ნიგოითში ამ დროს თავად ერისთავის მცირერიცხოვანი რაზმი იდგა. იგი არ დაელოდა მტერს და თვითონ წავიდა შესახვედრად.

1854 წლის 27 მაისს ერისთავი თავისი რაზმით თურქების ჯარების მიერ ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. მამაცმა მეომრებმა ხი-შტებით შეუტიეს მტერს და აიძულეს იგი გაქცეულიყო. თურქებმა დაკარგეს მთელი თავისი აღალი, 2 ათასი კაცი და 2 ქვემეხი.<sup>2</sup>

1 М. Богданович, Восточная война 1853—1856 гг. СПБ., 1877 г. т. I, стр. 220.

2 Акты, т. X, стр. 799.

უდიდესი გმირობა და მამაცობა გამოიჩინა ამ ბრძოლებში დღი-ლობრივმა მოსახლეობამ, რომელიც, მიუხედავად ცუდი შეიძრა-ლებისა, თავგანწირვით ებრძოდა მტერს.

ამ ბრძოლების ერთი მონაწილე, ორჯერ დაჭრილი უზუ-ქუაჭი გლეხი, სოფელში შემთხვევით მურავიოვს შეხვდა. როდესაც ამ უკანასკნელმა გლეხის გმირობის ამბავი გაიგო, იგი ორდენით დააჭილდოვა. დასავლეთ საქართველოში ხშირი იყო ადგილობრივ მცხოვრებთა დაჭილდოება ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის.

ნიგოითთან გამარჯვების დროს გენერალი ანდრონიკოვი ძირი-თადი ძალებით სოფელ მარანში იმყოფებოდა. იგი თავისი რაზმით სასწრაფოდ დაიძრა ოზურგეთისაკენ. თურქებმა ვერ გაბედეს რუსეთის ჭარის დახვედრა, დატოვეს ოზურგეთი, დაჰყარეს მთელი სურსათ-სანოვაგე და მდ. ჩოლოქშე გადავიდნენ.

2 ივნისს ანდრონიკოვი უბრძოლველად შევიდა ოზურგეთში და მეორე დღესვე, ადგილობრივი მილიციით გაძლიერებული, დაიძრა მტრის წინააღმდეგ. მდ. ჩოლოქშე 34-ათასიანი თურქეთის კორპუსი იყო განლაგებული სელიმ-ფაშას მეთაურობით. 1854 წლის 3 ივნისს ანდრონიკოვმა იერიში მიიტანა მტერზე და შეიჭრა მის ბანაში. თურქები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ გამაგრებული ადგილი და სოფელ ლელვასაკენ გაქცეულიყვნენ. მოწინააღმდეგემ დაჰყარგა 4 ათასი მებრძოლი, 13 ქვემები, მთელი ოდალი და 36 დროშა. თვით სელიმ-ფაშამ ძილვსლა გასწრო ქოპულეთში.

სელიმ-ფაშას 34-ათასიანი კორპუსის განადგურება, რომელიც ათასობით აღმატებოდა რუსებს, რუსეთის იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებას ნიშნავდა. გამარჯვების შედეგად უზრუნველყოფილი იქნა დასავლეთ საქართველოს დაცვა. თურქებს ახლო მომავალში აქ შემოჭრა აღარ შეეძლოთ. ამიერიდან ბათუმის კორპუსის უფროსი მუსტაფა-ფაშა კმაყოფილდებოდა გურიაში ცალკეული რაზმების გაგზავნით, მაგრამ თურქების ეს თავდასხმები მარცხით მთავრდებოდა.

1853-1854 წლების ზამთრის პერიოდში თურქთა მიერ აჭარის მხრიდან ცალკეული თავდასხმები რუსეთის სარდლობამ აჭარის მოსახლეობის მოქმედებად ჩათვალა და ამავე წლის ზაფხულში

ახალციხის რაზმის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ კოვალევსკის  
დავალა ლაშქრობა დაეწყო აჭარაში. კვლავ განმეორდა 1829 წლის  
გენერალ ოსტენ-საკენის შეცდომა.

კოვალევსკი თავისი რაზმით 7 მაისს დაიძრა, 29, მარტი გადა-  
ლახა უღელტეხილი ურემდაგე და ფოცხოვის ხეობრთ აჭარაში შე-  
იჭრა. კოვალევსკის ჰქონდა სარდლობის მითითება მორს არ მესუ-  
ლიყო აჭარის მთებში. აქ სამოქმედოდ გაითვალისწინეს გენერალ,  
პასკევიჩის 1829 წლის „ანდერძი“, რომელშიაც იგი მიუთითებდა:  
„სასურველი იქნებოდა ბათუმი აგველო, მაგრამ ახალციხიდან ბა-  
თუმში ჩასვლა არტილერიით შეუძლებელია გზის უქონლობის  
გამო. აქ თითქმის განადგურდა გენერალ-მაიორი ბარონი ოსტენ-  
საკენი, რომელიც, მიუხედავად ჩემი ბრძანებისა, მაინც წავიდა  
მთებში“.<sup>1</sup>

გენერალ კოვალევსკის ამოცანა „აჭარელთა დასჯით“ განი-  
საზღვრა. მან ავანტიურისტ ოსტენ-საკენივით დაიწყო მოქმედება.  
იგი დაეშვა სოფელ ბაკოსთან და უმნიშვნელო ბრძოლებით დაი-  
კავა იგი. 30 მაისს, მისი ბრძანებით, შტაბის უფროსმა ციმერბანმა  
მოსპო სოფლები ზედა და ქვედა თხილვანა, პოლკოვნიკმა დავიდოვ-  
მა — სოფელი მუმსუ. აჭარლების მცირერიცხოვან რაზმს არ შეეძ-  
ლო წინააღმდეგობა გაუწია მოულოდნელად გამოჩენილი მტრისათ-  
ვის. ბრძანების შესრულების შემდეგ კოვალევსკიმ გადასწვა სო-  
ფელი ბაკო, მისია შესრულებულად ჩათვალა და დაიწყო უკან და-  
ხევა. დასწეს და განადგურეს აგრეთვე ფოცხოვის საზღვრებთან  
მდებარე სოფლებიც.

მოსახლეობამ დაჭარგა თითქმის მთელი თავისი ქონება, გა-  
ნადგურდა პურისა და თივის დიდი მარაგი, ხეხილის ბალები და  
მეფუტკრეობა.<sup>2</sup> ეს იყო მეფის რუსეთის სარდლობის მეორე უხეში  
შეცდომა აჭარის მოსახლეობის მიმართ.

1855 წელს კავკასიაში მეფისნაცვალი ვორონცოვი, ავადმყო-  
ფობის გამო, მურავიოვა შეცვალა.

1854 წლის ბრძოლების შემდეგ რუსეთის არმია ყარ-  
სის მიღამებში მოქმედებდა, 1855 წელს კი იგი ძლიერ  
ალყაში მოექცა და კავკასიის არმიის ძირითადი მოქმედე-

1 საქ. ცენტ. სახ. ისტ. არქ., ფონდი 548, საქ. 455, ფურც. 29.

2 აქты, თ. X, стр. 802—803.

ბის ობიექტი გახდა. იმ დროს ბრძოლები ბათუმის მიმართ გულებით ბითაც წარმოებდა. 1855 წლის 18 ოქტომბერის რუსეთის სარდლობამ გაივი, თურქები ძლიერ ლაშქრობას აწყობენ გურიაზე, მაგრამ რუსეთის ჯარმა დასწრო იერიშზე გადასცლა. 19 ოქტომბერის გურიის მილიცია დ. გურიელის მეთაურობით სრული ლელვაზე დაიძრა. თურქთა ბანაკში ხელჩართული ბრძოლები გამოიწა. მანლობელი სოფლები მამასახლისების ხელმძღვანელობით ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად წავიდნენ. ბრძოლა თურქთა ბანაკის განადგურებით დამთავრდა. მოწინააღმდეგებმ უწესრიგოდ დაიხია ბათუმისაკენ. ქართული მილიციის მცირერიცხოვან რაზმს მიღწევების შემდგომი განვითარება არ შეეძლო და მოპოვებული შედეგებით დაქმაყოფილდა.

1855 წლის მთელი ზაფხულის მანძილზე ყარსი ალყაში იყო მოვაცმირეებმა ყარსის გადარჩენა ომერ-ფაშას ექსპედიციით გაითვალისწინეს. 1855 წლის 20 ოქტომბერს ომერ-ფაშა 28-ათასიანი ჯარით და 40 ქვემეხით სამეგრელოში შეიჭრა. მას უნდოდა ქუთაისი აეღო და თბილისისაკენ მოძრაობით აეძულებინა მურავიოვი ყარსისაგან მოეხსნა ალყა. ომერ-ფაშამ ზუგდიდი აიღო და მცირე ბრძოლებით ერთგვარ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ 16 ნოემბერს ყარსი დაეცა და ომერ-ფაშამ უკან დახევა დაიწყო.

1855 წლის ზაფხულში დაიწყო საერთო იერიში ომერ-ფაშას წინააღმდეგ და მისი მიზანი — დახმარებოდა ყარს დასავლეთ საქართველოდან — ფანტაზიად იქცა.

1855 წლის ზაფხულში რუსეთის არმიის საერთო იერიშების დროს კავკასიაში მნიშვნელოვნად წაიწია წინ გურიის რაზმაც. მასში გურიის რაზმი ბაგრატიონ-მუხრანსკის მეთაურობით ქობულეთის სანჯაყში შევიდა, 24 მაისს აიღო ქობულეთი და მთელი სანჯაყი შის ხელში აღმოჩნდა. ბაგრატიონ მუხრანსკი კავკასიის მხედართშთავარს სწერდა: „თურქების გავლენა ქობულეთლებზე ყოველ-ზედის სუსტია, ახლა კი სამუდამოდ უნდა დაიკარგოს იგი, რადგან თურქებმა მთელი სანჯაყი დატოვეს, ახლა ისინი (თურქები — მ.) მხოლოდ ზღვის სანაპიროზეა გამაგრებული“.<sup>1</sup>

ამ პერიოდში ომერ-ფაშამ უკვე რამდენიმე მარცხი განცალა  
და უკან იხევდა. ბათუმის მხრიდანაც თურქებმა დაანებეს თავი  
აქტიურ მოქმედებას, ხოლო თვით ქობულეთის რაზმს კი, ძალა  
სიცირის გამო, არ შეეძლო სერიოზული ოპერაციების შესატულება.  
ყარსის აღების შემდეგ ომერ-ფაშას წინააღმდეგ რუსთანის გარის  
მოქმედება გაძლიერდა და 1856 წლის თებერვლის ბოლოსათვის  
იგი საშეგრელოდან გაძევებული იქნა. შემდგომი ოპერაციების  
ჩატარება არზრუმის ან ბათუმის მიმართულებით კავკასიის არმიას  
არ დასცალდა, რადგან დაიდო საზაო ხელშეკრულება.

ყირიმის, ანუ აღმოსავლეთის ომი, როგორც ცნობილია, საერ-  
თოდ, რუსეთის მარცხით დამთავრდა, მაგრამ კავკასიის ბრძოლის  
ასპარეზზე იგი რუსეთის არმიის გამარჯვებით აღინიშნა. კავკასია-  
ში მოპოვებული გამარჯვებით შეძლო რუსეთმა პარიზის კონგრეს-  
ზე გაძლიერდა ყირიმის ნახევარკუნძულზე განცდილი მარცხი. პა-  
რიზის ტრაქტატით, კავკასიაში მოპოვებული მიღწევები უშედე-  
გო დარჩა. ყარსი და ყველა ის ტერიტორია, რომლებიც რუსეთის  
ჭარს ჰქონდა დაკავებული ისევ თურქეთს დაუბრუნდა, მათ რიცხვ-  
ში — ქობულეთის საწაყიც.

ამრიგად, 1853—1856 წლების ომის დროსაც, აჭარის განთავი-  
სუფლების ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებმა გაითვალის-  
წინეს გასული ომების პერიოდში დაშვებული შეცდომები. აჭარის  
დედასამშობლოსთან შეერთება შესაძლებელი გახდა 1877-1878  
წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. რუსეთის სარდლობაშ  
მვიდრო კავშირი დაამყარა აჭარის მოწინავე ადამიანებთან და მო-  
სახლეობის მხარდაჭერასაც იმედოვნებდა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინა პერიოდში  
საიდუმლო მოლაპარაკება მიმდინარეობდა აჭარისა და ქობულეთის  
გამოჩენილ პირებთან. მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გენერალი  
გ. დ. გურიელი და მ. ა. მეფისაშვილი. უკანასკნელი ახალციხელი

ქართველი ქათოლიკე იყო, რომელსაც კარგად იცნობოა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, გ. გურიელს კი ნათესაური კავშირი ჰქონდა ქობულეთის ბეგ თავდგირიძესთან და დიდი ავტორტეტიზ სარგებლობდა ქობულეთისა და აჭარის მოსახლეობაში.

ომის წინა პერიოდში გ. გურიელმა და რუსეთის გენერალური შტაბის მოხელემ გენერალმა გ. ნ. ყაზბეგმა გურიელის მსახურის სახელით მთელი სამხრეთი საქართველო შემოიარეს. გ. ყაზბეგმა თავისი მოგზაურობის ჩანაშერები 1875 წელს წიგნად გამოსცა «Три месяца в турецкой Грузии», მისი წიგნი საჭირო ცნობებს აწვდიდა სამხედრო შტაბს სამხრეთ საქართველოს შესახებ. აჭარაში გ. ყაზბეგის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ იმოგზაურა და აღწერა იგი ისტორიულად და ეთნოგრაფიულად. აჭარაში გაგზავნილ იქნა ივანე კერესელიძე, იმ დროს ქართული უურნალის „ცისკარის“ რედაქტორი. იგი შერიც-ბეგ ხიმშიაშვილს ესტუმრა.<sup>1</sup>

ი. კერესელიძეს ბეგის აზრისა და დამოკიდებულების გაგება სურდა მომავალ ომისადმი. შერიც-ბეგს მისთვის განუცხადებია: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შევუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს.“<sup>2</sup> ი. კერესელიძის გარდა, ომის დაწყებამდე აჭარაში გაიგზავნა გურიის სასაზღვრო რაზმის უფროსი გ. გურიელი. გ. გურიელიც შერიც-ბეგ ხიმშიაშვილს ეწვია. უკანასკნელს მისთვისაც უთქვამს, რომ იგი ყოველმხრივ დაეხმარებოდა რუსეთს ომში და მოსახლეობის მხარდაჭერასაც დაპირებია.<sup>3</sup> ქობულეთის ბეგებიც თანახმა იყვნენ საქართველოსთან შეერთებაზე, გარდა ალი და ოსმან

1 შერიც-ბეგ ხიმშიაშვილი მოწინავე, პროგრესული არამინი იყო, რომელმაც თავისი სიცოცხლე მშობლიური მხარის მომავალს შესწირა. იგი იყო საშუალოზე მეტი სიმღლის, ქეთილი, ტიპიური ქართული სახის, ძლიერ ჰკვანი, ნასწევლი და მრავალს მცოდნე. მას თავისი ხელით გაუკეთებდა ნმალი, ჩიბოუსახამს ქვემეხი და ა. შ. შერიც ხიმშიაშვილი 1892 წ. გარდაიცვალა პეტერბურგში. იგი შვილებმა ჩამოასცენეს სიფ. ქოჩაში და საზაფხულო აგარაკზე დაკრძალეს.

2 ზ. ჰიჭინაძე, მითიობებული ნაშრომი, გვ. 230.

3 სცხა, ფონდი 485, საქ. 49630, ფურც. 31,

თავდგირიძეებისა.<sup>1</sup> მათ გენერლობასაც შეპირდნენ, ფულადი სა-  
ჩუქარიც კი აძლიეს, მაგრამ მაინც უარზე იდგნენ. გ. გურიელმა  
რუსეთის სარდლობის სახელით ქართველ ბეგებს აცნობა, რათა ისი-  
ნი შშვილობით და უსისხლოდ ჩაბარებოდნენ რუსებს. მორჩილების  
შემთხვევაში მეფის სახელით საჩუქრებს ჰპირდებოდა. ტუსოშა  
გაითვალისწინა ქობულეთსა და აჭარაში თურქეთის მიმართ გა-  
მოწვეული უკმაყოფილება (რაც 1875 წლის ჯანყებაში გამოიხატა)  
და გასული ომების შეცდომები, რითაც მომავალ ომში მიაღწია  
თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებას.

თავდგირიძეები თავისი რეაქციული მოქმედებით საშობლოსა და ხალხის  
დალატით ცნობილი გახდნენ ისტორიაში. მათი გვარი ცნობილი იყო იმერეთში  
და ნახესაობა ჰქონდათ გურიის თავადებთან. მე-18 საუკუნეში ისინი გადასახ-  
ლდნენ ქობულეთში და თავი მთავრებად გამოაცხადეს. ამან უკმაყოფილება ჩა-  
მოაგდო თავდგირიძეებსა და გურიელებს შორის, რაც აშეარა ძრინაში გადა-  
ზარდა. პირველად მამუკა თავდგირიძე დააღდა ბოროტების გზას. მან ისმალთა  
დახმარებით გადაწყვიტა გურიაში ბატონობა. გურიელმა თავის შერივ ბრძოლა  
გადაწყვიტა თავდგირიძის წინააღმდევ, რათა ჩამორჩმია ქობულეთი და შეერთე-  
ბინა გურიისათვის. როდესაც ეს მამუკა თავდგირიძემ გაიგო, ახალციხეში გაიქცა  
და ფაშას მოახსენა: „დიდა შზისა და შთარის ფაშა, მე მსუბუქი ხონთქჩის ერთ-  
გულება, გურიელი მე მტრის, ჩემი სამშობლოს წართმება უნდა და გურიისათ-  
ვის შეერთება. აშიტომ გთხოვ მფარველობს, მე თქვენ დახმარება მომეცით და  
შერე მე ვიცა როგორც გიერთოვლებოთ თქვენონ“. ერთგულების დასამტკიცებულიდ  
მან მუსლიმანობის მიღება და ბაგშეის მმევლათ მიცემა შეპირდა. უდავა, ფა-  
შას მოეწონა თავდგირიძის მორჩილება და დახმარება აღუთვა. თავდგირიძეებმა  
ქობულეთი თურქ ყაჩალებით ავსეს და დაიწყეს გურიაში თარეში, გოგობიქე-  
ბის მიზაცება და თურქეთში გაყიდვა. მამუკა თავდგირიძე ქობულეთის მფლობე-  
ლად გამოცხადთ 1870 წელს. გურიელები შეეცადნენ მსათან დაახლოებას. მამუ-  
კას შველს მაქსიმეს, რომელიც ახალითის ფასასთან იზიდობოდა, ცოლად  
გრიგოლ გურიელის მამიდა შერთეს. მაქსიმე პირველ ხანებში ერთგულებას იწერ-  
და, მაგრამ, გაიტაცა რა ფაშობისა და თურქების რადგენების მიღებამ, ცნობილი  
გახდა როგორც ჩართველთა შვილების გამყიდველი. აღრევე იგი გამუსლიმანდა  
რა გახდა სულეიმან-ბეგი ქობულეთისა. მან დაანგრია ქობულეთში ქართული  
შატერადლური ძულტურის ძეგლები, მისა საშუალებით ატარებდა თურქეთი ყო-  
ველვარ ბოროტმერიდების. სიკეთილს შემდეგ მისი ადგილი დაკავა მმედ-  
ბეგმა, ხოლო უკანასკრელის შეილება იყენება ალი და ისმბე თავდგირიძეები, რომლებიც  
დაკავშირებული არიან აჭარის განთავისუფლების საკითხთან, რო-  
გორც რეაქციული პირები (მათ ქვემოთ შევეხებით).



## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

რუსთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი

და აჭარის განთავისუფლება

§ 1. ქართველი ხალხის დამოკიდებულება აჭარის

განთავისუფლებისადმი

ქართველი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით და ინტერესით შეხვდა აჭარის განთავისუფლების საკათხს და 1877-1878 წლების რუსთ-თურქეთის ომი დადგებითად შეაფასა.

თურქეთი, ისევე როგორც ირანი, თავისი არსებობის პირველი დღიდანვე საქართველოს სასტიკი მტერი იყო. თურქ ასიმილატორთა ოცნება — შოებო ქართველი ერი — კიდევ უფრო შეიკვეცა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. მათი მიზნების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა ამ პერიოდიდან შეუძლებელი გახდა. ქართველი ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილიყო თურქების შემოჭრა დასავლეთ საქართველოში 1853—1856 წლების ომის დროს. ჯერ კიდევ ახსოვდათ მათი მხეცური მოქმედება. მაშინ როცა კვლავ შეიქმნა ქართველი ხალხის ოხრების საშიშროება, აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეამ აღაფრთოვანა საქართველოს მოსახლეობა. ქართველი ხალხის შეგრძოლი პატრიოტული სულისკვეთება გარკვეულ პერიოდში საკირო იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის, რათა გამოეყენებინა რაი თურქეთან ომში. ამიტომ ცარიზმი ხელს უწყობდა ომის პოპულარიზაციას მოსახლეობაში.

ქართული პერიოდული პრესა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ათავსებს ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს აჭარის შესახებ. ეს წერილები, როგორც მოწინავე იდა-

მიაწების აზრის გამოხატველი, შეიძლება ჩავთვალოთ ხალხის საერთო სულისკვეთებად. ი. ჭავჭავაძე, ითვალისწინებდა რა ნაციადიან და ქრისტიან ქართველებს შორის სარწმუნოებრივ განსხვავებას, წერდა: „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაპმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევურთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსან და ლმობიერს გულზე ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ იმისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“<sup>1</sup>.

ქართველი ხალხის მისწრაფება აჭარას განთავისუფლებისაღმი გამოხატულია მრავალრიცხვან, მაგრამ ცალმხრავ, ოფიციალურ დოკუმენტებშიც. 1876 წელს, როდესაც ცნობილი გახდა თურქეთთან მძის იუცილებლობა, პეტერბურგში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან გაგზავნილ იქნა მიმართვები, რომელშიაც ქართველი ხალხის სხვადასხვა ფენები მზადყოფნას აცხადებდნენ მონაწილეობაზე.<sup>2</sup>

ქუთაისის მცხოვრებთა მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ ისინი თანაუგრძნობენ თურქეთში მყოფ ჩაგრულ ქართველ ხალხს, რომ საქართველო მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლებს თურქეთთან, იცავდა თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სისხლისაგან იცლებოდა უთანასწორო ბრძოლებშა, მაგრამ რასაც წინაპრებმა ვერ მიაღწიეს, განხორციელდა რუსეთის დახმარებით. და „აშეამად, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — როდესაც ჩვენი ძმები იტანჯებიან მძიმე უღლის ქვეშ, ნუთუ შეგვიძლია ჩვენ დავივიწყოთ ისინი.“<sup>2</sup>

1 გაზ. „ივერია“, 1877 წ. 28 აპრილი, ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 4, თბილისი, 1955 წ. გვ. 13–14.

2 სახ. ცენტრ. ისტ. არქ. ლენინგრადში. ფონდი, 2668, ალ. 21. საქ. 228, ფურც. 15.

მსგავსი მიმართვა გაგზავნა ქალაქ ახალციხის საზოგადოებაში. მასში ნათქვამი იყო, რომ „ორმოცდარვა წლის წინათ ახალციხის ძეცხოვრებლები თვით იტანჯებოდნენ თურქეთის ჩაგრის უღელქვეშ, რასაც ახლა ჩვენი ძმები განიცდიან. ახალციხეში თვით გადაიტანა თურქეთის დესპოტიზმის ყოველგვარი მხეცობა, რა როდესაც ახალციხის ძეცხოვრებნი სისხლისაგან იცლებოდნენ და იმედს ჰკარგავდნენ, რუსეთმა მოუსწრო მათ.“<sup>1</sup>

აქარის განთავისუფლებისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოხატავს მისი უშუალო მონაწილეობა ომში. ქართველი ხალხი მოში მონაწილეობას ღებულობდა მილიციის ჯარის სახით.<sup>2</sup> ეს იყო ძველად არსებული სახალხო ლაშქრის თავისებური სახე. სახალხო ლაშქარი, რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე, ქვეყნის ძირითადი ძალა იყო გარეშე მტერთან ბრძოლაში, ხოლო შემდეგ იგი რუსეთის ჯარის დამხმარე გახდა. რუსეთის ცარიზმი საქართველოში დამკვიდრების დღიდანგე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი მილიციის გაძლიერებას ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ომებში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოში რუსეთის ჯარის გაზრდასთან დაკავშირებით, მილიციის ნაწილებიც გაძლიერდა, განმტკიცდა მისი სტრუქტურა და ორგანიზაცია, დაწესდა შტატი. მეთაურებად უკვე ვხვდებით რეგულარული ჯარის ოფიცრებს, მას ამარავებს და აიარალებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სხვა.

ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენებმა თურქეთთან ომის ღრუს გამოამტებავნეს მაღალი პატრიოტული სულისკვეთება და მოხალისედ მიღიოდნენ ამში.

ადგილობრივი მილიციის შექრება დაიწყო 1876 წელს და გრძელდებოდა ომის დამთავრებამდე. ომის დაწყების დღიდან, არასრული ცნობებით, ქართველებისაგან შექრებილ იქნა 12 სამხედრო შენაერთი, რომლებშიც 10 ათასზე მეტი მებრძოლი შედიოდა. ხოლო ომში მონაწილეთა საერთო რიცხვი 30 ათასს აღემატებოდა.<sup>3</sup>

1 იქვე. ფურტ. 18.

2 იბ. ჩვენი „Грузия в Русско-Турецкое в войне 1877-1878 гг. Батуми, 1955 წ.

3 სახ. ცენტ. სამხ. ისტ. არქ., ფ 485, საქ., 45235, ფურტ. 21—24.

ქართველი ხალხი აღფრითოვანებით შეხვდა მიღლიცაში ვაწვე-  
ვას. ქუთაისის გუბერნიის მიღლიციელების ნახევარზე მეტი მოხა-  
ლისედ ჩაწერა ჭარში. ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართვე-  
ლოს სხვა მხარეებშიც. მიღლიცაში მოხალისედ ჩაწერის მაგალითს  
გლეხობა იძლეოდა. შორაპნის მხარეში ას კოშლს უწდა მიეცა თურ-  
მებრძოლი, სურვილი კი ოცმა განაცხადა.

გურიაში სამი ათასი კაცი გამოცხადდა მოხალისედ (დაწყებუ-  
ლი ახალგაზრდებიდან, დამთავრებული სამოცი წლის მოხუცებით),  
მაშინ როცა მოთხოვნა 1000 კაცზე იყო. ამ ამბების მოწამე ი. მაკა-  
ევი წერს, რომ მას შემთხვევა ჰქონდა ენახა, თუ ათი წლის ბავშვე-  
ბი როგორ ეველრებოდნენ თფიცრებს მიეღოთ ისინი ლაშქარში.<sup>1</sup>  
გურიის მრავალ სოფელში დღესაც არიან ცოცხალი ამ მმშა  
მონაწილე პირები. ხიდისთავის თემის მცხოვრები მოხუცი სოფრომ  
თავართებილაძე ჩვენთან საუბარში იგონებდა, რომ „ჩვენი საზოგა-  
დოების ხალხი ომის გამოცხადების დღეს სკოლისთან შეიკრიბა. აქ  
მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული. შემდეგ მღვდელმა გვაკურთხა  
და ოზურგეთში წავედით ლაშქარში ჩასაწერად.“ წამსვლელთა  
რიცხვში გაიხსენა კირილ ლომაძე (გარდაიცვალა 110 წლის ასაკ-  
ში 1952 წელს), იულო ზამბახიძე (გარდაიცვალა 102 წლის ასაკში  
1951 წელს), ივანე ბარამიძე სოფ. სურებიდან (გარდაიცვალა მეტე-  
ხის ციხეში, როგორც რევოლუციონერი), იასე ცინცაძე ჩოხატაუ-  
რიდან, იმ დროს ცნობილი მოჭიდავე როსტომ ფალავანი (ქრის-  
ტიფორქ მეგრელიძე), თეიმურაზ ჯაში და სხვები.

სოფ. ბახვიდან მოხალისეებად იყვნენ იოსებ და თეოფილე  
ჭელიძეები, დავით ლოლიძე და სხვები. ბევრი მოხალისე იყო სოფ. შემოქმედიდან, ლიხაურიდან და ა. შ. ზემოხსენებული პირები  
ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოებული იყვნენ  
მედლებითა და ორდენებით.

ბათუმის განთავისუფლებაში მონაწილეობდა სოფ. სუფსია  
მცხოვრები კონსტანტინე გოჭასპირიძე. იგი 1925 წელს გარდაიცვა-  
ლა 82 წლის ასაკში. კ. შარაშიძე ციხისძირთან ბრძოლების დროს  
გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოებული იყო წმინდა გიორ-  
გის ჯვრის ორდენით. მის შვილს—მარიამ კონსტანტინეს . ასულ შა-

1 И. Макаев, Историческая записка I Гурийской пещей дружине,  
Тифлис, 1913 г., стр. 159.

რაშიძე-კანდელაკისას დღესაც კარგად ახსოვს მამის სიტყვები:  
„შეილებო იცხოვრეთ და გაიხარეთ დიღხანს ჩემს მეურ განთავი-  
სუფლებულ ბათუმშიო“.

საქართველოს მშრომელმა მოსახლეობამ, გარდა იმისა, რომ  
თვით მიიღო მონაწილეობა ომში, დიდი დახმარება გაუწია ჭავას  
ნაწილებს მატერიალურად. მანგლისის მოსახლეობამ 100 მანეთი  
შექრიბა, იყიდა ჩაი, თამბაქო, ზაქარი და მოქმედ ნაწილებს გაუგ-  
ზნა. დუშეთის მოსახლეობამ საჩუქრის სახით 700 არშინი სხვა-  
დასხვა სახის ქსოვილი შეაგროვა. დაკრილ მებრძოლთა ოჯახების  
დასახმარებლად საქართველოს ყველა კუთხეში იკრიბებოდა სათა-  
ნადო თანხები.

ახალქალაქში და ყველა საზღვრისპირა სოფლის თვითეულ  
ოჯახში სამი-ოთხი დაჭრილი მებრძოლი იყო სახლის მეპატრონის  
ხარჯზე. მოსახლეობა დახმარებას უწევდა მეომრებს ჰოსპიტლების  
გახსნაში, სამხედრო საჭურველისა და სანოვაგის გადატანაში და  
სხვ. ქალაქებში სპეციალურად ეჭყობოდა სახალხო სეირნობები,  
კონცერტები, ლექციები, ლიტერატურული საღამოები და ა. შ.,  
რომელთა შემოსავალი მიღიოდა კავკასიის წითელი ჭვრის საზოგა-  
დოებაში. ფრონტისადმი დახმარების ჩვენს მიერ დასახელებული  
მაგალითები ძლიერ მცირეა არსებულთან შედარებით, მაგრამ  
მაინც საქმაო წარმოდგენას იძლევა, თუ როგორ შეხვდა ქართველი  
ხალხი აჭარის მომავალი განთავისუფლების საკითხს.

## § 2. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მიმდინარეობა

4 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა  
ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კუვკასიაში. რუსეთის არმიის  
სარდლობის გეგმით, ძირითადი საბრძოლო მოქმედება გათვალის-  
წინებულ იქნა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხოლო კავკასიის  
ბრძოლის ველს მეორეხარისხოვანი როლი უნდა ეთამაშა. კავკასია-  
ში თურქეთის საზღვრები იწყებოდა შავი ზღვიდან, სოფელ შეკვე-  
თილიდან და გრძელდებოდა ირანის საზღვრამდე 550 კილომეტრის  
საერთო სიგრძით. მომავალი ბრძოლის ასპარეზს ორ ნაწილად  
ყოფდა აჭარა-გურიის მთები და თავის მხრივ ქმნიდა ორ დამოუკი-  
დებულ ბრძოლის ასპარეზს.

კავკასიის სასაზღვრო ხაზის გამაგრებულ ადგილებს შეაღენდა თბილისი, ახალციხე, ახალქალაქი, ალექსანდროპოლი და ერევანი. თურქეთის დასაყრდენი პუნქტები მცირე აზიაში იყო ბათუმი, არდაგანი და ყარსი.

(რუსეთის არმია კავკასიაში 180-ათასამდე მურმინს შეაღენდა 400 ქვემებით, აქედან თურქეთან საბრძოლვებულ გამოყოფილი იქნა 75 ათასი კაცი 150 ქვემებით. საერთო სარდლობა დაეკისრა კავკასიაში მეფისნაცვალს, იგივე კავკასიის ჯარების მხედართ-შთავარს, შიხეილ რომანოვს (მეფის ბიძაშვილი).)

კავკასიაში ძირითად ბრძოლის ველზე სამოქმედოდ გამოიყო მელიქოვის კორპუსი 50-ათასანი მებრძოლით, ხოლო რიონის მხარის ჯარებიდან ბათუმის გასათავისუფლებლად მოქმედებდა 25 ათასი მებრძოლი ოკლობების მეთაურობით (შემდეგში ქობულეთის რაზმი). რუსეთის ჯართან ერთად იბრძოდა მილიციელთა ნაწილები (სახალხო ლაშქარი), რომლებიც ომას წინა პერიოდში ადგილობრივი შოსახლეობისაგან იქნა შეკრებილი. ,

ომის სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ 1876 წელს იქნა შედგენილი, რომლითაც კავკასიის არმიის ძირითადი ამოცანა იყო კავკასიის საზღვრების დაცვა.

1876 წლის გეგმით ბათუმის დაკავება აუცილებელი იყო და რაც მთავარია, შოსახერხებელი, რადგან ჯერ კიდევ ძალაში იყო შოსახლეობაში შემორჩენილი 1875 წლის ქობულეთის აჯანყებით გამოწვეული უქმაყოფილება. კავკასიის მხედართმთავარი მიუთი-თებდა, „ბათუმის დაკავება ქობულეთლებისა და აჭარლების იმ პერიოდში ჩვენდამი განწყობილების მდგომარეობაში შესაძლებელი გვეჩვენებოდა ძლიერ მცირე ძალებით.“<sup>1</sup>

გათვალისწინებული იყო ხაზი ბათუმ-არტაანი-ბაიაზეთის გას-წვრივ გამაგრებულიყო 1876 წლის შემოდგომაზე, რათა უზრუნველყოფილიყო ძლიერი თავდაცვა ან შემდგომი წინსვლა 1877 წლის ზაფხულისათვის. რუსეთის არმიის იერიში ისეთი სწრაფი უნდა ყოფილიყო, რომ ომის პირველ დღეს უნდა აელოთ ციხისძირი, ხოლო მეორე, ან მესამე დღესვე ბათუმი.

1 Материалы для описания Русско-Турецкой войны 1877—1878 гг. на Кавказе и в малой Азии,

1876 წლის გეგმის თანახმად კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე ძირითადი საბრძოლო მოქმედება გათვალისწინებული იყო ბათუმის შიმართულებით, მაგრამ 1877 წლის გაზაფხულისათვის იგი შეიცვალა და ძირითადი მოქმედება გადავიდა ლორის მელიქოვის კორპუსის სამოქმედო ასპარეზზე.

1877 წლის 2 აპრილისათვის რუსეთის არმია საფეხბით მშეღმყოფი იდგა ოზურგეთში, ახალციხეში, ახალქალაქში, ალექსანდროპოლსა და ერევანში. იგი მხოლოდ სიგნალს ელოდა მოქმედების დასაწყიერებად.

ბათუმის აღება ოზურგეთში განლაგებული ჯარების (შემდეგ ქობულეთის რაზმის) ამოცანა გახდა. ქობულეთის რაზმის უფროსად დაინიშნა იგივე რიონის მხარის ჯარის ნაწილთა უფროსი გენერალი ოკლობეიო, რაზმის შტაბის უფროსად კი — პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი.<sup>1</sup>

ომი დაიწყო 1877 წლის 12 აპრილს. ბალკანეთში მოქმედმა რუსეთის არმიამ გადალახა რუმინეთის საზღვარი და დაიძრა მდ. დუნაისაკენ. კავკასიის არმია კი ომის გამოცხადების პირველ დღეს ვე გადავიდა თურქეთის საზღვარზე და მტრის ტერიტორიაზე გააჩალა ბრძოლა.

12 აპრილს, საომარი მოქმედების პირველ დღესვე, ქობულეთის რაზმმა გადალახა თურქეთის საზღვარი მდ. ჩოლოქზე. რაზმი ძირითადად ორი მიმართულებით მოქმედებდა, მარჯვენა მხარეს ზღვის სანაპირო დაბლობებით გენერალ შერემეტიევის. მეთაურობით და შარცხენა მხარეს — მთიანი ადგილების გავლით გენერალ დენიბეკოვის ხელმძღვანელობით. ორივე ნაწილი უნდა შეერთებულიყო ციხისძირთან.

კავკასიის არმიის სარდლობამ აჭარის ტერიტორიაზე შესვლისთანავე შოწოდებით მიმართა მოსახლეობას: რუსეთის არმია თურქეთის ჯარს ებრძევის და მოქალაქეებს საშიში არაფერი აქვთო. ამ

1 გ. ყაზბეგი ეკუთვნის აჭარის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პატრიოტებს. იმში მან მიაღწია გენერლობას. 1905 წლის რევოლუციის დროს იგი ხაბაროვ-სკის გენერალ-გუბერნატორი იყო. როდესაც რევოლუციამ გამოხმაურება ჰპოვა, მასში შონაწილობა მიიღო ხაბაროვსკის გარდიზნის ერთმა ლეგითინმა. მაგრამ მან არ დასაჯა რევოლუციონერები და იგი ამისათვის ჯარიდან დემობილზებულ იქნა. შემდეგ ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამაცრელებელ საზოგადოებას საქართველოში.

შიმართვას უეპველად გარკვეული მიზანი ჰქონდა, რადგან, ვედრე საბედრო ოპერაციები დაიწყებოდა, თურქები გაძლიერებულ აიი-ტაციას ეწეოდნენ აჭარაში, თითქოს რუსები მათ გააქრისტიანებდნენ და ციმბირში გადასახლებდნენ, ქონებას წარმოევლნენ და ქალებს გააუპატიურებდნენ. რუსეთის სარდლობის მოწყდებამ მოქმედა შოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე.

სათანადო მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ „არც მუქარით მოდის თქვენს ქვეყანაში მხედრობა რუსთა ხელმწიფისა და არც რაიმე შიში მოსდევს მას შვიდობისმოყვარე მცხოვრებთათვის. ნუ გე-შინიათ თქვენ, ვინც მტრად არ მოგვექცევა, ჩვენც მივიღებთ მე-გობრად, — და მის ცოლ-შვილს, ოჯახსა და ქონებას ჩვენ თვითონ შფარველად ვეყოლებით. რუსის ჭარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა მოსპოს ერთმანეთს შორის არსებული მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ თქვენთან, ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანთ“!

რიონის რაზმის მხედართმთავარმა გენერალმა ოკლობეკიმ ომის დაწყების პირველ დღესვე ჭარებისადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ აჭარაში მოქმედების ღროს რუს მეომრებს არ შეელახათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და უხეშობა არ გამოეჩინათ. ვინც ამ ბრძანებას დაარღვეს, ის სასტიკად დაისჯებაო. მიმართვა მთავრდებოდა სიტყვებით: „დე, გვახსოვდეს, რომ ჩვენ წინ გაშლილია შინდგრები და მთები ქველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის მოსახლეობა წარმოშობითა და ენიო ეკუთვნის იმ ერთ ოჯახს, რომელთა ათასობით მილიციელები და მოლაშქრები ამჟამად ჩვენს რიგებში დგას საერთო საქმისათვის“.<sup>1</sup>

¶ აჭარაში რუსეთის ჭარის შემოსვლისთანავე ადგილობრივმა მოსახლეობამ რუსეთის მხარეზე გადასვლა დაიწყო. თურქების მიერ ნაძალიდევად შეიარაღებული პირებიც კი ტოვებდენ თავიანთ ნაწილებს. გადმომსვლელთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა როგორც ცალკეული პირების, ისე მთელი ჯგუფების სახით, მაგალითად, ქობულეთელი აღა ჭყონია თავისი შეიარაღებული რაზმით გადავიდა რუსეთის მხარეზე და გამოცხადდა გურიის რაზმის უფროს ი. გურიიელთან, რომელსაც რუსეთის ქვეშვრდომობა სოხოვა.

1 სახ. ცენტ. სამხ. ისტ. არქ. ფონდი 485, საქ. 4653, ფურც. 77.

2 იქვე.

მეორე დღეს კი მისი მეგობარი შერიფ-ალა გადმოვიდა რუსეთის  
ბანაქში 150 კაცით. **X**

ჯერ კიდევ მუხაესტატეს სიმაღლეებზე ჰქონდა საუბარი გენე-  
რალ ოქლობერის ადგილობრივ ბეგებთან და მათთან საუბრიდან  
ასკვნიდა, რომ „ქობულეთლები არ არიან გამსჭვალული აოც რუ-  
სებისადმი სიძულვილით და არც თურქებისადმი ერთგულებით“.  
იგი აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად ბეგების ზემოქმედებისა, „გაღ-  
მომსვლელთა რიცხვი ყოველდღე იზრდება. რუსეთის მეგობრობის  
შაძიებელთა რიცხვი თურქთა პარტიის ხარჯზე იზრდება“-ო.<sup>1</sup>

როგორც ამ ამბების თანამოწმენი გადმოვცემენ, ქობულეთ-  
ში რუსეთის მხარეზე გადასვლის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ  
მათ არ ჰყავდათ სათანადო პირები, ვინც ორგანიზაციას გაუშევდა  
საქმეს და უხელმძღვანელებდა ხალხს. ამიტომ ისინი მოებში და  
ხეობებში გაიხიზნენ. ადგილობრივმა რეაქციონერმა ბეგებმა ისევ  
დაიწყეს აგიტაცია და ხალხის დასჭა. ისინი ქადაგებდნენ, რომ რუ-  
სები დროებით მოვიდნენ, რომ მათ უკან დახევის შემდეგ აჭარა  
ისევ სულთანის ხელში დარჩება და დაგვსჭიანო. საქართველოსთან  
შეერთების მომხრე პირები კი ოჯახებით თურქეთში გაასახლეს.  
შეუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ხალხთა მასები სიხარულით  
ხვდებოდნენ თავიანთ განმათავისუფლებლებს.

ქობულეთის რაზმის შემადგენლობაში შედიოდნენ და რუსეთის  
ჯარისკაცებთან ერთად თურქების წინააღმდეგ იბრძოდნენ საქართ-  
ველოს სხვადასხვა კუთხის შვილები. ისინი გაერთიანებული იყვნენ  
ადგილობრივ მილიციელთა ნაწილებში.

ქართველი მილიციელები კარგად იცნობდნენ საბრძოლო ასპა-  
რეზს, ადგილობრივ მოსახლეობას და ავანგარდში მოქმედებდ-  
ნენ. ქართველი მებრძოლები ერთიანი სულისკვეთებით იყვნენ  
გამსჭვალულნი. მათი მიზანი იყო გაეთავისუფლებინათ თურქეთის  
ბატონობის ულელქვეშ მყოფი მოძმენი. რეგულარულ ჯარის ნაწი-  
ლებთან შედარებით მილიციელთა ლაშქრის ორგანიზაციის თავისე-  
ბურებამ ხელი არ შეუშალა მათ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ  
საერთო მტერთან ბრძოლაში. მამაკანა, სამშობლოსადმი სიყვარუ-  
ლი, მტრისადმი სიძულვილი და იდეა მოძმე ხალხის განთავისუფ-

\* საქ. ისტ. არქ. ფონდი 1087, საქ. 509, ფურც. 8.

ლებისა იყო ის გადამწყვეტი ძალა, რომელიც ავსებდა მათ ნაკლოვან მხარეებს სამხედრო მომზადებას დარგში.

კავკასიის სარდლობა დიდ უურადღებას ქცევდა ომში ოდგოლობრივი მოსახლეობის გამოყენებას, მაგრამ მილიციის რაზმები იმდენად გათქვეფილი იყვნენ ჭარების საერთო მოქმედებაში, რომ უშუალოდ ომში მათმა მოქმედებამ ვერ პპოვა საოანაოო დამოუკიდებელი აღრიცხვა სამხედრო საქმეებსა და შტაბთა მიწერ-რაში. არ არის გამორჩეული ის გარემოება, რომ მხედართმთავართა ნაწილი შეგნებულად გვერდს უვლიდა ამ საქმეს და სდუმდა ადგილობრივ ჭარისკაცთა და მილიციელთა მოქმედებასა და გმირობაზე. ამიტომ ქართველი მილიციელების ცალკეულ გმირობაზე და ადგილობრივი მილიციის საერთო მოქმედებაზე ჩვენ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით.

ქობულეთის რაზმი, თურქეთის საზღვრის გადალახვის შემდეგ, ისეთ წინააღმდეგობას წაწყდა, რომ ბრძოლები მიმდინარეობდა თვითეული სოფლისა და სიმაღლისათვის. რუსეთის ჭარმა 15- აპრილს დაიკავა სოფ. მუხაესტატე, მაგრამ ისე ნელა მიიწევდა წინ, რომ სოფ. ხუცუბანი, რომელიც მასთან ახლოს მდებარეობს, მხოლოდ 29 აპრილს დაიკავა. მუხაესტატეს სიმაღლეებზე გურიის ლაშქრის მილიციელები ვახმისტრ ჭამულეთ ბაჟუნაიშვილის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ. მიღწევებით გატაცებული მებრძოლები თავის ნაწილს მოწყდნენ. ისინი მოულოდნელად თურქების დიდ ნაწილს შეეჯახნენ, მაგრამ უკან არ დაიხიეს და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე მედგრად ებრძოდნენ მტერს.

ამავე რაზმში იყვნენ ჭამულეთ ბაჟუნაიშვილის ძმები ქიხოსრო და იულო. სამივენი მოხალისედ იყვნენ წასული ომში და გამოჩენილი გმირობისათვის დაჭილდოებულ იქნენ. ამ ბრძოლების მონაწილე იყო სოფ. ხიდისთავის მცხოვრები სოფრომ თავართქილადეც.

ქართველ მილიციელთა გმირობაზე და საერთოდ გურიის ლაშქრის საბრძოლო მოქმედებებზე დაწვრილებით ცნობებს გვაწვ-

დის ი. მაკაევი, რომელიც ომის დროს გურიის ლაშქრის მე-4 ახელ-ლის უფროსი იყო. 1 მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქართველ მილიციელებს ბევრჯერ უსახელებით თავი ბრძოლებში. მაგალი-თად, 14 აპრილს ქობულეთის რაზმი ისეთი ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა, რომ მებრძოლთა წინსვლა შეუძლებელი გახდა.

რაზმის უფროსმა გენერალმა ოკლობეიომ გამოიძახა გურიის ლაშქრის მეოთხე ასეულის უფროსი ი. მაკაევი და უბრძანა დაეკა-ვებინა თურქების პოზიცია და მასზე დროშა აღმართა.

ასეული ფარულად მიუახლოვდა მტერს, მოულოდნელად მიიტანა იერიში და დაიკავა სიმაღლე. რა თქმა უნდა, ქართველების მიღწევები ბრძოლებში არ შეიძლება მხოლოდ მათი მამაცობით აისხნას, ეს მიღწევები შედეგი იყო ყველა იმ ნაწილთა მოქმედები-სა, რომლებიც ქართველებთან ერთად იბრძოდნენ:

✓ რუს ჯარისკაცებთან ერთად საომარი მოქმედების ყველა ოპე-რაციაში მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი მილიციელები. რუსი მეომრები და ქართველი მილიციელები თანაგრძნობითა და მეგობ-რობით ეპურობოდნენ ერთმანეთს და ბრძოლის შემდეგ პერიოდში ერთმანეთს დახმარებას უწევდნენ. დასვენების დროს რუსი ჯარის-კაცები უყვებოდნენ ქართველ მილიციელებს რუსეთის ცხოვრება-ზე, თავიანთ ოჯახებზე, წარსულ ბრძოლებზე, რომელთა მონაშილე-ნი ისინი იყვნენ. თავის მხრივ მილიციელები რუს ჯარისკაცებს აც-ნობდნენ საქართველოს წარსულს, მიართმევდნენ ნაციონალურ საჭმელებს და სხვა. რუს ჯარისკაცთა და ქართველ მილიციელთა კავშირი, ბრძოლის ველზე ურთიერთდამოკიდებულება, ხელს უწ-ყობდა მათს დაახლოებას და ქართველ და რუს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას. ✓

მუხაესტატესა და ხუცუბნის სიმაღლეებზე მოპოვებული მიღ-წევები პირველი გამარჯვებები იყო რუსეთის არმიის, როგორც კავ-კასიის, ისე ბალკანეთის საბრძოლო ასპარეზზე. ამიტომ იყო, რომ ამ ბრძოლებში გამარჯვებამ მეფის ყურამდეც მიაღწია. მეფე თავის მხრივ გამარჯვებას ულოცავდა კავკასიის მხედართმთავარს. თვითე-ულ გამარჯვებას ბრძოლის ველზე, უდავოდ, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ხუცუბანი არ იყო ძლიერ გამაგრებული ადგილი და მას

1 И. Макаев, Историческая записка I Гурийской пешей дружины, Тифлис, 1913 г.

არც სერიოზული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შედარება არ შეიძლება არდაგანის, ყარსის ან სხვა რომელიმე ობიექტებთან, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს ობიექტთო მსვლელობაში, მაგრამ, მას როგორც პირველ გამარჯვებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭარის საერთო მორალური უფრწყობრლები სათვის.

ქობულეთის რაზმის მოქმედებას ართულებდა ადგილობრივი პირობები. მარჯვენა ფლანგზე ზღვის სანაპიროზე მოქმედ ნაწილებს ჭაობიანი ადგილების გადალახვა უხდებოდათ, ხოლო მარცხენა ფლანგზე მოქმედ ნაწილებს ტყით დაფარული მთაგორიანი ადგილები ჰქონდათ გასავლელი.

ქობულეთის რაზმი, მოძრაობდა რა ასეთ როტულ პირობებში, რომ თვე მოუნდა 25 კილომეტრის გადალახვის. მაისის ბოლოს მან აიღო სოფ. ზენითი, სამება და ციხისძირის მისადგომებთან აღმოჩნდა. რუსეთის ჭარის მიერ ამ ტერიტორიების დაკავებამ მნიშვნელოვანი გაცემა მოახდინა ადგილობრივ მოსახლეობაზე. თურქეთის მიერ დაშინებული ხალხი სულ უფრო და უფრო გადადიოდა რუსეთის მხარეზე.

ციხისძირთან რუსეთის სარდლობამ ზურგის გამაგრება დაიწყო. 1-ლი ივლისისათვის კი ბათუმის კორპუსის უფროსი ხსანთახსინ-ფაშა დევრიშ-ფაშამ შესცვალა. მას თან მოჰყვა ახალი ნაწილები. იგი ციხისძირის გამაგრებას შეუდგა. ბათუმის სანჯაყის ჭარების ახალმა უფროსმა დევრიშ-ფაშამ პირველ რიგში სასტიკი ზომები მიიღო იმ ადგილობრივი მუსლიმანი ქართველების წინააღმდეგ, ვინც მეგობრულად ხვდებოდა რუსებს. მან ყველა ისინი მოღალატეებად ჩათვალა და დასაჯა. დევრიშ-ფაშას განკარგულებით ადგილობრივ მცხოვრებთა ოჯახები ბავშვებითა და ქალებით ზურგში გაასახლეს, ხოლო მამაკაცებს იარაღი დაურიგეს და აიძულეს გასულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად; პირადად ალი-ფაშა თავდგირიძეს სხვა ბეგებსა და ფაშებთან ერთად მილიციის შექრება დაავალეს.

თურქეთის ჭარი ციხისძირთან ითვლიდა 35 ათას მებრძოლს მაშინ როდესაც ქობულეთის რაზმის შემადგენლობა 25 ათასს არ აღემატებოდა. 11 ივნისს დაიწყო ციხისძირის იერიში, ჭარებშა გადალახეს მდ. კინტრიში, დაიკავეს თურქების მნიშვნელოვანი გამაგ-

რებული პოზიციები, მაგრამ ყველა სიმაგრის აღება რუსეთის ჯარებმა ვერ შეძლეს. ბრძოლები წარმოებდა ვიწრო ხეობებში თვითეული სახლისათვისაც კი.

ბუნებრივი პირობების გამო გართულდა ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა და მაშინ, როდესაც ერთი ნაწილი იდრიშზე იყო, მეორე მხოლოდ მდ. კინტრიშზე გადადიოდა. დაირღვა ნაწილთა ურთიერთკავშირი და იერიშის განვითარება, გაცილებით მრავალ-რიცხვან მტერზე, შეუძლებელი გახდა. ციხისძირის ოპერაცია უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთმა დაჭრილთა და მოკლულ-თა სახით დაჰქარგა ათასი კაცი, ხოლო თურქებმა — კიდევ მეტი.<sup>1</sup> ვიდრე ქობულეთის რაზმი ამ მდგომარეობაში იყო, აფხაზეთში 2 მაისს გადმოსხმულმა თურქების დესანტმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. იქ ტერიტორიის ერთი მესამედი თურქების ხელში აღმოჩნდა. ქობულეთის რაზმს საფრთხე შეექმნა ზურგში. უშიშროების უზრუნველსაყოფად აუცილებელი გახდა რიონის მხარის მთლიანად გამაგრება. ამ პერიოდს ემთხვევა რუსეთის ჯარის მორიგი მარცხი ზივინთან.

კავკასიის ბრძოლის სხვა ასპარეზზე მოქმედ ნაწილთა დასახმარებლად გაგზავნილ იქნა ქობულეთის რაზმის რამდენიმე შენაერთი, რამაც არცთუ ისე ძლიერი ქობულეთის რაზმი სრულიად დაასუსტა. ასეთ ვითარებაში აუცილებელი შეიქმნა უფრო ხელსაყრელ თავდასაცავ პოზიციებზე გამაგრება. 12 ივნისს დაიწყო ქობულეთის რაზმის უკან დახევა და ხუთი დღის შემდეგ იგი გამაგრდა მუხაესტატეს სიმაღლეებზე, ე. ი. იქ, სადაც რუსეთის ჯარი ომის გამოცხადების მეორე დღეს იყო. ქობულეთის რაზმის შემდგომი ამოცანა თურქთა შემოსევისაგან დასავლეთ საქართველოს დაცვა გახდა. ასე უშედეგოდ დამთავრდა ქობულეთის რაზმის მოქმედება 1877-წელს.

\* მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლები ბათუმის მიმართულებით უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ვიცით რუსეთმა შეძლო აჭარის

1 ამ ოშიციისძირთნ დალუბული მებრძოლების ძმათ სასაფლაო დაცულია ს. ხუცუბანთან (ქობულეთის რაიონი), რომელზეც 1902 წლის 25 ივნისს, ე. ი. ომის 23 წლისთავზე, ააგეს და საშეიმო ვითარებაში გასხნეს. 2 მეტრი სიმაღლის გრანიტის ძეგლი. იგი ააგებულია ომის მონაწილე 164-ე ფეხსანი ლეგიონის ოფიცერთა სასხრებით. ძეგლის გასხნას ესწრებოდნენ ომის მონაწილეებიც და მათ დაათვალიერეს ნაომარი ადგილები. ანალოგიური ძმათ სასაფლაოებზეც ჩვენ ე. მანარაქეშიც (ყოფ. ოზურგეთი) აღვრიცხა, რომლებსაც, ისევე როგორც პირველს, სათანადო წარწერები აქვთ რუსულ ენაზე.

შემოერთება. ქართველი ხალხის ამ საუკუნეობრივი ამოცანის განხორციელება მოხდა ოში რუსეთის საერთო გამარჯვებით. უდაცოა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოპოვებული გამარჯვებანი იმის მსვლელობაში საერთო ბედის გადამწყვეტი იყო, მაგრმა აჭარაშ განთავისუფლების საკითხში მნიშვნელოვანი იყო ის გამარჯვებული, რომლებიც რუსეთის ჯარმა კავკასიის ბრძოლის მიზითად საპარეზე მოიპოვა. რუსეთმა შეძლო მიეღო აჭარა მხოლოდ აქ მოპოვებულ გამარჯვებათა დამობით. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ, თუ როგორ ვთარღებოდა საბრძოლო მოქმედება კავკასიაში ბრძოლის სხვა ასპარეზზე.

კავკასიის ძირითადი კორპუსი ყარსის, არტაანისა და არზჩრუმის მიმართულებით მოქმედებდა. ჭერ კიდევ 5 მაისს იერიშით იიღეს ციხე-სიმაგრე არტაანი, ყარსი კი ალყაშემორტყმულ იქნა. არტაანის აღებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია რუსეთის ჯარში, ხოლო თურქეთის ჯარსა და სახელმწიფოში კი პანიკა შექმნა.

თურქებმა არტაანის 8-ათასიანი დამცველი ჯარისკაცისაგან 3 ათასი დაპარგეს. დიდი ნაწილი სახლში გაიქცა და მწყობრში არ დაბრუნებულა. რუსეთის საერთო დანაკარგი 401 კაცს შეადგენდა. ძირითადი კორპუსის მარცხენა ფლანგზე მოქმედმა ერევნის რაზმა 18 აპრილს, უბრძოლველად დაიყავა ბაიაზეთი, შემდეგ ალაშეერტი და ზივინისაკენ მიიწევდა, სადაც არტაანის რაზმთან უნდა შეერთებულიყო. ანატოლიის ჯარების მხედართმთავარმა მუხტარ-ფაშამ შეკრიბა ჯარები და 9 ივნისს დაწყო კონტრშეტევა. მან საშუალება არ მისცა ზივინთან რუსეთის ორი რაზმი შეერთებულიყო. კიდევ მეტიც, მან აიძულა რუსეთის ჯარი მთელი ფრონტით საზღვრებისაკენ დახეულიყო. თურქები შეიიჩრნენ ერევნის გუბერნიაში და დაიწყეს მხეცური მოქმედება. რუსეთის ხელში შემოლოდ არტაანი დარჩა.

რთული მდგომარეობა შეექმნა რუსეთს აფხაზეთშიც. ჭერ კიდევ 2 მაისს თურქებმა აქ დესანტი გაღმოსხეს და ხელთ ივდეს სოხუმი. გენერალ კრავჩენკოს გაუბედავი მოქმედებით ივნისის შუა რიცხვებში თურქების ხელში აფხაზეთის ტერიტორიის ერთი შესაბედი აღმოჩნდა. ამავე დროს კავკასიის მთიან რაიონებში მოხდა აშბოხებანი, რომლებსაც გაზი მაგომა შამილი ხელმძღვანელობდა. იგი საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ჯარს ზურგში. თუ მხედვე-

ლობაში მივიღებთ ბრძოლის სხვა ასპარეზზე შექმნილ ვითარებას, ქობულეთის რაზმის უდაცოდ დიდი მიღწევა იყო ის, რომ ზან თურქებს საშუალება არ მისცა აჭარის მხრიდან შემოჭრილიყვნენ საქართველოში.

მიუხედავად დროებითი უპირატესობისა, თურქებმა ვერ შეძლეს საბოლოოდ მდგომარეობის გამოყენება. თურქი გენერლები პასიურად მოქმედებდნენ, მიღწეული შედეგებით კბაყოფილდებოდნენ და როდესაც იერიშების განვითარება იყო საჭირო, თავდაცვაზე გადადიოდნენ. ამ მდგომარეობით ისარგებლა რუსეთის სარდლობამ და გააძლიერა კავკასიის არმია.

ივნისში რუსეთის ჯარმა ხელთ იგდო ინიციატივა, აფხაზეთში თურქები გაანადგურა მდ. მოქვთან, 20 ავგისტოს ისინი განდევნა სოხუმიდან, შემდგომ კი—აფხაზეთიდანაც. ოქტომბრის დასაწყისში გენერალმა ობრუჩევმა, რომელიც საეციალურად იყო მოვლინებული კავკასიაში, დევრიშ-ფაშას საველე ჯარები გაანადგურა ალაზის სიმაღლეებზე; 8.500 თურქმა ჯარისკაცმა, 250 ოფიცერმა და 12 ფაშამ იარალი დაპყარა.. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 5 ათასს აღმატებოდა. რუსეთის ჯარის დანაკლისი 1.300 კაცით განისაზღვრა.

ალაზის სიმაღლეებზე თურქეთის ჯარის განადგურება კავკასიის არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ოპერაცია იყო. აქ ალყა შებრარტყეს თურქეთის ჯარის მთელ საველე ნაწილებს. ბრძოლებში ჯარის ყველა სახეობა იქნა გამოყენებული. მტრის ზურგში შეჭრილმა რუსეთის ჯარმა კავშირის დასამყარებლად აქ პირველად გამოიყენა ტელეფონის ხაზი. გამარჯვების შედეგად რუსეთის ხელში კვლავ ის ტერიტორია აღმოჩნდა, რომელიც ომის დასაწყისიდან ერთი თვის მანძილზე იქნა დაკავებული.

არტანის ალების შემდეგ (1877 წ. 5 მაისი) რუსეთის არმია ჰემ აჭარის საზღვრებთან აღმოჩნდა, მაგრამ, ვიდრე თურქების ძირითადი ძალები არზრუმის მიმართულებით ალაზის სიმაღლეებს ფლობდნენ, ბათუმისაკენ წინსვლა შეუძლებელი იყო. როგორც ცნობილია, 1877 წ. 3 ოქტომბერს კავკასიის არმიამ მუხტარ-ფაშის საველე ჯარები გაანადგურა და რუსთა სარდლობამ კავკასიაში დაიწყო მსჯელობა ახალკიშიდან ბათუმისაკენ იერიშის მცირე ნაწილე-

ბით განვითარებაზე, ძირითადი იერიში კი არზრუმისაკენ იქნა გთვალისწინებული.

გენ. სვიატოპოლკ-მირსკის აზრით, ბათუმისაკენ ლაშტონბა შეთანხმებულად და ურთიერთ კავშირში უნდა მომხდეთაუთ არცანის, ახალციხის და ქობულეთის რაზმების მიერ. შეგმეოთან კი არტანის რაზმის მიღწევების მიხედვით უნდა განვითარებულიყო ზემო აჭარიდან ახალციხის რაზმის მოქმედება. პირველად გათვალისწინებული იყო ქობულეთის რაზმის დემონსტრაციული მოქმედება და მისი გადამწყვეტი იერიშზე გადასვლა თურქთა ჯარების ქობულეთში შემცირებასთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

გენ. ქომაროვი გადამწყვეტ მოქმედებას აჭარისწყლის გასწვრივ მოითხოვდა ახალციხის რაზმისაგან, რომლისთვისაც მხარი ქობულეთის რაზმს უნდა დაეკირა. მისი აზრით, მიღწევების შემთხვევაში ციხისძირსა და ბათუმში მყოფი თურქთა ჯარი იძულებული გახდებოდა ჩაბარებოდა რუსებს. ამ მიზნის განხორციელება დამოკიდებული იყო აჭარის ბეგების მხარდაჭერაზე, რომლებიც თუ დახმარებას არ გაუწევდნენ რუსებს, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალიტეტს მაინც დაიცავდნენ. ბეგრი რამ იყო დამოკიდებული აჭარის ბეგ შერივ ხიმშააშვილზე, რომლის ავტორიტეტი აჭარის საზღვრებსაც სცილდებოდა. შერიფ-ბეგი, როგორც ომის წინა პერიოდში, ასევე იმჟამადაც, რუსეთის ორიენტაციისა რჩებოდა და აჭარის თურქთა ბატონობისაგან გასათავისუფლებლად იბრძოდა.

ჯერ კიდევ 1877 წ. 4 იენისს კომაროვი გენ. დუხოვსკოის სწერდა: „შერიფ ბეგმა მაცნობა, რომ მისგან თხოულობენ ოზურგეთზე თავდასხმას, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, იმ მიზეზით, რომ თითქოს მას ჯარი რუსეთისაგან თავდასაცავად სჭიროდა — ამ ცნობას ვენდობი, — შერიფ ბეგისათვის დღემდე სიყალბე არ შემიჩნევია.“<sup>2</sup>

შერიფ-ბეგმა საშუალება მისცა რუსეთის არმიას, რათა არტანის აღების შემდეგ თითქმის 6 თვე ძლიერ მცირე რაზმი ჰყოლოდა ახალციხის ხაზზე, რაც დიდი დახმარება იყო.

1 მათერიალი თ. IV, ცტ. 355.

2 საქ. ცენტ. ისტ. არქ. ფონდი 1087. საქ. 545, ფურც. 85-86.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მდგომარეობა უდავოდ რთული იყო, მაგრამ თურქებს იგი არწმუნებდა, რომ საჭირო იყო ჯარის აჭარაში ყოლა, ხოლო აჭარის რეაქციულ წრეებს კი რუსეთის არმიის გაძლიერების შიშით აკავებდა. აჭარის განთავისუფლებასთვის — ამ სახელოვანმა მებრძოლმა რუსეთის სარდლობა ჯერ კიდევ მომზრდა, განსაკუთრებით, ომის პერიოდში, შავშეთის მმართველ ნური-ბეგ ხიძშააშვილთან დააკავშირა.

შერიფ-ბეგის მოქმედება თუმცა შეუმჩნეველი დარჩა თურქეთის შეირ, მაგრამ სულთანს იგი სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა. სულთანმა მისი ორი შვილიც კი გამოითხოვა მძევლად სტამბოლში. შერიფ-ბეგი ძლიერ ფრთხილად მოქმედებდა და ურთიერთობას რუსეთთან მხოლოდ ერთი სანდო პიროვნებით განაგრძობდა. საბოლოოდ კომაროვი და შერიფ-ბეგი შეთანხმდნენ შემდეგზე: 1. აჭარაში ახალციხიდან ორი გზაა, თუ რუსები წავიდონ ნენ ერთით, შერიფ-ბეგი დაიცავდა მეორეს, ე. ი. გზა თავისუფალი იქნებოდა. 2. საითაც არ უნდა წასულიყო რუსეთის ჯარი აჭარის გვერდის ავლით, აჭარის მხრადან ხელი არ შეეშლებოდა.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ შერიფ-ბეგისაგან მხარდაჭერა გარანტირებული იყო, რუსეთის ჯარს ისეთი სიძნელეები ეღდა წინ აჭარის გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების გამო, რომ სარდლობა აქ გადამწყვეტ მოქმედებისაგან თავს იკავებდა და და ძირითადი რაზმით ამჯობინა შავშეთიდან ბათუმისაკენ მოქმედება.

1877 წ. 2 დეკემბერს არტაანის რაზმი დაიძრა შავშეთისაკენ და საღამოთი სოფ. ხევი დაიკავა. მიუხედავად მძიმე საომარი პირობებისა, მეორე დღეს აიღო ხერთვისი. თურქეთის ჯარს აქ არტაანის ყოფილი გუბერნატორი დაბა-ბეგი მეთაურობდა. 4 დეკემბერს რუსეთის არმიამ, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური დახმარებით, არტაანუჯი, სოფ. ზემო და ქვემო ბაცა გაათავისუფლა. ამ ადგილების დაკავებით რუსეთის არმია ბათუმისაკენ მიმავალ გზაზე გავიდა.<sup>2</sup>

1 იქვე, ფურც. 89—97.

2 იქვე.

არტანუჯში ოუსეთის ჯარის შესვლა მოსახლეობის საერთო  
ზეიმით აღინიშნა. მებრძოლებს მეჯლისის და ყადის წევრებიც კი  
შეხვდნენ და ერთგულება განუცხადეს. სარდლობასთან სოფლების  
დეპუტაცია გამოცხადდა. მათ სცნეს ოუსეთის მფარველობა. ნამდე  
ტემბერს აირჩიეს მეჯლისის ახალი შემადგენლობა და ქრაქში ახა-  
ლი ცხოვრება დაიწყო. გენ. კომაროვის შემდგომი მოქმედების გეგ-  
მა ითვალისწინებდა, რომ 1878 წ. 6 იანვარს გამოსულიყო იქ, სა-  
დაც აჭარისწყალი ერთვის მდ. კოროხს და აელო სოფ. მირვეთი.  
აქედან კი ქობულეთის რაზმთან ერთად გაელაშქრა ბათუმშე,  
მაგრამ არტანუჯში კომაროვი იძულებული გახდა შეჩერებულიყო  
დამხმარე ჯარის მოსვლამდე, მას აგრეთვე უნდა მოეგვარებინა  
სურსათ-სანოვაგის საქმე, რასაც გარკვეული დრო სკირდებოდა.  
წინსვლას ზამთრის პირობებიც უშლიდა ხელს, რის გამო შეუძლე-  
ბელი გახდა ქობულეთის რაზმთან მოკლე დროში კავშირის დამ-  
ყარება. არტანუჯში ყოფნის დროს კომაროვს აცნობეს, რომ შავ-  
შეთის მძართველმა ნური-ბეგმა მილიცია სახლებში გაუშვა და  
რომ თვით დახმარებას ელოდა რუსეთის მხარეზე გადასასვლელად.

26 დეკემბერს კომაროვმა სპეციალური რაზმი გაგზავნა სოფ.  
რაბატში, საღაც ნური-ბეგ ხიმშიაშვილი იმყოფებოდა. ცურქებს,  
რომ ეჭვი არ აელოთ, ის ვითომც სამხედრო ტყვე — ისე ჩაიგდო  
ხელში. ხოლო 29 დეკემბერს განაახლა იერიში თურქთა წინააღმ-  
დეგ. ამ დროს თურქეთის პარლამენტიორმა კომაროვს დაბა-ბე-  
გის წერილი გადასცა: „საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობს და  
საბრძოლო მოქმედება შეწყვეტილობა.“

კომაროვმა მხოლოდ 1878 წლის პირველ იანვარს გაიგო, რომ  
მას დაბა-ბეგი ატყუებდა და მოქმედება განაგრძო.

3 იანვარს აიღო სოფ. ჯოჭო, 4 იანვარს ახიზი, გორგოდხანა და  
6-იანვარს გუმიშხანა, 9 იანვარს კი სოფ. დულისხანასთან დიდალი  
სამხედრო სანოვაგე ჩაიგდო ხელში. ამ პერიოდს ემთხვევა გენ.  
ტრეივერის მიერ ახალციხიდან ზემო აჭარის სოფლების ჩორჩევა-  
ნის და ბელნარის ხევის დაკვება.

თურქეთის ჯარი ბრძოლის ამ ასპარეზზე უკვე დემორალიზე-  
ბული აღმოჩნდა, ბათუმამდე 100 კილომეტრი რჩებოდა, როდესაც  
მცირე შესვენების შემდეგ 18 იანვარს ცნობა მოვიდა ზავის შესა-

ხებ. კომაროვი, არ იყო რა დარშმუნებული დაბა-ბეგის ცნობის  
სისწორეში, მიმართა მას, რათა 25 კილომეტრით დაეხდა უკან,  
თურქებმა შეასრულეს მოთხოვნა და ქ. ტოგულმთან ამით რაზმის  
ოპერაციები დამთავრდა.

1877 წლის 5 ნოემბერს რუსეთის ჯარმა იერიშით იილო ყარის  
რომელიც თურქების და ინგლისელ ინკინერთა მიერ რამდენიმე  
ათეული წლის მანძილზე იყო გამარტვებული. ამ გამარტვების შემდეგ  
კორპუსის მთელი ძალები არზრუმის ასაღებად წარმართეს.

1877 წლის ბოლოსათვის, მაშინ, როდესაც არზრუმი რუსეთის  
არმიის რკალში მოქცეული უდიდეს სიძნელეებს განიცდიდა, ბალ-  
კანეთის ნახევარკუნძულზე მოქმედი რუსეთის ჯარი, რამდენიმე გა-  
მარტვების შემდეგ, სტაბოლის მისაღომებთან აღმოჩნდა.

ბრძოლის ორივე ასპარეზზე თურქეთს რთული მდგომარეობა  
შევქმნა და სულთანი იძულებული იყო რუსეთისათვის ზავი ეთხოვა.

საზავო პირობებით თურქეთს წინასწარ უნდა დაეცალა არზ-  
რუმი, გაეყვანა ჯარი ციხისჭირის პოზიციებიდან, აჭარიდან, შავშე-  
თიდან და ლაზისტანიდან. ყველა ზემოაღნიშნული ადგილი რუსე-  
თის ჯარს უნდა დაეკავებინა.

რუსეთის ჯარმა, რათა თურქებს წინასწარი საზავო პირობების  
მიღება დაეჩარებინა, 1878 წლის 18 იანვარს ერთდოული შე-  
ტევა დაიწყო ბათუმის მიმართულებით — ციხისძირიდან ქობულე-  
თის, ხოლო ართვინიდან არტაანის რაზმით.

არტაანის რაზმის იერიშები დამთავრდა უმნიშვნელო მიღწევე-  
ბით, ხოლო ქობულეთის რაზმის ოპერაცია — სრულიად უშედე-  
გოდ. იგი მოუზადებელი აღმოჩნდა და გაცილებით რთულ პირო-  
ბებში მიმდინარეობდა, ვიღრე პირველი. ამ ბრძოლების შემდეგ  
თურქებს საშალება მიეცათ გაეგრძელებინათ საზავო მოლაპარა-  
კება, მაგრამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთის ჯარის წინ-  
სვლა გრძელდებოდა და 18 იანვარს მან დაიკავა ქალაქი აღრიანო-  
პოლი. თურქეთი იძულებული გახდა უსიტყვოდ მიეღო რუსეთის  
ყველა პირობა.

ამ პერიოდში კავკასიის არმიის ნაწილები შემდეგ მდგომარეო-  
ბაში იყო: ლორის მელიქოვის კორპუსს ალყაში ჰყავდა არზრუმი,  
არტაანის რაზმი ართვინის მიღამოებში მოქმედებდა, ხოლო ქობუ-  
ლეთის კი ციხისძირთან იღდა. უკანასკნელი ამავე პოზიციებზე დარ-  
ჩა ბერლინს კონგრესის დამთავრებამდე.

### § 3. საზავო, მოლაპარაკება და აჭარაში თურქების მოქმედება


1878 წლის 18 იანვარს ქალ. ადრიანოპოლში დადებულ იქნა დროებით ზავი. აჭარის მიმართულებით მოქმედი ქობულების რაზმის უფროსმა გენერალმა ოკლობებიობ ზავის დადების შესახებ 22 იანვარს მიიღო ცნობა და დაიწყო მოლაპარაკება ბათუმის კორპუსის უფროს დევრიშ-ფაშასთან. საზავო მოლაპარაკებისათვის შეიქმნა კომისია: რუსეთის მხრიდან გენერალ. დუხოვსკის, ხოლო თურქეთის მხრიდან ხუსეინ-ფაშას ხელმძღვანელობით. მხარეები შეთანხმდნენ: 1) დაწესებინათ ნეიტრალური ხაზი; 2) ადგილებზე უნდა დარჩენილიყო ძველი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა; 3) თავის ზონაში თვითეულ მხარეს უფლება ეძლეოდა თავისუფლად ემოქმედა.

1878 წლის 19 თებერვალს ქალაქ სან-სტეფანოში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რაც ნიშნავდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებას.

საზავო ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა კავკასიაში მიიღო ქალ. არტანი, ყარსი, ბათუმი და მთელი ტერიტორია სოლაბლულის მთებამდე, ე. ი. განთავისუფლებულ იქნა სამხრეთ საქართველოს და დასაკულეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ზემოთ აღნიშნული ტერიტორია, გარდა ბათუმის მხარისა, უკვე რუსეთის ხელში იყო, ბათუმში კი ისევ თურქები რჩებოდნენ, რომლებიც ევროპის კონგრესის გადაწყვეტილებმდე უარს ამბობდნენ გასვლაზე.

ომში რუსეთის მიერ მოპოვებულმა მიღწევებმა განგაში გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებში და ინგლისის უშუალო ჩარევით სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება დროებითი აღმოჩნდა. დადგენილ იქნა, რომ იგი ძალაში შევიდოდა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე გადასინჯვის შემდეგ. ინგლისს გვერდში ედგნენ საფრანგეთი, ავსტრია, იტალია და გერმანია, რათა რუსეთი აეძულებინათ, რაც შეიძლება მეტ დამობაზე წასულიყო ევროპის კონგრესზე. თურქებმა ინგლისის უშუალო დახმარებით ახალი ომის მზადება დაიწყეს.

ახალი ომის სამოქმედო გეგმა ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მეთაურმა ბიქონსფილდმა (დიზრაელი) შეადგინა. გეგმით გათვალისწინებული იყო ბათუმში საექსპედიციო კორპუსის

გაგზავნა. კავკასიაში მოქმედი თურქეთის არმიის მარჯვენა ფლანგზე ჩე რეგულარული ჯარებით მუხტარ-ფაშას უნდა ემოქმედა, მარცხენა ფლანგზე — ფეიზი-ფაშას. ხოლო ცენტრს ინგლისის ჯარები შეადგენდა. არმიის საერთო რიცხვი გათვალისწინებული 100 ათასი კაცის რაოდენობით. ინგლისელები ამჟამად ითვალისწინებდნენ ხელო ეგდოთ მთელი მუსლიმანური სამყარო ხელთაშუა ზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე! 

თურქეთისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა მომავალ ოში გამარჯვების უზრუნველსაყოფად დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრება რუსეთის წინააღმდეგ. თურქები არ ჩარობდნენ დაეცალათ აჭარა, შავშეთი და ლაზისტანი. ამ მხარის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობაში ინგლისისა და თურქეთის იგენტებმა ენერგიული პროპაგანდა გააჩალეს. მათი მიზანი მოსახლეობაში რუსეთის წინააღმდეგ უკავიოლების გამოწვევა იყო. უკეთ მოსახლეობის ამხედრებას ვერ შესძლებდნენ, ისინი თურქეთში უნდა გაესახლებინათ. ამ მიზნით თურქები ადგილობრივ ბეგებსა და მოსახლიდულ პირებს იყენებდნენ, მაგრამ, როცა ეს საკმარისი არ დარჩა, მათ მიმართეს ინგლისელ იგენტებს.

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას დევრიშ-ფაშა ხელმძღვანელობდა, ხოლო ლაზისტანში — ოსმან-ფაშა. ეს უკანასკნელი თურქების ბათუმიდან გასვლის უკანასკნელ დღემდე ყოველგვარ ზომებს ხმარობდა, რათა ამბოხება მოეწყო.

აჭარის მოსახლეობას დევრიშ-ფაშამ 7 ათასი თოფი დაურიგა. თურქები, სარეცხლობდნენ რა საზღვრების დაუდგენლობით, შეტაკებებს აწყობდნენ რუსეთის ჯარის ნაწილებთან. სვიათობოლქმირსკი დევრიშ-ფაშის, ანუ თურქების ამგვარი მოქმედების შესახებ კავკასიის მხედართმთავარს აცნობებდა, რომ „სანამ იგი აქ (ბათუმში, — მ. მ.) გუბერნატორია, წესრიგის დამყარება შეუძლებელია“.<sup>1</sup> 2 თურქების ასეთმა მოქმედებამ ხალხთა მასების უკავილება გამოიწვია. ისინი იძულებული იყვნენ დახმარებისათვის მიემართათ კავკასიის მხედართმთავრისათვის.

1 საქ. ცენტ. ისტ. არქ. ფონდი 521, საქ. 10. ფურც. 3—6.

2 სახ. ისტ. არქ. 1377, ფურც. 1.

თურქები შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას, აშინებდნენ, რომ თუ ხალხი ამბოხებაში მონაწილეობას არ მიიღებდა, დაუნგრევდნენ სახლ-კარს. თურქები იმ ზომადეც კი მივიღნენ, რომ ჭარისეაცებს გადააცევს სამოქალაქო ტანსაცმელი და აქარის სთფლებისაცენ დასძრეს, ისინი თითქოს რუსეთის წინაღმდევ ამხედრებული ხალხი იყო. ამბოხების მომზადების შიშნით თურქეთიდან ჩამოიყვანეს სასულიერო სკოლის 300 მოსწავლე, სოფისტები, რომლებიც აქარის მოსახლეობაში ქადაგებდნენ ომს „ურწმუნოების წინააღმდევ ისლამის დასაცავად.“<sup>1</sup>

დევრიშ-ფაშა, ნიღბავდა რა თავის მოქმედებას, ყოველგვარი პროვოკაციული მეთოდით ცდილობდა რუსების გამტყუნებას. იგი გენერალ კომაროვს აცნობებდა, რომ ვითომც მოსახლეობა უქმაყოფილო რუსეთის ჯარის მოსვლით, რომ მას მოსახლეობამ საჩივრით მიმართა და მათ დასაწყნარებლად ვითომც ბათუმის კომენდანტი მუსტაფა-ფაშა გაგზავნა სოფლებში.

გენერალი კომაროვი კი საპასუხო წერილში დევრიშ-ფაშას აცნობებდა: „მოსახლეობის საჩივარი რუსების ჯარების ცუდ მოქმედებაზე ნამდვილად მოგონილია და ჭორი, გავრცელებული სპეციალური პირების მიერ, რომლებიც ცდილობენ რუსეთის ჯარი საზოგადოებას დაუხატონ როგორც მხეცები და გამანადგურებლები“.<sup>2</sup>

დევრიშ-ფაშა შეგნებულად ატარებდა ასეთ პოლიტიკას. იგი ცდილობდა დაეფარა თავისი პროვოკაციული საქმიანობა.

ოფიციალურად ცალკეულ პირებს კიდეც კიცხავდა, ფარულად კი მათ იარაღით და ფულით ამარავებდა და მოითხოვდა, აჯანყება რაც შეიძლება აღრე გაჩაღებულიყო. იგი სიკვდილით დასჯით ემუქრებოდა ყველას, ვინც რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობაში შეინიშნებოდა.<sup>3</sup>

**✓** თურქებს აქარაში აჯანყების მომზადებაში ინგლისელი აგენტები ეხმარებოდნენ. 5 მაისს ერთი ინგლისელი მაიორი აგიტაციას ეწეოდა ბათუმის მოსახლეობაში, რათა აქარლებს რუსეთთან ომის დროს ინგლისისა და თურქეთისათვის დაეჭირათ მხარი, სამ-

1 იქვე, ფონდი 485, საქ. 38721, ფურც. 59.

2 იქვე.

3 იქვე, საქ. 7893, ფურც. 34.

ხედრო ნაწილებს კი მან ქვემეხების განლაგების ადგილი მიუკითა. ანალოგიური შემთხვევები რუსეთთან ახალი ომის გაჩაღებისა და მოსახლეობის აჯანყების მიზნით არა ერთი იყო.

1878 წლის 1 მაისს ბათუმში ორი ინგლისელი კუნტალი და თორშეტი ოფიცერი ინჟინერი ჩამოვიდა.

ინგლისელების აგენტები აჭარის სოფლებში დადიოდნენ და ავიტაციას ეწეოდნენ მოსახლეობაში. ისინი მათ ფულს და იარაღს ურიგებდნენ. ინგლისის სამხედრო პირებმა ციხისძირის გამაგრებული ადგილები შეისწავლეს და მათი უშუალო ხელმძღვანელობით ახალი გამაგრებული ადგილების შენება დაიწყეს.<sup>1</sup> ასევე მოქმედებდნენ თურქები და ინგლისელები მთელ სამხრეთ საქართველოში. მათი აგენტები ყარსის მიღამოებშიც აღმოჩნდნენ. ისინი ძოსახლეობას უმტკიცებდნენ, რომ მომავალ ომში თურქებს გვერდში ინგლისი ამოუდგებაო. აგენტები პროკლამაციებს ავრცელებდნენ და მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდნენ.

ინგლისელების მხარდაჭერით გათამამებულმა დევრიშ-ფაშამ ოფიციალური ბრძანებაც კი გაუგზავნა ქობულეთის მოსახლეობას, რომ ისინი გასახლებულიყვნენ ხინოს მთებში, ანდა იმ ადგილებში, სადაც თურქეთის ჯარი იყო განლაგებული. მაგრამ ქობულეთის, ხინოს და ზერაბოსელის მცხოვრებლებმა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყვნენ დარწმუნებული საბოლოოდ დარჩებოდა თუ არა იქ რუსეთის ჯარი, თურქებს მაინც უარი განუცხადეს.<sup>2</sup> მოსახლეობის ასეთი პასუხით აღმფოთებულმა თურქებმა შური იძიეს და რამდენიმე კაცი სიკვდილითაც კი დასაჯეს.

ამ დროს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო გადავიდოდა თუ არა აჭარა საბოლოოდ რუსეთის მფარველობაში. საკითხი საეჭვოდ თვით რუსეთის მხედართმთავრებსაც კი მიაჩნდათ. ასეთი მდგომარეობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. გენერალი ოქლობუიო არაერთხელ აცნობებდა კავკასიის სარდლობას, რომ „საკითხის გარკვეულად დასმა — სამუდამოდ დაგვრჩება თუ არა ქობულეთის ტერიტორია ჩვენ — მეტად სა-

1 გაჩ. „დროება“, 1878 წ., 31 მაისი.

2 Материалы, т. V, приложения 16, стр. 126

სურველად იმოქმედებს ადგილობრივი ხალხის განწყობაზე<sup>1</sup>, 1 ანა-  
ლოგიური მდგომარეობა იყო სამხრეთ საქართველოს სხვა ნიწი-  
ლებშიც.

თურქები და ინგლისელები პროვოკაციულ ონისძიებებს  
შიძართავდნენ. ძაგალითად, სოფელ ქედაში თურქებმა 600 ჯა-  
რისკაცს გადააცვეს სამოქალაქო ტანსაცმელი და ეთომიც აჯანყე-  
ბულები, დასძრეს ზემო აჭარის სოფლებისაკენ. როცა ადგილობ-  
რივმა ხალხმა გაიგო, რომ ისინი თურქი ჯარისკაცები იყვნენ, სრო-  
ლა აუტეხეს მათ და ბრძოლით მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირისა-  
კენ განდევნეს.<sup>2</sup> თურქებმა ვერ შეძლეს აჯანყების მოწყობა აჭა-  
რაში, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის მოინდომეს  
ეჩვენებინათ თითქოს მოსახლეობა რუსეთის ქვეშევრდომობაში  
გადასვლის წინააღმდეგი იყო. ამ ახალი პროვოკაციისათვის მათ  
სათანადო საფუძველი სჭირდებოდათ. ნება-სურვილით ხალხმა არ  
მისცა სათანადო ხელშერილი. მაშინ მუსტაფა-ფაშამ მოსახლეობა  
ცალკეულ სოფლებში შეკრიბა და აიძულა ისინი ხელი მოეწერათ  
რაღაც მათვის უცნობ ქალალდზე. ეს ქალალდი თურქების მიერ  
წინასწარ იყო შედგენილი ბათუმში და ვითომც იგი ადგილობრი-  
ვი მცხოვრებლების „პროტესტს“ ნიშავდა რუსეთის ხელისუფ-  
ლების მიმართ.<sup>3</sup>

თურქების ამ პროვოკაციამაც უშედეგოდ ჩაიარა. იმ პირებმა,  
რომლებმაც იძულებით ხელი მოეწერეს ე. წ. პროტესტზე, კავკა-  
სის არმიის მხედართმთავრის სახელზე მეორე დღესვე გაგზავნეს  
წერილი, რასაც 800 კაცი აწერდა ხელს. წერილში ნათქვამი იყო,  
რომ ისინი თურქებმა აიძულეს ხელი მოეწერათ რაღაც ქალალდზე.  
ფაქტიურად კი რუსეთის ჯარის მიმართ მათ არავითარი საჩივარი  
არა აქვთ. ამგვარად შეთხხული „საბუთებით“ თურქებმა მოახერხეს  
განგაშის ატეხა ევროპის სახელმწიფოებში, თითქოს რუსეთის  
წინააღმდეგ აჭარაში და ლაზისტანში საერთო აჯანყება დაიწყო.  
ინგლისის საელჩომ პეტერბურგში ანალოგიური შინაარსის დეპეშა  
მიიღო კონსტანტინოპოლიდან. შემოწმების შემდეგ გამოირკვა,  
რომ არავითარ აჯანყებას. იქ ადგილი არ ჰქონია.

1 იქვე, გვ. 96.

2 იქვე.

3 Материалы, т. IV, приложения 26, стр. 197.

გენერალ კომაროვის აზრით თურქებს შეეძლოთ მხოლოდ ცალკეული შეიარაღებული რაზმების შეკრება, და მათგან პროკო-  
კაციული მოქმედების გამოწვევა.

თურქების ცალკეული ბანდების თავდასხმები რტსეთის ჯარის  
ნაწილებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მაისში. მან ისეთი ფართო  
ზასიათი მიიღო, რომ გენერალ კომაროვს უკვე შეიაძლებლად  
მიაჩნდა, რომ თურქები ამ საქმეში ადგილობრივ მოსახლეობას  
ჩაითრევდნენ. კომაროვი ოფიციალურად აცხადებდა, რომ, რო-  
გორც ჩანს, „საქმე მიღის ახალ ომამდე, ასე ფიქრობენ ბათუმში,  
სადაც დევრიშ-ფაშას სახელით ვიღაც ინგლისელი მოქმედებს“!<sup>1</sup>

ბათუმში ამ დროს ინგლისელებმა სამი ხომალდი იარაღი მოი-  
ტანეს და ენერგიულად ემზადებოდნენ ომის გაჩაღებისათვის.

უკეთებდა რა ანალიზს აქარაში შექმნილ ვითარებას, კომარო-  
ვი დასძენდა: „ბათუმისა და ჭოროხის მიდამოების მცხოვრებლების  
ნაწილი თურქებს მხოლოდ შიშით ემორჩილება, მირითადი მასა კი  
სრულ მზადყოფნას აცხადებს ემსახუროს რტსეთს.“<sup>2</sup>

რათა ადგილობრივი მოსახლეობა თურქების გავლენის ქვეშ არ  
მოქცეულიყო, გენერალმა კომაროვმა სპეციალური მიმართვა გა-  
მოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ „მთელი ის მიდამოები,  
რომლებიც წინათ საქართველოს სახელს ატარებდა, უერთდება  
რტსეთს. უკვე ერთი წელია, რაც რტსეთის ჯარი აქ დგას, მაგრამ  
არავის არ ახსოვს მათი ცუდი მოქმედება.“ კომაროვი ურჩევდა  
მოსახლეობას ემოქმედა თავისი შეხედულების მიხედვით და  
თურქებისა და ინგლისელების აგიტაციის გავლენის ქვეშ არ მოქ-  
ცეულიყო.<sup>3</sup> რტსეთის სარდლობის ღონისძიების გატარების შე-  
დეგად თურქებისა და ინგლისელების გეგმები ჩაიფუშა. ამ პერი-  
ოდში ევროპის სახელმწიფოებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება  
კონგრესის მოწვევაზე, რომელზედაც სან-სტეფანოს საზავო ხელ-  
შექრულება უნდა განეხილათ.

1 იქვე.

2 იქვე.

3 სახ. უნტ. სამხ. ისტ: არქ., ფონდი, 486, საქ. 48795, ფურც. 14-15.

#### § 4. აჭარის საკითხი ბერლინის კონგრესზე

რუსეთის დიპლომატია დიდ წინააღმდეგობას წააშედა ბათუმის საკითხის განხილვისთან დაკავშირებით ევროპის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებაში. ბათუმი, რა თქმა უნდა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, საუკეთესო გემისადგომებით, მეტად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის. სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწენი ბათუმს საუკეთესო ნავსადგურად თვლილნენ ზავ ზღვაზე.

მეფის მთავრობა ჯერ კიდევ ადრე იყო თანახმა სასწრაფოდ დაედო ზავი თურქეთთან, თუ რუსეთი ბესარაბიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს და ბათუმს მიიღებდა.

რუსეთის მმართველმა წრეებმა, გაითვალისწინეს, რა ევროპის სახელმწიფოების მოსალოდნელი წინააღმდეგობა ბათუმის შემოერთებაზე, კავკასიის სარდლობას დაავალეს გამოეთქვა თავისი აზრი ბათუმის მნიშვნელობის შესახებ და დაესაბუთებინა, თუ რამდენად აუცილებელი იყო იგი რუსეთისათვის. გამოთქმულ მოსაზრებათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა კავკასიის არმიის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ პავლოვის, გენერალური შტაბის წარმომადგენლის გენერალ-მაიორ სტაბნიცკის და ლორის მელიქოვის შეხედულებანი.

გენერალ-მაიორი პავლოვი აღნიშნავდა, რომ ბათუმი ყოველმხრივ პირველხარისხოვანია რუსეთისათვის და მისი დაკარგვა სახელმწიფოს მძიმე ტვირთად დაწვებაო. იგი შენიშნავდა, რომ ხელოვნურად შექმნილი ფოთის ნავსადგური, რა თანხებიც არ უნდა იქნას დახარჯული მასზე, ვერ მისცემდა რუსეთს გემთა ისეთ თავშესაფარს როგორიც იყო ბათუმი. „ფოთის ნავსადგურს, — წერდა იგი, — ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გამოიწვიოს, თუ მთელი კავკასიის სანაპიროზე სხვა ნავსადგური არ გვექნება და იგი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ჩვენთვის, თუ რუსეთის ხელში ბათუმი იქნება.“<sup>1</sup>

ამავე შეხედულების იყო ბათუმზე გენერალ-მაიორი სტაბნიცკი. ის შენიშნავდა, რომ ბათუმი, როგორც სავაჭრო ქალაქი, წარმოიშვა მხოლოდ რუსეთის გაფლენით და არა თურქეთისათ. „დამოუკიდებლად იმისა, — წერდა სტაბნიცკი, — რა მნიშვნელობისაც

<sup>1</sup> Материалы, т. V, стр. 457

არ უნდა იყოს ფოთის ნავსადგური, ბათუმს ყოველთვის უწევდა  
მასზე მეტი საზღვაო მნიშვნელობა, როგორც სავაჭრო, ისე სამხედ-  
რო დარგში".<sup>1</sup>

გამოდიოდნენ რა ბათუმის მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული  
მდებარეობიდან და მისი ეკონომიური მნიშვნელობისაგან აგ-  
ლოვი და სტანიცე დაუინგბით მოითხოვდნენ ბათუმის რუსეთთან  
შეერთებას. გენერალი ლორის მელიქოვი, კი სრულიად სხვა აზრისა  
იყო. „ბათუმს, როგორც სამხედრო ნავსადგურს, — წერდა იგი, —  
თავისი ბუნებრივი მდებარეობით არ შეუძლია პირველხარისხოვა-  
ნი იყოს, რადგან მცირეა მისი გემთა ტევადობა და სირთულეს  
წარმოადგენს მისი ახლო მდებარე სიმაღლეების გამაგრება".<sup>2</sup>  
ბათუმის მნიშვნელობას იგი მხოლოდ საზღვაო ვაჭრობაში ხედავდა.

ვერ აძლევდა რა სათანადო შეფასებას ბათუმს, ლორის მელი-  
ქოვი უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა რუსეთისათვის ყარსსა და  
არჩეულს. მისი აზრით ამ მხარეების შემოერთებით რუსეთი ხორბ-  
ლეულით მდიდარ რაიონებს მიიღებდა. ლორის მელიქოვის ასეთი  
განცხადება მით უფრო გასაკირია, რომ თავისი წერილის დასაწ-  
ყისში იგი თვითონვე აღნიშნავს, ბათუმის შემოერთების საკითხმა  
ყველაზე მეტად გაამწვავა ევროპის სახელმწიფოების წინააღმდე-  
გობაო. „თავის მხრივ, — წერს იგი, — საზოგადოების აზრი ჩვენს  
სამშობლოში ბათუმს თვლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მონა-  
ჰოკრად".<sup>3</sup> ✕

რუსეთისათვის ბათუმის სავაჭრო მნიშვნელობაზე კავკასიის  
მეფისნაცვლის კანცელარიის მმართველი დიპლომატიურ საკით-  
ხებში ლელი ჭერ კიდევ 1858 წელს აღნიშნავდა, რომ „ბათუმს ჩვენ  
ვაკუთვნებთ რუსეთის ნავსადგურებს", რადგან მას ჩვენთვის  
ფოთის ადგილი უჭირავს. საზღვაო სავაჭრო ოპერაციების მნიშვნე-  
ლოვანი ნაწილი, რომელიც ფოთში უნდა ტარდებოდეს, ბათუმში  
ხდება, სადაც რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებას  
ხელსაყრელი ნავსადგური, საწყობები და გემები აქვს.<sup>4</sup> ბათუმი  
ითვლებოდა მნიშვნელოვან სავაჭრო ნავსადგურად და, ამავე  
დროს, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისაც იყო. თუ იგი თურ-

1 იქვე, გვ. 456.

2 იქვე, გვ. 458.

3 იქვ.

4 აქты, т. 12, стр. 573.

ჭეთს დარჩებოდა ევროპის სხვა სახელმწიფოების დამარტინთ, მათ ყოველთვის შეეძლო სამხედრო ძალების თავმოყრა აქ და საომარი მოქმედების გაჩაღება დასავლეთ კავკასიაში. რუსეთი ბათუმის მიღებით განამტკიცებდა თავისი სამხედრო საზღვრებას.

ფ. ენგელსი ჭერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში მრავალმხრივ შეფასებას აძლევდა ბათუმს. კერძოდ, მის საზღვაო მნიშვნელობაზე იგი შერდა: «Так как Батумская гавань—единственное надежное убежище для кораблей в восточной части Черного моря, то захват ее Россией лишил бы Турцию последний в исключительно русское море».¹ ბათუმის სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობაზე კი ფ. ენგელსი აღნიშნავდა: «Ключом театра военных действий в Азии с обеих сторон является, значит, Батум, и если иметь в виду это, а также его значение для торговли, то не приходится удивляться, почему царь постоянно старался его завоевать. Батум является ключом театра военных действий и даже всей Азиатской Турции, потому что он господствует над единственным проходимым путем с берега во внутрь страны,—путем, которым можно обойти все турецкие позиции перед Эрзерумом. И тот из двух флотов в Черном море, который прогонит своего противника обратно в его гавани, будет владеть Батумом».<sup>2</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ზედმეტი იქნება მტკიცება, თუ რუსეთისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმს.

მეტის მთავრობამ მიიღო მხედველობაში რუსეთისათვის ბათუმის მნიშვნელობა და მან თავის დიპლომატებს დავალა, რა დათმობაზედაც არ უნდა წასულიყვნენ ისინი, ბათუმის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ გადაეჭრათ.

ბათუმის საკითხმა, ჭერ კიდევ ინგლისში რუსეთის ელჩის გრაფ შუვალოვისა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სოლსბერის საიდუმლო მოლაპარაკებაში მნიშვნელოვანი აღგილი

1 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, стр. 400.

2 იქვე, გვ. 555.

დაიკავა. ეს მოლაპარაკება ისტორიაში ცნობილია 1878 წ. 18—30 მაისის ინგლის-რუსეთის საიდუმლო ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება წინასწარი შეთანხმება იყო იმ საკითხებში, რომლებიც სადაც იყო სან-სტეფანოს საზავო მოლაპარაკებაში, ე. ი. ექვნდა გადაჭრილიყო, თუ რა დათმობაზე წავიდოდა რუსეთი ევროპის კონგრესზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით რუსეთი ბათუმს ღებულობდა, მაგრამ გარდა არზრუმისა, როგორც სან-სტეფანოს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, თურქეთს უნდა დაბრუნებოდა ალაზკერტი და ბაიზეთი. ინგლისის დიპლომატია, აყენებდა რა ასეთ მოთხოვნას, მიუთითებდა, რომ ამ ქალაქებს თურქებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ცხადია, რომ ევროპის სახელმწიფოების მართველი წრეები გამოდიოდნენ საკუთარი ინტერესებიდან. ამ ქალაქებზე გავლით მიდიოდა სატრანზიტო-სავაჭრო გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთში და ამიტომ არ სურდათ ევროპის სახელმწიფოებს მათი რუსეთისათვის დატოვება **X**

1878 წლის ივლისში ბერლინში შეიკრიბა ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონგრესი. რუსეთის მხრიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი გორჩაკოვი, რუსეთის ელჩი ინგლისში შუვალოვი, ინგლისის მხრივ — მთავრობის მეთაური ბიკონსფილდი, საგარეო საქმეთა მინისტრი სოლსბერი და ოდი როსალი. სულ კონგრესზე მონაწილეობას ღებულობდა 7 სახელმწიფოს 20 წარმომადგენელი. ვიდრე კონგრესი აზიის საკითხის განხილვაზე გადავიდოდა, ინგლისის მმართველმა წრეებმა წინასწარ გამოაქვეყნეს გაზეთებში ინგლის-რუსეთის 1878 წლის საიდუმლო ხელშეკრულება, რომლითაც ინგლისი თანახმა იყო ბათუმის რუსეთთან შეერთების.

ინგლისის დიპლომატებმა, იმ მოტივით ვითომც ბრიტანეთის საზოგადოება საყვედურს გამოთქვამდეს რუსეთისადმი დათმობებზე, განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ ხელშეკრულების იმ მუხლზე, რომლითაც ინგლისი თანხმობას აცხადებდა რუსეთს ბათუმი მიეღო.<sup>1</sup> სოლსბერი ჯერ კიდევ აღრე აცხადებდა, რომ ინგლისი შეიძლება არ დაეთანხმოს რუსეთის მიერ ბათუმის მიღებას. „საკითხის არსი, — წერდა იგი, — მაშინ გადაშედება, როდე-

1 Журнал «Красный Архив», т. 59, стр. 98.

საც. კონგრესის მუშაობის ბოლოს, ინგლისი - უკანასკნელ პირზეა დაუსეთს განუცხადებს, რომ მან უარი თქვას ბათუმზე.<sup>1</sup>

ბათუმის საკითხზე ინგლისის დიპლომატების ასეთმა განცხადებამ გაამწვავა კონგრესის მუშაობა, რუსეთის დიპლომატური მტკიცედ იდგა თავის პოზიციებზე და ინგლისისაგან ჩელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მოითხოვდა. მათინ სოლსბერიმ განაცხადა, რომ გადადგება თანამდებობიდან.

ბათუმის შემოქრეთების საკითხი კონგრესზე საეჭვო გახდა. რუსეთის დიპლომატების სამხედრო კონსულტანტი ბობრიკვი აღნიშნავდა, რომ „თუ ინგლისის წარმომადგენლები თურქეთის ევროპულ ნაწილთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში თავს იჩენდნენ, როგორც სულთანის ინტერესების დამცველები, აზიაში ახალი საზღვრის გადაჭრის საკითხში მათი წინააღმდეგობა უკიდურესობამდე მიღიოდა.“<sup>2</sup>

კონგრესის მუშაობა ისე გართულდა, რომ შუვალოვის განცხადებით რუსეთს ან უარი უნდა ეთქვა ბათუმზე, ან კონგრესის მუშაობა ჩაიშლებოდა. უარის თქმის შემთხვევაში რუსეთის დიპლომატებს პასუხისმგებლობა უკისრებოდათ როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების წინაშე, ხოლო შემდგომ დიპლომატიურ ბრძოლას შეიძლებოდა ომიც კი მოჰყოლოდა.<sup>3</sup>

ბათუმის საკითხის გამწვავების შესახებ რუსეთის დიპლომატების მეორე კონსულტანტი ანუჩინი თავის დღიურში შენიშნავდა: „გაუგებარია როგორ დამთავრდება ბათუმის საკითხი, ვფიქრობ იგი დაკარგულიც უნდა იყოს ჩენითვის.“ ყველა სიძნელის მიზეზს, რომლებსაც რუსეთი წააშედა კონგრესზე, იგი იმაში ხდავდა, რომ ომის დამთავრებისას ვარჩა და ბათუმი თურქეთის ხელში დარჩა. „ვარჩა უკვე დაგვჭირდა გვეყიდა მაკედონიით, რას მოითხოვენ ბათუმისათვის?“<sup>4</sup>

ინგლისელების ასეთი ბრძოლა თურქეთისათვის ბათუმის შესანარჩუნებლად შემთხვევითი არ არის. ინგლისელებს ესმოდათ, რომ თუ ბათუმი თურქეთის ხელში იქნებოდა, იგი ყოველთვის შეეძლო გამოეყენებინა ინგლისს, შესაძლებელი გახდებოდა ინგლი-

1 Батуми и его окрестности. Батуми, 1906 г., стр. 98.

2 Журнал «Русский вестник», декабрь 1889, стр. 34.

3 Журнал «Красный архив», стр. 109.

4 А. Анучин, Берлинский конгресс 1878 г., Тифлис, 1913, стр. 25.

სის საუკუნოვანი ინტერესების განხორციელება — კავკასიონის დაპყრობა და, საერთოდ, ბათუმი მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკაში ახლო აღმოსავლეთში. ბათუმი შევი ზღვის სანაპიროზე ისეთი ნავსაღგური ჟყო, საიდანაც უბაჟოდ იქნებოდა შეტანილი ინგლისის საკონის კავკასიაში, ირანში და შუა აზიაში. როდესაც ბათუმის საკითხმა კონგრესზე მწვავე ხსიათი მიიღო, შუვალოვმა მოიწვია რუსეთის წარმომაღენელთა თათბირი სამხედრო კონსულტანტების თანდასწრებით. თათბირზე განხილულ იქნა საკითხი, თუ როგორ ებრძოლათ კონგრესის მომავალ სხდომაზე ბათუმისათვის. აქვე განხილულ იქნა მცირე აზიის რუკა, რომელზედაც, მთავრობასთან შეთანხმებით, წინასწარ იყო აღნიშნული — რა ტერიტორიის დათმობა შეეძლოთ რუსეთის დიპლომატებს. ჯერ კიდევ ინგლის-რუსეთის 1878 წლის 30 მაისის საიდუმლო ხელშეკრულების თანახმად რუსეთი მზად იყო დაებრუნებია თურქეთისათვის ალაშქერტი და ბაიაზეთი. მაგრამ ამ რუკაზე დამატებით იყო აღნიშნული შესაძლებელი დათმობანი ლაზისტანში.

როდესაც ინგლისის წარმომაღენელმა კატეგორიული უარი განაცხადა რუსეთის მიერ ბათუმის შეერთებაზე, შუვალოვმა ბისმარქს მიმართა, რათა უკანასკნელი ჩარეოდა საკითხის გადაჭრაში. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ინგლისი არღვევს რა 1878 წლის 30 მაისის საიდუმლო ხელშეკრულებას, არ ასრულებს დადგენილ საერთაშორისო ვალდებულებებს და კონგრესის მუშაობას ართულებს.

ბისმარქმა, რომელიც თითქმის ყველა საკითხის გადაჭრაში რუსეთის საწინააღმდეგო პოზიციას იქერდა, ბიკონსფილდს მიუთითა, რომ საკითხი გადაჭრილიყო ინგლისისა და რუსეთის წარმომაღენელთა კერძო სხდომაზე. ამ წინადადებას დაეთანხმა ორივე მოდივე მხარე. ჩვენთვის უცნობია, თუ რა დავა მიმდინარეობდა გორჩაკოვს და ბიკონსფილდს შორის ცალკე სხდომაზე, მაგრამ ცნობილია, რომ საკითხი აქ გადაიჭრა. ბიკონსფილდმა დაინახა, რომ რუსეთი არ დათმობს ბათუმს, და დაეთანხმა გორჩაკოვს, რომ ინგლისი თანახმა იქნებოდა რუსეთს ბათუმი მიეღო, მაგრამ მხოლოდ როგორც სავაჭრო ქალაქი, პორტო-ფრანკო, რომ იგი გამაგრებული არ იქნებოდა, როგორც სამხედრო პუნქტი. ლორდი ბი-

კონსფილდი შზად იყო შეეწყვიტა მოლაპარაკება, თუ მისი წინა-  
დაღება პორტო-ფრანკოზე მიღებული არ იქნებოდა.<sup>1</sup>

გორჩაკოვი დაეთანხმა ბიკონსფილდის წინადადებას და მორიგ  
სხდომაზე კონგრესმა სცნო რუსეთის მიერ ბათუმის მოლუბა. რატ-  
გენილების თანახმად რუსეთი უთმობდა თურქეთს არზოუშს გაია-  
ზეთს და ალაშკერტს, ბათუმი კი გამოცხადებულ იქნა პორტო-  
ფრანკოდ. მიუხედავად ზემოაღნიშნული დათმობისა, ბათუმის  
შემოერთება შეგვიძლია ჩავთვალოთ რუსეთის დიპლომატიის დიდ  
გამარჯვებად. ბათუმის საკითხის გადაწყვეტით კონგრესზე დავა  
აზის გარშემო არ დამთავრებულა. სადაც გახდა, თუ სად გავიღო-  
და რუსეთ-თურქეთის ახალი საზღვარი ამიერკავკასიაში. ინგლისე-  
ლებმა გადაწყვიტეს შეძლებისდაგვარად შეემცირებინათ რუსეთის  
საზღვრების გაფართოება სამხრეთით. საზღვრის დადგენა მათ მო-  
ინდომეს რაც შეიძლება ახლოს ბათუმთან, არტაანთან და ყარს-  
თან. საკითხის კონგრესზე განხილვამდე რუსეთის წარმომადგენ-  
ლები შეეცალნენ მის წინასწარ მომზადებას, მაგრამ არც ერთი მათ-  
განი არ იცნობდა კავკასიის ბრძოლის ველს, რუკის შესწავლა კი  
მათ კონგრესის მსვლელობის პროცესში მოუხდათ. ხშირად ისინი  
შემოსაერთებელ ტერიტორიას შემოხვევითი ნიშნებით საზღვრავდ-  
ნენ. მაგალითად, როდესაც რუკაზე ზივინი ნახეს, გაახსენდათ, რომ  
იგი სასტიკი ბრძოლის ადგილი იყო და გადაწყვიტეს რუსეთისათვის  
შემოერთება. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ინგლისის  
დიპლომატებიც. ინგლისელებმა იმ მოტივით, რომ ბრძოლა ზივინ-  
თან თურქების გამარჯვებით დამთავრდა, მისი თურქეთისათვის  
დაბრუნება მოინდომეს.<sup>2</sup>

როდესაც კონგრესის სხდომაზე დიპლომატებმა რუკები გაშა-  
ლეს და ახალ საზღვრებს იხილავდნენ, გორჩაკოვი უთითებდა სან-  
სტეფანოს ხაზზე იმ შესწორებებით, რომლებიც შეტანილი იყო  
ინგლის-რუსეთის საიდუმლო ხელშეკრულებაში. იგი დარწმუნე-  
ბული იყო, რომ ბიკონსფილდი, რომელიც თანხმობას აცხადებდა,  
ამავე ხაზზე ეთანხმებოდა, უკანასკნელი კი სრულიად ახალ ხაზზე  
უთითებდა. „ეს ხაზი, — როგორც შუვალოვი გადმოგვცემს, —  
მთელი თავისი მიხვეულ-მოხვეულებით სწორედ ის ხაზი იყო, რო-

1 საქ. ცენტ. არქ., ფონდი 1438, საქ. 124, ფურ. 7.

2 Журнал «Красный Архив», стр. 100.

მელზედაც ჩვენ უფლება გაქონდა დაეთანხმებოდით, როგორც უპა-  
დურესი შემთხვევა.<sup>1</sup>

გაუგებრობა შემდეგნაირად მოხდა: როდესაც ბიკონსფილდი  
და გორჩაკოვი რუსეთთან ბათუმის შეერთების საკითხს ცალკე  
სხდომაზე იხილავდნენ, ბიკონსფილდმა გორჩაკოვის რუკაზე ახა-  
ლი ხაზი შენიშნა — სან-სტეფანოს ხაზი, გადაწეული ბათუმთან და  
ყარსთან ახლოს. ეს ხაზი რუსეთის არმიის მთავარ შტაბში რუკაზე  
აღნიშნული იყო, როგორც დათმობის უკანასკნელი პირობა. ბი-  
კონსფილდს როგორც კი შეუნიშნავს ახალი ხაზი, მაშინვე გადაუ-  
ტანია იგი თავის რუკაზე. აცხადებდა რა თანხმობას ახალ საზღ-  
ვარზე, სხდომაზე იგი სწორედ ამ ხაზზე მიუთითებდა. სხვადასხვა  
სასაზღვრო ხაზზე მჯელობამ ისე გაამწვავა კონგრესის მუშაობა,  
რომ კონგრესის სხდომა ისევ შეწყდა და საკითხის გადაჭრა ინგ-  
ლისასა და რუსეთის სხვა წარმომადგენლებს დაევალათ — შუვა-  
ლოვსა და სოლისბერის. საკითხის მოგვარების მიზნით დამხმარედ  
მათ გერმანიის წარმომადგენელი გოგენლოე მისცეს. კონგრესი  
ვალდებულებას ღებულობდა დათანხმებოდა მათ გადაწყვეტილე-  
ბას. ცალკე სხდომაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისელი  
დიპლომატი მტკიცედ იდგა ბიკონსფილდის პოზიციაზე, ხოლო  
შუვალოვი კი ძეელად განსაზღვრულ საზღვრის დატოვებას მო-  
ითხოვდა.<sup>2</sup>

გოგენლოეს წინადადებით დავა მათ შორის ახალი ხაზის გავ-  
ლებით გადაწყდა, რომლითაც სადაცო ტერიტორია შუსზე იქნა გა-  
ყოფილი. საკითხის ასეთ გადაჭრას დაეთანხმენენ ინგლისის წარ-  
მომადგენლები, შემდეგ კი კონგრესმაც დაამტკიცა იგი. დადგენი-  
ლებში აღნიშნული იყო, რომ ეს ახალი სასაზღვრო ხაზი რუსეთისა  
და თურქეთის წარმომადგენელთა მიერ აღვილზე იქნებოდა და-  
ზუსტებული.

ბერლინის კონგრესმა აზიაში ახალი საზღვრის დადგენაში დაიდი  
სირთულე შეიტანა. აღგილობრივი ბუნებრივი პირობებით გათვა-  
ლისწინებული, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით დადგენილი საზღ-  
ვარი უბრალო, სწორხაზოვანი საზღვრით იქნა შეცვლილი. ბათუმის  
და საერთოდ აზიის საკითხის გადაჭრის შემდეგ ხელშეკრულების

1 იქვე.

2 იქვე, გვ. 107.

ტექსტი წაკითხულ და ხელმოწერილ იქნა კონგრესის მონაცილეთა  
მიერ. უკანასკნელი სხდომას მნიშვნელობის შესახებ შუგაღოვი  
ამბობდა, რომ „სხდომას, მიღლივილს აზის საკითხისადმი, საჭირ-  
ო ხასიათი ჰქონდა. მის გადაჭრაზე იყო დამოკიდებული მშევდობა  
თუ ომი იქნებოდა ევროპაში.“<sup>1</sup>

ბერლინის კონგრესის დადგენილებით 1877-1878 წლების რუ-  
სეთ-თურქეთის ომის შედეგად რუსეთის მიერ დაკავებული ტერი-  
ტორიის თითქმის ნახევარზე მეტი, რომელზედაც ქართველი და  
სომები მოსახლეობა ცხოვრობდა, ისევ თურქეთს დაუბრუნდა.  
კონგრესმა აღნიშნა, რომ დაინტერესებული სახელმწიფოებისადმი  
თურქეთს უნდა ეცნობებინა ის ლონისძიებანი, რომლებიც თურქეთ-  
ში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ იქნებოდა გატარე-  
ბული. მაგრამ განსაზღვრული არ იყო თუ ამ ხალხთა ბედის გამო  
თურქეთი კონკრეტულად ვის წინაშე აგებდა პასუხს, ე. ი. ფაქტი-  
ურად თურქეთში მცხოვრები ნაციონალური უმცირესობის ინტე-  
რესები განუსაზღვრელი დარჩა. ამიტომ იყო, რომ იმ ტერიტო-  
რიაზე მცხოვრები ქართველი და სომები მოსახლეობა, რომელიც  
თურქეთს უნდა დაბრუნებოდა, მოისწრაფოდა რუსეთის საზღვრებ-  
ში გადმოსახლებულიყო.

გადმოსახლებამ ისეთი შასიათი მიიღო, რომ კავკა-  
სის მხედარომთავრის სიტყვებით, არავითარ ძალას არ შეეძლო  
დაკავებინა ის მასები, რომლებიც რუსეთის ჯართან ერთად მო-  
ილტვობრნენ, მოსახლეობის რუსეთის ტერიტორიაზე გადმოსახლე-  
ბა თურქების მხეცური მოქმედებით იყო გამოწვეული. ისინი ემუქ-  
რებოდნენ ქრისტიანებს, რომ რუსების წასვლისთანავე ამოულებ-  
დნენ მათ. ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე რუსეთის არმია დაიხევდა თა-  
ვის ტერიტორიაზე, თურქებმა გაძარცვეს რამდენიმე ოჯახი, მოჰკ-  
ლეს ცალკეული პირები და გააუპატიურეს ქალები.<sup>2</sup>

კავკასიის სარდლობამ ქრისტიანი მოსახლეობის უშიშროების  
უზრუნველსაყოფად მთავარ შტაბს აცნობა პეტერბურგში, რომ  
ხელშეკრულება გაფორმებულიყო, რომლითაც ერთი წლის მანძილ-  
ზე შესაძლებელი იქნებოდა მსურველთა ნებაყოფლობითი გადმო-  
სახლება რუსეთში. თავის მხრივ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ

<sup>1</sup> უქვე.

<sup>2</sup> სახ. ცნობ. სამხ. ისტ. არქ., ფონდი 485. სა1. 38721, ფურც. 13.

თურქთაც უნდა მისცემოდათ უფლება სურვილის მიხედვით წა  
სულიყვნენ ასმალეთში. ხელშეკრულების დადების დროს კაეგა-  
სის მხედართმთავრის ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა რუსეთის  
მთავრობამ. თურქების მხეცური მოქმედება რომ შეწყვეტილია,  
გენერალმა ლაზარევმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა ანატო-  
ლიის არმიის მხედართმთავარს დევრიშ-ფაშას, რათა უკა-  
ნასკნელს ზომები მიეღო ქრისტიანი მოსახლეობის ქონებისა და  
პირალი უშიშროების დასაცავად. მიმართვაში ნათქვამი იყო: „თქვენ  
არ გჭირიათ მტკიცება, რომ საქმარისია ვთქვა სიტყვა „გადმო-  
სახლით ჩვენს მხარეში“ და მთლიანად დაიცლება მთელი რიგი  
თქვენი პროვინციები“.

დევრიშ-ფაშა მოსახლეობას თუმცა არწმუნებდა, რომ მათი  
ინტერესების დასაცავად მიღებული იქნებოდა ზომები, მაგრამ  
მდგომარეობა დღითი დღე რთულდებოდა. თურქებმა აშკარად  
დაიწყეს ქრისტიანი მოსახლეობის მასიური მოსახლეობა. მთელი რიგი  
სოფლები ამოულებილ და განადგურებულ იქნა თურქეთის შო-  
რეულ მხარეში. განსაკუთრებით დევნას და შევიწროებას სომეხი  
მოსახლეობა განიცდიდა.

ამგვარად, ინგლისის მმართველი წრეების რუსეთ-თურქეთის  
საქმეში ჩარევის შედეგად ნაწილი ტერიტორიისა, დასახლებული  
ქართველებითა და სომხებით, კვლავ თურქების ბატონობის მძიმე  
ულელქვეშ დარჩა.

### § 5 აჭარის მოსახლეობის გასახლება თურქეთში

ბერლინის კონგრესის დადგენილებით გადაშედა აჭარის რუ-  
სეთთან შეერთება და, ვინაიდან თურქებმა ვერ მოაწყვეს ხალხთა  
მასების გამოყვანა რუსეთის წინააღმდეგ, მათ დაიწყეს ადგილობ-  
რივი მოსახლეობის გასახლება ოსმალეთში. ქართველი ხალხის  
გასახლება თავისა სამშობლოდან ახალი მოვლენა არ იყო. იგი  
ერთიანი საქართველოს ცალკეულ სამთავროებად და სამეფოებად  
დაყოფის პერიოდიდან იწყება ცალკეულ პირთა გაყიდვის სახით,  
ხოლო მოსახლეობის მასიური გასახლება სამშობლოდან ჯერ კიდევ

შაპ-აბასის საქართველოზე ლაშქრობის დროს მოხდა, როცა 100 ათასი ქართველი გასახლებულ იქნა ორანში.

ქართველების გასახლება თურქების მიერ აწყებდა სამხრეთ სა-ქართველოს მათ მიერ დაპყრობის დღიდან, ე. ი. მე-15 საუკუნის 80-იანი წლებიდან და გრძელდება მე-19 საუკუნის ბოლომდე. პირ-ველად იგი მესხეთსა და ჯავახეთს შეეხო, ხოლო მე-17 საუკუნის 50-იანი წლებიდან აჭარაზეც გავრცელდა, მაგრამ აჭარლების თურქეთში ძალატანებითმა გასახლებამ მასიური ხასიათი 1877-1878 წლების ომის შემდგომ პერიოდში მიიღო.

ქართველი ხალხის მასიური გასახლება თურქეთში, ჩვენს ისტორიაში ცნობილია „მუჰაჭირობის“ სახელით. ეს ტერმინი, დამკ-ვიდრებული რევოლუციამდელ პერიოდში, შემორჩა დღემდე. ჩვე-ნი აზრით, ამ ტერმინის ხმარება ქართველი ხალხის ნაძალიდევი გასახლებისადმი თურქეთში, არაა სწორი. „მუჰაჭირი“ თურქული სიტყვაა და ქართულად სამშობლოდან ნება-სურვილით წასვლას-გვდასახლებას ნიშნავს. მაგრამ ქართველი ხალხი, რომელიც თავის სამშობლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა, განა ნება-სურვილით დატოვებდა თავის მიწა-წყალს? უდავოა, რომ არა. ამიტომ საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა მიზეზებით იყო გამოწვეული აჭარის მოსახლეობის გასახლება თურქეთში 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ?

ბერლინის კონგრესის დადგენილებით გადაწყდა რუსეთთან აჭა-რის შეერთება. თურქებმა დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის გასახლება თურქეთში. ამ ბოროტმოქმედების განხორციელებისა-თვის ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ.

ჩვენი ქვეყნის საუკუნოვან მტრებს ამ ღონისძიების გატარე-ბაში გვერდში სამშობლოს მოლალტენი — გაბატონებული კლასების ზოგიერთი წარმომადგენლები ამოუდგნენ. ისინი ქადაგებდნენ, რა-თა შოსახლეობა არ დარჩენილიყო აჭარაში. მათ მოწოდებებში შითითებული იყო: „აქ არ დარჩეთ, თორემ ჯენეთს თვალით ვერ ნახავთ, აქ ცხოვრებას ოსმალებაში დალუპვა უნდა არჩიოთ იმიტომ, რომ მუსლიმანის ბინა იქ არის, მისი ფადიშახი იქ ზის“. ანალო-გიურ მითს ავრცელებდნენ ხოჯები და მოლები მთელ აჭარაში, რელიგიის ზეგავლენით მოქმედებდნენ მორწმუნე აღამიანების

გრძნობებზე. თურქები და თურქოფილები ხმას ავრცელებონ, რომ რუსეთი ამოულეტდა აღგილობრივ მოსახლეობას ან ციმბირში გაასახლებდა მათ. უშიშროების მიზნით მოუწოდებდნენ მათ წასულიყვნენ თურქეთში. წამსვლელებს კი საჩუქრებსა და დახმარებას ჰპირდებოდნენ. თურქები ავრცელებდნენ პოლკამაციებს და ატყუებდნენ ხალხს.

ოსმალეთში მომავალი კარგი ცხოვრების დასამტკიცებლად თვითეულ სოფელში მათ შეარჩიეს ათიდან 10 ცამდე კაცი, რომლებიც ხალხთა „დელეგაციის“ სახელით გაგზავნეს თურქეთში. მათ ვითომ დავალებული პქნონდათ გადასახლებულებისათვის ბინების შოძხადება და ადგილების შერჩევა. ე.წ. დელეგატების ნაწილი გარქვეული პერიოდის შემდეგ თავიანთ სოფლებში ბრუნდებოდნენ და თურქებისათვის სასარგებლო ხმებს ავრცელებდნენ. მაგალითის საჩეკნებლად მიჰყავდათ თავიანთი ოჯახები, ნაწილი კი, ვითომ გადასახლებულებისათვის ადგილის მოძებნის მიზნით, დემაგოგიურად რჩებოდა თურქეთში. დერვიშ-ფაშა ხალხთა გასასახლებლად იარაღსაც კი ხმარობდა. ქობულეთლები მას ძალით მიჰყავდა თავიანთი ცოლ-შვილით. ზემო ქობულეთში და აჭყვისთავში 160 ცხენოსანი თურქი მოქმედებდა დერვიშ-ფაშას ბრძანების შესასრულებლად.

მოწინავე საზოგადოების ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა მტერს და ყოველგვარ ზომებს ხმარობდა ხალხი ადგილზე დარჩენილიყო. მაგალითად, ნური-ბეგმა გ. გურიელს • აცნობა და დახმარება სთხოვა ქობულეთლების დასახსნელად. გაგზავნილმა ჯარებმა გზა მოუჭრა თურქ ჯარისკაცებს და მოსახლეობა დააბრუნა.

თურქებმა უკან დახევისას ვერ მოასწრეს გასასახლებელი ხალხის ციხისძირიდან გაყვანა და, როდესაც რუსეთის ჯარმა მოუსწრო, მათ დაინახეს, რომ ბავშვები ტიროდნენ, ქალები კიოდნენ, მათ უკითხავად ჯარისკაცები ბარგს ჰყრიდნენ გემებში, შემდეგ თვით ხალხიც შერექეს და ბათუმისაკენ წაიყვანეს.<sup>1</sup>

თურქები, ყოველგვარი საშუალებით ატყუილებდნენ და ზეგავლენას ახდენდნენ რა ხალხზე, შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის გასახლება თურქეთში. გასახლებამ ისეთი ფარ-

1 გაზ. „დროება“, 1878 წ., № 90.

თო ხასიათი მიიღო, რომ იგი თურქების მიერ აჭარის დაცლის შემ-  
დეგაც გრძელდებოდა.

1880 წლიდან თურქეთში მოსახლეობის წასვლას ბიძგი მისცა  
ადგილობრივი ბეგებისა და მოხელეების მიერ ხალხთა მასების  
ჟელმეტბა შევიწროებაშ.

ღიდ გავლენას ახდენდა ხალხზე ამავე დროს რამს შემდგ  
წლებში შექმნილი რთული ეკონომიური პირობები, მოუსავლია-  
ნობასთან ერთად ეკონომიურ მდგომარეობას ამშვავებდა ის, რომ  
ბათუმი პორტო-ფრანკოდ ითვლებოდა.

რუსი მოხელეების ყოველგვარ შეცდომებს კარგად იყენებდ-  
ნენ თურქოფილები და ხალხს არწმუნებდნენ, რომ ვითომც ყო-  
ვლივე ეს გამოწვეული იყო აჭარაში რუსეთის ჯარის მოს-  
ვლით. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ჩამოსული  
თურქი სასულიერო პირები — ხოჯები და მოლები. უკანას-  
კნელნი ადგილობრივი ქრისტიანი სასულიერო პირების მოთ-  
ხოვნით ხელისუფლების მიერ გაძევებულ იქნენ აჭარიდან.  
თურქებისა და სამშობლოს გამყიდველთა ასეთი მოქმედების  
წინააღმდეგ სასტიკად გაიღაშქრეს ადგილობრივმა მოწინავე  
ადამიანებმა. მათ კარგად ახსოვდათ, რომ ისინი ქართველები  
იყვნენ, უყვარდათ მშობლიური ენა და პატივს სცემდნენ  
თავიანთ წინაპართ. მაშინ, როდესაც სამშობლოს მოღალა-  
ტები ხალხს გადასახლებისაკენ მოუწოდებდნენ და მათზე ძალით  
მოქმედებდნენ, ადგილობრივი პატრიოტები ქადაგებდნენ, რათა  
მოსახლეობა ადგილზე დარჩენილიყო. ისინი აქებდნენ რუსეთის  
ჯარისკაცებს და მოსახლეობას განუმარტავდნენ, თუ რა მოელო-  
დათ თურქეთში წამსვლელებს. ასეთ პატრიოტთა რიცხვს ეკუთვ-  
ნიან იუსუფ შერვაშიძე, შერიფ ხიმშიაშვილი, ახმედ ხალვაში, გუ-  
ლო კაიკაციშვილი, დელი ნიკარაძე, აბდულ მიქელაძე, ხასან ციცი-  
შვილი, ნური ბერიძე, ხასან გვერდაძე და სხვები. გასახლების სას-  
ტიკი წინააღმდეგი იყვნენ აგრეთვე აჭარელი ქალები. ისინი  
ქმრებს ევედრებოდნენ არ დაეტოვებინათ სამშობლო.

თურქეთში აჭარის მოსახლეობის გასახლებას უდიდესი გულის-  
ტკივილით შეხვდნენ ყოველი კუთხის ქართველები. ქობულეთში  
სპეციალურად ჩავიდა გ. გურიელი. მან ინახულა აღი თავდგირიძე

და სთხოვა მას: „შენ თუ არ იშლი წასკლას, წადი, ამ ხალხს დაანებე თავი. რა გინდა, რას ემართლები, კაცო, შენ რა ძოვება—ტება ამათი აქედან აყრით. ნუ აქეზებ მათ გასასახლებლად“.<sup>1</sup> ზაგრამ სამშობლოს მოღალატე თურქოფილებს ვერ ააოებინეს ხელი თავიანთ ზრახვებზე.

ი. ჭავჭავაძე სინანულით შენიშნავდა: „საკვირვებლი ამბავია. ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს—ვიმეორებთ—მამულს, დედულს, სახლ-კარს, სადაც დაბადა, სადაც გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა, და მიდის სად? ოსმალეთში?“ შემდეგ ავტორი შენიშნავს: „დაე, ამაზედ ჩვენს შეძლევი ისტორიკოსი განცვაიფრდეს. ჩვენ კი ეს გულისტკივილით შევიტანოთ ჩვენს მატიანეში.“<sup>2</sup>

თურქებმა ყოველგვარი ღონისძიებით და პროვოკაციული მოქმედებით 30 ათასი კაცის გასახლება შეძლეს აჭარიდან. გასახლებულთა უმრავლესობა შიმშილისა და სიცივისაგან გაწყდა გზაში, ნაწილი კი აღგილზე მისული დაიღუპა, სადაც წასულთ, ნაცვლად თურქების დანაპირებისა, აუტანელი პირობები დაუხვდათ, ცუდ კლიმატურ პირობებში მოხვედრილ ხალხს სხვადასხვა ავადმყოფობა გაუჩნდა და დაიხოცა. მათ იქ არ გააჩნდათ საჭმელი, არ ყავდათ ექიმი, არ ქონდათ წამალი, ბინა და სხვ. საკვებისათვის ისინი ისევ სამშობლოში გზავნიდნენ ხალხს და აქედან ღებულობდნენ დაბრმარებას. მიუხედავად იმისა, რომ გასახლებულებს დაბრუნების უფლება აღარ ჰქონდათ, ისინი მაინც უნებართვოდ გადმოდიოდნენ სამშობლოში და ჩუმად თავიანთ ნათესავებს ეკედლებოდნენ. დაბრუნებული პირები მოსახლეობას თავიანთ ცუდ მდგომარეობას უამბობდნენ, მაგრამ დარჩენილი რეაქციონერი ბეგები ამ მდგომარეობას ახლაც თავისებურად იყენებდნენ და ისევ გასახლებას ქადაგებდნენ.

ბეგებს აღარ შეეძლოთ დაემართ გასახლებულთა ცუდი მდგომარეობა, მაგრამ რელიგიური ზემოქმედებით გაიძახოდნენ: „მართლმორწმუნე მუსლიმანებო, თქვენი ძმები და ნათესავები ოსმალეთში მუჰაჯირად წასულნი ულუქმაპუროდ იხოცებიან და

1 ჭ. ჭიჭინაძე, ქართველ მაკმაღიანთა ცხოვრება და ალი-ფაშა თავდგირიძე, თბილისი, 1911 წ., გვ. 25.

2 ი. ჭავჭავაძე, ნაწილების სრული კრებული, ტ. 5, თბილისი, 1955 წ., გვ. 32—35

იტანჯებიან. ადექით, წალით იქითკენ, სადაც თქვენი ნათესავები და  
ძმები არიან. ისინი აქეთ ვეღარ მოვლენ. იმათ ძალა და შეძლება  
არა აქვთ. მით ბოლოს სული იცხონეთ და ჯერნეთში შეხვდით.“<sup>1</sup>

თურქეთში გასახლებულთა ცუდ მდგომარეობაზე ნათლად  
ლაპარაკობენ თვით მუჰაჯირთა მიერ სამშობლოში მოწვერილი წე-  
რილები. ერთ მათგანში ყოფილი უცნობი „მუჰაჯირი“ მემდეგს  
წერდა თავის ძმას: „ძმო ჩეგებ, ღმერთის ნებით იყოს, რომ შინ  
დავბრუნდე. ქალ-ბაღანას პური არ აქვთ, ტანთ არაფერი აცვიათ,  
ფარაც არ გვაქვს. გვიშველეთ რაიმეთი. ჩვენ სულ ვკვდებით შიმ-  
შილით და სიცივით. ჩვენი ქვეყანა კარგი არის. აქეთ ნუ მოხვალთ,  
ჩვენი თხოვნა ეს არის“. მეორე ანალოგიურ წერილში კი ვკითხუ-  
ლობთ: „შვილო მევლუდ, ცოტა ფარა მიშველე და მე მაშინვე წა-  
მოვალ. აქეთ ნურავინ წამოვა. ყველა გააფრთხილე, მანდ სიკვდი-  
ლი ჯობია. უბედურება ვნახეთ, დაილუბა ჩვენი საქმე.“<sup>2</sup>

თურქეთში გასახლებული ქართველები უმთავრესად დასახ-  
ლეს უნაყოფო ადგილებზე, სადაც ცხოვრების ძალზე მძიმე პირო-  
ბები შეექმნათ ამ დასახლებულთათვის და მასიურად იხოცებოდ-  
ნენ.

### § 6. რუსეთის ჯარის შესვლა აჭარაში

ბერლინის კონგრესის დადგენილების თანახმად თურქეთს  
აჭარა უნდა გადაეცა რუსეთისათვის. დადგენილების სისრულეში  
მოსაყვანად ქუთაისში თურქეთისა და რუსეთის ორმოუბის წარმო-  
მადგენლებისაგან სპეციალური კომისია შეიკრიბა. კომისიის შე-  
ძალგენლობაში რუსეთის მხრივ შეღიოდნენ თავადი ტრუბეციო  
და გ. გურიელი, თურქეთის მხრიდან — ნაად-ფაშა, ალი-ბეი და სუ-  
ლეიმან-ბეი. კომისიის მუშაობას თავადი სვიატოპოლკ-მირსკი ხელ-  
შძლვანელობდა. კომისიამ მუშაობა 1878 წლის 16 აგვისტოს დას-  
რულა. დადგენილ იქნა რუსეთისათვის ბათუმის გადაცემა 25 აგვის-  
ტოს. აჭარის ტერიტორიის დაცლა თურქების მიერ შემდეგი თან-

1 ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჟმალიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში  
1917 წ., გვ. 47.

2 იქვე, გვ. 113.

შიმდევრობით უნდა მომხდარიყო: რუსეთის ჯარი დაიკვებდა ხო-  
ფელ ჩურუქსუს, სამებას და კვირიკეს 17 აგვისტოს, ართვინის მხრი-  
დან მოძრავი არტაანის რაზმი კი—18 აგვისტოს სოფ. ბორჩხას და  
21 აგვისტოს—ცხმორისს. ბათუმში რუსეთის ჯარი 25 აგვისტოს  
უნდა შესულიყო. ჯარების მოძრაობის პერიოდში ორივე მხრიდან  
დაცული უნდა ყოფილიყო სრული წესრიგი და მოსახლეობის  
ხელუხლებლობა. მაგრამ თურქები მაინც აყოვნებდნენ აჭარის და-  
ცლას და ყოველმხრივ ცდილობდნენ მოესწროთ მოსახლეობის რაც  
შეიძლება მეტი რიცხვის გადასახლება. მიუხედავად თურქების წი-  
ხააღმდეგობისა, რუსეთის სარდლობამ აიძულა ისინი დადგენილ  
დროში დაეცალათ აჭარა. რუსეთის ჯარმა საში მხრიდან დაიწყო  
ბათუმისაკენ მოძრაობა:<sup>1</sup> 1. მუხაესტატე-ციხისძირ-ბათუმის,  
2. ახალციხე-ხულო-ქედა-ბათუმისა და 3. ართვინ-ქედა-ბათუმის  
მიმართულებით.

რუსეთის ჯარის მოძრაობის დასაწყისში მუხაესტატესა და ქო-  
ბულეთის სიმაღლეებზე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომად-  
გენლები შეიქრიბნენ. რუსეთის სარდლობამ განუცხადა მათ, რომ  
ყველანი დარჩენილიყვნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე, რომ  
მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ გარანტირებული. მთელი აჭა-  
რის ძოსახლეობას გამოეცხადა სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანება,  
რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ოჯახები, ქონება, რელიგია და ად-  
გილობრივი მმართველობა ხელუხლებელი დარჩებოდა. მოსახლეო-  
ბას ეცნობა, რომ ბათუმის ოლქის უფროსად დანიშნული იყო  
გ. გურიელი, რომ აჭარა სამუდამოდ რუსეთის ქვეშევრდომობის  
ქვეშ გადავიდა, რომ მოსახლეობა დაუბრუნდეს თავიანთ სახლებს  
და შეუდგეს შვეიცარიან შრომას.<sup>2</sup>

მოგზაურობის სამივე მიმართულებით აჭარის მოსახლეობა რუ-  
სეთის ჯარს ეგებებოდა, როგორც განმათავისუფლებელს.

არტაანის რაზმი ართვინიდან ბათუმისაკენ, ძირითადად, მდ. ჭოროხის გასწვრივ მოძრაობდა.

ზემო აჭარის განთავისუფლებისათვის გენერალ ტრეიტერის  
შეთაურობით იმავე არტაანის რაზმიდან სპეციალური ნაწილები იქ-  
ნა გამოყოფილი, რომლებიც ახალციხის მხრიდან სამი მიმართუ-

1 სახ. ცენტ. სამხ. ისტ. არქ., ფონდი ვუა, საქ: 1337, ფურც. 25.

2 იქვე, ფურც. 27.

ლებით შევიდნენ აჭარაში. ამ ნაწილებმა მოძრაობა 24 აგვისტოს დაიწყეს, 25-ს კი მათ დაიკავეს სოფლები: ლორჯომი, რიუეთი, თხილვანა, ხიხაძირი, ოშანახევი, კვატია და ფურტიო. საღამოთი ჯარის ეს ნაწილები შეერთდნენ მაშინდელი ზემო აჭარის ადმინისტრაციულ ცენტრში—ხულოში. სოფ. თხილვანაში, ჰიყეთსა და ფურტიოში რუს მეომრებს ადგილობრივი მამაკაცები და ბაგშვები ცეკვა-თამაშით შეხვდნენ და ცერემონიის შემდეგ ისინი მახლობელ სოფლამდე გააცილეს. ზემის გარეშე არც ცნობისმოყვარე ქალები რჩებოდნენ: ცოტათი ჩაღრაწეული, სახლების წინ ჯგუფებად შეერგებილი, საერთო ზემის ინაწილებდნენ.

29 აგვისტოს განთავისუფლებულ იქნა ჭვანა და ნიგაზეული, ხოლო 30 აგვისტოს დანდალო და ცხმორისი.

რუსეთის სარდლობამ, დაინახა რა აჭარის მოსახლეობის სრული თანაგრძნობა, ზედმეტად ჩათვალა ჯართა დიდი შენაერთების მთლიანად წინსვლა და რაზმის ძირითადი ნაწილი დანდალოდან ახალციხეში დაბატუნა. გზა ქედისაკენ მხოლოდ ორმა ასეულმა განაგრძო, რომლებმაც იგი 1 სექტემბერს გაანთავისუფლეს.<sup>1</sup>

ზემო აჭარიდან ბათუმისაკენ მოძრაობის დროს, არტაანის რაზმი, რომელმაც ბათუმს მიაღწია ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებითურთ 2 სექტემბერს, გზაში ყველვან მოსახლეობის თანაგრძნობას ხვდებოდა.

რაზმის უფროსი გენერალი კომაროვი კავკასიის არმიის მხედართმთავარს აცნობებდა, რომ „აჭარის მოსახლეობის განწყობილება ძლიერ კეთილია, მხარე ელოდება რუსეთთან შეერთებას.“<sup>2</sup>

გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის ცნობითაც მოსახლეობა რუსებს სიხარულით ხვდებოდა. ხალხი თან მიპყვებოდა ნაწილებს, შლერიდა და უკრავდა ნაციონალურ ინსტრუმენტებზე, მებრძოლებს სადილებით უმასპინძლდებოდა და სხვა. მეზობელი სოფლებიდან იქრიბებოდნენ წარმომადგენლები და სიხარულს გამოთქვამდნენ რუსეთის ჯარის შემოსვლაზე, პირობას დებდნენ ყველვან კეთილ შეხვედრაზე.<sup>3</sup>

1 საქ. ცენტ. ისტ. არქ. ფონდი 521, აღწერა 10, საქმე 23. გვ. 20.

2 საქ. ცენტ. სამს. ისტ. არქ. ფონდი 485, საქ. 46757, ფურც. 5.

3 გაზ. „დროება“, 1878 წ., № 186.

ქობულეთის რაზმი ბათუმისაკენ ორი მიმართულებით მომრა-  
ობდა. ერთი — უშუალოდ ზღვის ნაპირით, მეორე კი ხეობების გზით.  
ამავე დროს ზღვით ხომალდები მოძრაობდნენ. ქობულეთის რაზმის  
ეს ნაწილები ერთმანეთს შეხვდნენ მახინჯაურში 24 აგვისტოს  
1878 წ. 25 აგვისტოს ადრე დილით რუსეთის არმიის მშენობრი ნა-  
წილები, რომლებსაც თან მოჰყვებოდა ქართველ ლაშქართა ასეუ-  
ლები, სიძლერით, მუსიკით და გაშლილი დროშებით დაიძრნენ ბა-  
თუმისაკენ.

ჯარს წინ მიუძღვდა კავკასიის არმიის მხედართმთავრის მო-  
ადგილე სვიატოპოლკ-მირსკი.

სვიატოპოლკ-მირსკის ქალაქგარეთ შეხვდა ბათუმის თურქთა  
კორპუსის უფროსი დევრიშ-ფაშა, კომენდანტი მუსტაფა და სხვა  
სამხედრო პირები, ხოლო მდ. ბარცხანსთან — ადგილობრივი მო-  
სახლეობის დეპუტაცია. რუს გენერალს მოქალაქეებმა პურმარილი  
შიართვეს, რაც იმ სიხარულის გამოხატვის ნიშანი იყო, რომელიც  
აჭარის რუსეთთან შეერთებამ გამოიწვია.

დღის ორ საათზე ბათუმში რუსეთის დროშა აფრიალდა. თურ-  
ქეთის მიერ რუსეთისათვის ქალაქის გადაცემის ცერემონია მოსახ-  
ლეობის საერთო ზეიმად გადაიქცა. აჭარლების სიხარულს საზღვა-  
რა აღარ ჰქონდა იმის გამო, რომ მშობლიურ ქართველ ერს მოწ-  
ყვეტილნი ისევ მას შეუერთდნენ.

განაგრძობდნენ რა აჭარის დაცლას, თურქებმა 31 აგვისტოს  
დევრიშ-ფაშას მეთაურობით სამუდამოდ დატოვეს ბათუმი და ხო-  
მალდებით გაემგზავრნენ თურქეთში. რუსეთისათვის ბათუმის გა-  
დაცემის შემდეგ თურქეთს დაუბრუნდა არზერუმი.

ბათუმში რუსეთის ჯარის შემოსვლასთან დაკავშირებით ევ-  
როპის სახელმწიფოების გაზეთები ლაზებისა და აჭარლების ერ-  
თიან აჭანყებაზე წერდნენ. ისინი ისეთ ცნობებსაც კი იძლეონენ,  
ვითომც 30 ათასი შეიარალებული აჭარელი მზად იყო  
რუსებს ხიშტებით, ტყვიითა და ყუმბარებით შეხვედროდა. გაზე-  
თები სრულიად უსაფუძვლოდ წერდნენ, რომ მოსახლეობა ვითომც  
ინგლისის ქვეშევრდომბას მოითხოვდა და მხოლოდ მისი ხელის-  
უფლება უნდა სცნოსო. ბათუმში რუსეთის ჯარის შესვლამდე რამ-  
დენიმე დღით ადრე ერთი მათგანი წერდა: „ჩვენ მოვახდება აჭა-

რაში დავინახოთ ისეთი ბრძოლები, როგორიც თურქეთის მოერ დაბორჩილების დროს იყო". მაგრამ ფაქტის წინაშე დამდგარი საზღვარგარეთელი კორესპონდენტები იძულებული იყვნენ აღვნიშნათ, რომ რუსეთის ჭარის ბათუმში შესვლა არამც ფრეს სისხლის-ლვრით დამთავრდა, არამედ მოსახლეობის მიერ რეო სიხარულითა და გულთბილად იქნა მიღებული, ხოლო იმედდაკარგული ლოიდი ბიკონსფილდი. სინანულით აღნიშნავდა, რომ „რუსეთის არმის შესვლამ ბათუმში არამც თუ სახალხო ომი გამოიწვია, არამედ საერთოდ ყოველგვარი სისხლისლვრის გარეშე დამთავრდა".<sup>1</sup>

### § 7. აჭარა საქართველოსთან შეერთების შემდეგ (მოკლე მიმოხილვა)

რუსეთის შემადგენლობაში აჭარის ტერიტორია ბათუმის ოლქის სახით გაერთიანდა. იგი აღმინისტრაციულ და სამხედრო დარგში კავკასიაში მეფისნაცვალს — იმავე კავკასიის ჭარების მხედართმთავარს ექვემდებარებოდა. აჭარაში დამყარებულ იქნა რუსეთის სხვა გუბერნიებში არსებულის ანალოგიური აღმინისტრაციული შპარტველობა და კანონმდებლობა.

ოჯახურ და ნათესაურ უკმაყოფილებას კანონით მეჯლისი წყვეტდა. ნატურით გადასახადები, რომლებიც თურქეთის ბატონობის დროს იკრძებოდა, ფულით შეიცვალა და გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე წინათ. გადასახადების გაწერის დროს მხედველობაში იქნა მიღებული მდიდარი და ღარიბი სოფლები და ოჯახები. ადგილობრივი მოსახლეობა სამხედრო ვალდებული არ იყო, ბაგრამ წესრიგის დაცვის მიზნით უნდა შედგენილიყო ადგილობრივი მილიცია. სამხედრო სამსახურის მაგიერ ოჯახს წლიურად ერთი მანეთი უნდა გადაეხადა, სახელმწიფო სამსახურში ჩარიცხულ პირთ ხელფასად თვეში 2 მანეთი ეძლეოდათ.<sup>2</sup>

აჭარის თურქ დამპყრობთაგან განთავისუფლება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელება იყო და იგი საერთო ზეიმით აღინიშნა. საქართველოსთან აჭარის შეერ-

1 Газ. «Русская правда».

2 ბათუმის რევ. ბუზეუმის არქივი, ფონდი 4, საქ. 56, ფურც. 55—59.

თებასთან დაკავშირებით ხალხის სულისკვეთება სამართლიანობა  
გამოხატული ი. ჭავჭავაძის სიტყვებში. იგი წერდა: „ჩვენი ძმები,  
ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“.  
ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის  
აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო,—დღეს ჩვენ შემოგვიყერთ-  
და“.1

მოწინავე ქართველი საზოგადოების აზრის გამომხატველი იყო  
გაჭ. „ივერიის“ ფურცლებზე მოთავსებული კორესპონდენციები.  
ერთ მათგანში აღნიშნულია, რომ „საქართველოსთან აქარის შე-  
მოერთებით ქართველ ხალხს აუსრულდა თავისი გულისწადილი“.  
შემოერთებულ ძმებთან მტკიცე ურთიერთობის დასამყარებლად  
1878 წლის ნოემბერში თბილისში მოწვეულ იქნა სამხრეთ საქართ-  
ველოს წარმომადგენლები, მათ შორის იყვნენ ჰუსეინ-ბეგი აბაში-  
ძე, ბექან-ოლლი, შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი და სხვები.

საქართველოს მოწინავე აღამიანებმა სამხრეთ საქართველოს  
დელეგაციას შეხვედრა-მოუწყეს. საღამოს ესწრებოდნენ გ. ორბე-  
ლიანი, ი. ანდრონიკაშვილი, გ. წერეთელი, ი. წერეთელი, პ. უში-  
კაშვილი, ს. მესხი და სხვ. მრავალ სადღეგრძელოს შორის გან-  
საკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გ. ორბელიანის სიტყვები:  
„ეს შეკრება ის არის, — თქვა მან, — როდესაც ერთი დედის  
შვილნი, შავი ბედის გამო გაშორებულნი, დიღხანს ერთმანეთისათ-  
ვის დაკარგულნი, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი  
და გადახვივნენ გულითადი სიყვარულით. შეკრება ესე ჩვენი  
იყოს უკუნიური უკუნისამდე, შეურყყველი და დღეს იქით  
ლხინშიც, ჭირშიც უნდა ვიყვეთ ერთად, ვითარცა ერთნი დედა  
საქართველოს შვილნი“.2

მგზნებარე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა პოეტმა  
აკაკი წერეთელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მათი შეკრება სრუ-  
ლიად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ლხინისაგან, რომ „ახლა  
ვხედავთ, ჩვენი წინაპრების დაპირებები აქეთაც და იქითაც შე-  
ნახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე  
არასოდეს არ ყოფილა მოშლილი. დღემდე თუ ცალცალკე შეგვი-

1 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, თბილისი, 1955 წ., ტ. 5, გვ. 18.

2 გაჭ. „ივერიის“ ცნობები, შეკრებილი ბათუმის რევ. მუზეუმის არქივში,  
ფონდი 4. საქ. 56, ფურც. 62.

ნახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად აფასოუ-  
ლებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით  
ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს".<sup>1</sup>

დიდი ზეიმითა და სიხარულით იქნა დამსწრეთა მიერ მიღე-  
ბული აჭარის ბეგ შერიფ ხიმშიაშვილის სიტყვები. ხიმშიაშვილი  
შეეხო აჭარის მოსახლეობის ბედკრულ ცხოვრების თურქ ბაზარის-  
თვ ბატონობის წლებში და ოქვა, რომ აჭარლები დიდი ხანია ილტვო-  
ლნენ დედა სამშობლოსთან შეერთებისათვის, „დღეს, როდესაც  
ერთად ვართ, დასძინა, მან, — ღმერთმა ქნას მეცა და ჩემ თანამო-  
ძმეთაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილ-  
შობილური მოქმედება. შეერთებული ვიყოთ მტკიცედ, ძმურად,  
ჩვენის დიდიხნით აქეთ დაშორებულ მრავალრიცხვან ძმებთან.  
სულით, გულითა და ყოველ კეთილგანწყობილებითა ხელი ხელს  
მიგვეცეს და გადაგვედგას ის გმირული ნაბიჯი, — რითაც განთქ-  
მულნი იყვნენ ჩვენი წინაპარნი საქვეყნოდ".<sup>2</sup>

ქართველმა ხალხმა ახლად შემოერთებულ ძმებს სიტყვები  
საქმით დაუმტკიცა. აჭარა, თურქთა ბატონობის პერიოდში აოხრე-  
ბული ქვეყანა, ომის პერიოდში თითქმის განადგურებამდე მივი-  
და. გადამწვარი იყო სოფლები, განადგურებული მეურნეობა, ხო-  
ლო მოსახლეობა მთებს აფარებდა თავს. მხოლოდ რუსეთის ჯარის  
მოსვლის შემდეგ დაუბრუნდა მოსახლეობა თურქეთის მიერ  
გაძარცულ და გადამწვარ სოფლებს. ამას დაემატა ომის შემდეგ  
მოუსავლიანი წლები და ისეთი რთული პირობები შეიქმნა, რომ  
ბევრგან მოსახლეობა შიმშილით იხოცებოდა. განსაკუთრებით  
რთული მდგომარეობა იყო კინტრიშის მხარეში. ქართველმა  
ხალხმა აჭარის მოსახლეობის გაჭირვებას ყურადღება მიაქცია  
და ძმური დახმარების ხელი გაუწოდა. რამდენიმე დღეში შეაგრო-  
ვეს 3 ათასი მანეთი და ს. მესხის ხელით გადასცეს მოსახლეობას.<sup>3</sup>  
ი. ჭავჭავაძე ქართველ ხალხს მოუწოდებდა გაეწია დახმარება  
აჭარაში მცხოვრები ძმებისათვის. ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ, —  
წერდა იგი, — ყველგან და ყველაფერში, უნდა იმათთვისაც  
გიზრუნოთ, როგორც ჩვენთვისაო, და მოუწოდებდა თანამემამუ-

1 იქვე.

2 იქვე, ფურც. 69—73.

3 იქვე, ფონდი 4, საქ. 95. ფურც. 154.

ლევაბს: „შევეწივნეთ რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორავით! ამას მოითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცო-მოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა წინაშე.“ ვეტორი კვლავ მიმართავს: „აბა; ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ... დაუმტკიცებ ქვეყნას მამაკაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო“!

აჭარის მოსახლეობა ისეთ როულ პირობებში აღმოჩნდა, რომ მეფის მოხელეებიც კი იძულებული შეიქმნენ სათანადო ზომებია მიეღოთ. მეფისნაცვალმა კავკასიაში შუამდგომლობით მიმართა სამხედრო მინისტრს, რათა მოსახლეობისათვის სესხის სახით მიეცა 20 ათასი მანეთი. მოთხოვნა სესხის მიცემის შესახებ განხილულ იქნა სახელმწიფო საბჭოში და დაკმაყოფილებულ იქნა.<sup>2</sup>

აჭარის მოსახლეობისათვის დასახმარებლად ქართველი ხალხის მოწინავე აღამიანები მოხსენება-ლექციებს კითხულობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ისინი მოუწოდებდნენ დამსწრეებს. დახმარებოდნენ აჭარის მოსახლეობას.

ი. ჭავჭავაძე და ი. წერეთელი აჭარის მოსახლეობასთან მჟიდრო კავშირის დასამყარებლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებას. ამ მხრივ საყურადღებო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვა, წარმოთქმული ერთ-ერთ საღილზე თბილისის საზოგადოების მოწინავე პირებთან, აჭარლების შესახებ: „განათლება ეჭირება, ბატონო, იმათ, ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, წალით, გაეცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა რა ძმა ხართ, თუ ისე აბდლურად დატოვთ?!“<sup>3</sup>

საქართველოს მოწინავე საზოგადოების დახმარებით 80-იან წლებში აჭარაში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაიწყო მუშაობა, რასაც ათი წლის შემდეგ უკვე მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. თუ წინათ იშვიათი იყო ქართული წერა-კითხვის მცოდნე აჭარაში, ამ პერიოდში მოსახლეობის უმრავლესობა დიდი მისწრაფებით იძენდა ქართულ წიგნებს. ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ქობულეთში გავრცელდა 2 ათასამდე ქართული წიგნი.

1 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული. თბილისი, 1955 წ., ტ. 5. გვ. 31.  
2 სახ. ცენტ. სამს. ისტ. არქ.. ფონდი 1268, საქ. 24, ფურც. 17.

3 გაზ. „დროება“, 1878 წ., № 126.

1880 წელს ბათუმში გაიხსნა ქართული სკოლა, რასაც მო-  
სახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა. სკოლების რიცხვი თანამდებობა  
იზრდებოდა აჭარის სხვადასხვა სოფლებში — ქობულეთში, ქედა-  
ში და ა. შ. სკოლების რიცხვი, რა თქმა უნდა, საერთოდ მცირე  
იყო, მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობის პირაბებში ესეც დად  
მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თანდათან იზრდებოდა სკოლებში  
აღგილობრივ მოსწავლეთა რიცხვი. ჩამოსული მასწავლებლები  
მჭიდრო კავშირში იყვნენ აღგილობრივ მოსახლეობასთან.

თავის მხრივ აღგილობრივი მოსახლეობა უდიდეს აღფრთო-  
ვანებას გამოიჰვამდა დედა სამშობლოსთან გაერთიანებით. მათ  
არაერთხელ მიუმართავთ თხოვნით ქართველი საზოგადოებისათვის,  
რათა კულტურული დახმარება გაეწიათ აჭარის მოსახლეობისათვის.  
ისინი პირობას იძლეოდნენ, რომ შეძლებდნენ დამტკიცებინათ  
მათი ქართველობა, მზადყოფნა და თავდადება იმ საქმისათვის,  
რისთვისაც მათი საერთო წინაპრები იბრძოდნენ.<sup>1</sup>

აფასებდა რა ქართველი ძმების უმწიველო დახმარებას, აჭარის  
მოსახლეობას არაერთხელ გამოუთქვამს მაღლობა გაზ. „ივერიის“  
ფურცლებზე: — „ჩვენ, ქართველ მაპმადიანებს, — წერდა გაზ.  
„ივერია“ — ჩვენმა ძმებმა, ქართველმა ქრისტიანებმა ყურადღება  
მოგვაქციეს და ჩვენთვის წიგნებიც დაბეჭდეს. ჩვენი საყვარელი  
ქვეყანა საქართველოა, ჩვენი სამშობლო ენაც ქართულია. ამდენ-  
ხანს ტანჯვა-წამებაში მყოფნი თქვენთან დავბრუნდით“-თ<sup>2</sup>

რუსეთის მიერ გატარებულ ეკონომიურ ღონისძიებებს უთუოდ  
დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. 1871 წ. დამთავრ-  
და პირველი რეინიგზის მაგისტრალის მშენებლობა ფოთიდან  
თბილისამდე. 1883 წელს ამ რეინიგზის სამტრედიდან ბათუმისა-  
კენ ახალი ხაზი შეუერთდა, როს შემდეგ ბათუმი ბაქოს დაუკავ-  
შირდა. ბაქო-ბათუმის რეინიგზის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა  
როგორც რუსეთის ნავთობის გასატანად საზღვარგარეთ, ისე,  
კერძოდ, ქალაქ ბათუმის განვითარებისათვის. ბაქოს ნავთი ბათუ-  
მიდან მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე გადიოდა. ბათუმში აშენდა  
როტშილდის, მანთაშველის, ძმების ნობელების ნავთის გადამშუავე-  
ბელი და ბილონების საკეთებელი ქარხნები და სხვა.

1 გაზ. „დროება“, 1878 წ., № 182.

2 იქვე, № 213.

ნავთის ბილონების დამზადებას და მათ ყუთებში შეცემას  
სხვა რამდენიმე წვრილი სახელოსნოც აწარმოებდა. მრეწველობის  
წარმოშობას და განვითარებას ახალი კლასის — პროლეტარიატის  
წარმოშობა მოყვა.

1886 წელს გაუქმდა ბათუმზე ბერლინის კონგრესით დაღმუნილი პორტო-ფრანკო, რის შემდეგ განსაკუთრებით ცართო გასაქანი მიეცა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ბათუმზე პორტო-ფრანკოს მოხსნამ განგაში ასტეხა ევროპის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით — ინგლისში. ინგლისის გაზეთები სხვადასხვა აზრს გამოთქვამდნენ ამ საკითხის გამო. ლიბერალური გაზეთი „დაილუ ნევსი“ წერდა: „ინგლის არ შეუძლია სცნოს ან პატიოს რუსეთს ეს ნაბიჯი“ და მას უდიდეს საერთაშორისო მოვლენად აფასებდა.

პორტო-ფრანკოს გაუქმებას ინგლისური გაზეთი 1870 წელს გორჩაკოვის მიერ გაკეთებულ განცხადებას ადარებდა, როდესაც რუსეთმა უარი თქვა პარიზის ტრაქტატის დამამცირებელ მუხლებზე. გაზეთი ასკვნიდა, რომ „თუ რუსეთი კვლავ ამგვარად იმოქმედებს, მის წინააღმდეგ შეიძლება კოლიცია შეიქმნას“.<sup>1</sup> გაზ. „ტიმე“ მრავალი კომენტარის შემდეგ ასკვნიდა, რომ „ბათუმზე პორტო-ფრანკოს გაუქმება ინგლისის პირდაპირი გამოწვევაა. ამიტომ მან თავისი საგარეო პოლიტიკა ამ საკითხს უნდა დაუკავშიროს“.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმზე პორტო-ფრანკოს გაუქმებაში განგაში ასტეხა ევროპის სახელმწიფოებში, ამ დროს არც ერთ მათგანს არ შეეძლო რუსეთისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა, ისე, როგორც 1870 წელს.

1880-იანი წლებიდან ბათუმი რუსეთის კაპიტალის ბრუნვაში ჩაება. იგი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გზას დაადგა. თანდათან მრავლდებოდა და ძლიერდებოდა ბათუმის პროლეტარიატი, იგი ადრევე მრავალრიცხოვანი შეიქმნა და თავის რიგებში სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს აერთიანებდა.

ბათუმის მუშათა კლასის მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, რუსეთის ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიურმა ჩაგრამ განაპირობა

1 Собрание передовых статей Московских ведомостей, Москва. 1898, стр. 346.

2 იქვ.

7 გ. მეგრელიძე

მუშათა რევოლუციური მოძრაობა. ბათუმის მუშათა რევოლუციურ  
მოძრაობას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა კავკასიაში ვაზონთ-  
სახლებულმა რუსმა მარქსისტებმა, რომელთაგან ბათუმში გ. ლუ-  
ზინი და ი. ფრანჩესკი მუშაობდნენ. ჯერ კიდევ 1898 წელს მათ ბა-  
თუმში შეძლეს მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის შა-  
ნიფესტის“ ცალკეული თავების დაბეჭდვა. ისინა შესდევდნენ და  
ავრცელებდნენ მარქსისა და ენგელსის სურათებს. დაარსებულ იქ-  
ნა პარტიული სალარო და შეგროვილი თანხები იგზავნებოდა პე-  
ტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის  
კავშირის“ განკარგულებაში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმის მუშათა მოძრაობა  
რსდმპ კავკასიის კომიტეტის ყურადღების ცენტრშია, 1900 წლის  
ბოლო რიცხვებში ბათუმის ცალკეულ ქარხნებში მარქსისტული  
წრეები იქმნება, რომლებიც მოწინავე მუშებისაგან შესდგე-  
ბოდა. 1902 წლის დამდეგს აქ რსდმპ ბათუმის კომიტეტი  
ჩამოყალიბდა. იგი სათავეში ჩაუდგა ბათუმის მუშათა კლასის  
შემდგომ რევოლუციურ ბრძოლებს. 1902 წლის 9 მარტს ბა-  
თუმში მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია მოეწყო. ეს დე-  
მონსტრაცია სისხლში იქნა ჩახშობილი ცარიზმის მიერ, მაგრამ  
მაინც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. კაპიტალისტები იძულებული  
გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და მუშათა მოთხოვნები დაე-  
კმაყოფილებინათ.

1902 წლის 9 მარტის ბათუმის მუშათა დემონსტრაციის ამბები  
ლენინური „ისკრის“ ფურცლებიდან ცნობილი გახდა მთელი რუსე-  
თისა და ევროპისათვის. ბათუმმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა  
1905 — 1907 წლების სახალხო რევოლუციაში. 9 იანვრის პეტერ-  
ბურგის ამბებმა გამოძახილი პპოვა ბათუმში, ხოლო რევოლუციის  
შემდგომი აღმავლობა აქ საბარიკადო ბრძოლებით დამთავრდა.

განსაკუთრებით რთულ პირობებში მიმდინარეობდა აჭარაში  
საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. პირველი მსოფლიო ომის  
დროს — 1914 — 1918 წლებში აჭარა საბრძოლო მოქმედების ასპა-  
რეზი გახდა და ოკუპირებულ იქნა თურქების მიერ, შემდეგ კი —  
ინგლისელების მიერ. ინგლისელებმა მაშინ სცადეს ბათუმის  
საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენება, მაგრამ სახალ-  
ხო-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით კოლო-

წიურ ქვეყნებში და წითელი არმიის გამარჯვებების შედეგად სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ინგლისელები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ბათუმი, მთლიანად აჭარა და იგი ქართველი მენ-შევიკებისათვის გადაეცათ. ქართველი მენშევიკები წითელი არმიის დახმარებით გაძევებულ იქნენ ჩვენი სამშობლოს საზოგადებიდან და 1921 წლის 25 თებერვალს ქალ. თბილისში, ხოლო — 18 მარტს ქალ. ბათუმში წითელი დროშა აფრიალდა. ეს იყო ახალი ეპოქის დასაწყისი საერთოდ ქართველი ხალხის ისტორიაში.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში მხოლოდ რამდენიმე სკოლა იყო. ამჟამად კი აჭარაში 400-ზე მეტი სკოლაა, რომლებშიც 50 ათასზე მეტი მოსწავლეა. აჭარაში არსებობს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ჩაითა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი, საკავშირო მნიშვნელობის ბათუმის ბოტანიკური ბაღი მწვანე კონცხზე, სახელმწიფო დრამატული თეატრი, სახელმწიფო და რევოლუციის მუზეუმები და სხვადასხვა კულტურული დაწესებულებანი. გაიზარდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. აჭარაში 1921 წლამდე სულ 20 საექიმო პუნქტი იყო, რომლებშიც 25 ექიმი და 315 საშუალო განათლების მედიცინის მუშაკი მუშაობდა, ამჟამად კი აჭარის 200 საექიმო პუნქტში მოსახლეობას 700 ექიმი და 1.500-მდე საშუალო განათლების მედიცინის მუშაკი ემსახურება. აჭარაში 30-მდე დასასვენებელი სახლი და სანატორიუმია, რომლებშიც ათასობით საბჭოთა მოქალაქე ისვენებს.

გრანდიოზული ცვლილებები და მიღწევები აქვს აჭარას მრეწველობის განვითარების დარგში. თუ აჭარაში მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნავთის ბიდონების დამზადებით განისაზღვრებოდა, ამჟამად ბათუმში მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული ნავთობგადამმუშავებელი ქარხანაა. ბათუმში არის ისეთი საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები, როგორიცაა: ციტრუსკომბინატი, კოფეინის, გემთშემკეთებელი და მანქანათმშენებელი

ქარხნები, საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების ფიტურა-  
რისა და ტყავის ქარხნები, ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაზრი-  
კები და სხვა. აჭარის მრეწველობა დღეს 140-ჯერ მეტ პრი-  
დუქციას უშვებს ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

სრულიად სხვა სახე მიიღო აჭარის სოფელმა. ლიკვიდირებუ-  
ლია წვრილი ჩამორჩენილი ერთპიროვნული მეურნეობა, და შემნი-  
ლია მსხვილი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები. აჭარაში-  
154 კოლმეურნეობაა, რომელთაგან 42 მილიონერია. სოფლის  
მეურნეობაში წამყვანი აღვილი ჩაის კულტურას უჭირავს. აჭარაში  
ჩაის მოშენება ჯერ კიდევ 60 წლის წინათ დაიწყეს, მაგრამ საბჭო-  
თა ხელისუფლების დამყარებამდე მას მხოლოდ 880 ჰექტარი მიწას  
ფართობი ეჭირა. ამჟამად ჩაის პლანტაციების ფართობი 5.729 ჰექ-  
ტარს უდრის. აჭარა ამზადებს საუკეთესო ხარისხის ჩაის.

ციტრუსოვანი კულტურები აჭარაში ცნობილია XII-XIII სა-  
უკუნიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მისი ფართობი  
მხოლოდ 323 ჰექტარს შეაღენდა. ამჟამად მას 7.847 ჰექტარი  
უჭირავს.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს — 179  
კაცს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.  
ასობით წარჩინებული მუშაკი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის  
ორდენებითა და მედლებით.

აჭარის მშრომელი მოსახლეობა და მოლიანად ქართველი ხალ-  
ხი, დიდი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, კომუნისტუ-  
რი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით გმირუ-  
ლად იძრძვის შრომის სხვადასხვა ფრონტებზე, რათა თავისი წვლი-  
ლი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობაში.

— ००० —



18.3/4  
3.83/162  
136740  
30000000

1960 4 056. 20 053.

Шамше Сарфоломеевич Мегрелидзе

**Освобождение Аджарии  
от турецкого ига**  
(на грузинском языке)

Государственное издательство  
Батуми—1956